

# ისტორიანი

**ჰეიბან  
ბეჩინბის  
ალსახედი**

**ნითანი  
ნავოლონი  
ინდიტონ  
ბენდის  
სახედილი  
ავოვანი**



**ყიფრალთა  
ჩამოსახედი  
მიზეზები**

**ქახივანი  
მევეჩივი  
სამეაბ  
თამაშები**

ქახივანების ბიხილი ავოვანი

**ბრიგოლ აბაუიის  
ისტორიული ტრილოგია  
6 ტომული**

**ლაპარალა ნიბნი II  
ფასი 3 ლარი**

ნიბნი „ისტორიანთან“ ერთად – 6 ლარი

ქახივანი  
თეახიის  
ლაბადა

მომბაუი  
ეთმოლოგის  
ჩანახედი

ილი  
შნაილეი და  
ანან ელინი  
– სიყვიხილი  
სანახიის  
ბეხეშე

ქიბოილი  
ანაოს  
„მოქნილი ბეა“  
ეუშეთის  
ხუნიის  
ქახილოქიანანი



**სახიჩვი**

**მოელა აბაზი**  
 ერთი ძველი ნიშნის უცნაური ისტორია ..... 6

**ახალი აბაზი**  
 როგორ იბადებოდა ქართული თეატრი ..... 7  
 მაის ტომის ქანდაკებათ სინტიფიკაცია  
 მეცნიერები ბალოცა ..... 10

**სამხედრო ხელოვნება**  
 ყივჩაღთა ჩამოსახლება მთიანეთში ..... 12

**საეკლესიო და ბაზილიკური**  
 საქართველო საჯალათო კურორტი ..... 19

**მოგზაური ეთნოლოგიის ჩანაწერები**  
 თურქეთელი ქართველები: „ჩვენ ჩვენი  
 გურჯული მეს დავინარჩუნეთ“... ..... 24

**საეკლესიო ხელოვნება**  
 ქართული მხატვრობის სამაგისტრო ..... 32

**ახალი აბაზი**  
 კოსტოპოლის რომაული ნანგრევების  
 საიდუმლო ..... 39

**ინდიელთა ბიძის ისტორიის**  
 წითელი ნაკვალავი — ნუგა აბრამიანი  
 ინდიელთა ბელადის ბრძოლების ეპიკური ... 40

**ეკლესიური საეკლესიო**  
 დუშეთის საზინის მესპროპრიაციის ..... 46

**სახიჩვი ეთნოლოგიები**  
 ბაგრატიონი — ბურთუღიანი  
 კალმისტრადი ..... 52





**სახიჩვი**

**სიყვავილის ისტორიები**  
 რომი უნაიდარი და ალენ დელონი —  
 სიმკვარული სცენარის გარეშე ..... 60

**მესამე ჩინის ბაღი**  
 კერამე გერინგის ტრიუმფი და დაცემა ..... 68

**უილიამი შატის დაბეჭევა**  
 ოქროს ციფრ-ცხელევა კალიფორნიასი ..... 76

**ახისტუხაბი ისტორიები**  
 მუზე-გაღის ქვის სიმფონია ..... 84

**მსოფლიოს სწობილი სინესიმბაბი**  
 ახალი სიციცხლე წარსული  
 დიდების ტავაში ..... 91

**ნახალი დიხების ტავი**  
 კიბორო კანოს „მოქმედი გვა“ ..... 98

**სმოქება**  
 როგორტ სტურუა: ამქმენად ყველაზე  
 რთული ყოფილა ადამიანად დარჩენა ..... 106

**ჩილიტი**  
 ალგო ელისაფილი: „კალაქის კველ  
 ფოტომეს რომ შუქურებ, გული  
 მითუთქება“ ..... 111

**„ისტორიანი“ ბავშვებისთვის**  
 ცოდნის საყვარო ..... 114

სპანვორდი ..... 122

## ჩვენს ხელახლოვებულ სვეტს

ძვირფასო მკითხველო, ამ ნომრის რედაქტორის სვეტი განსხვავებულია თავისი შინაარსით. ადრე თუ ნომრის მასალებს ერთგვარ რეზიუმეს ვუკეთებდით, ამჯერად ამისგან თავს შევიკავებთ, რადგან მიგვაჩნია, რომ უმჯობესია, დღეს სხვა პრობლემაზე გესაუბროთ. დიან, ქართველი საზოგადოების ყურადღება კიდევ ერთხელ მიხდა მივაპყრო ბედის უკუღმართობით თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქცეული ქართული ისტორიული ძეგლების მდგომარეობას.

გასულ კვირას ტაო-კლარჯეთში სამეცნიერო ექსპედიციის დროს კიდევ ერთხელ ვნახე იმხნის კათედრალზე მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოები. თურქეთის მხარის მიერ მკაცრი კონტროლია დაწესებული ტაძარში შესვლაზე, მაგრამ უფრო დიდი პრობლემა ის არის, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ვერა და ვერ გამოიწვია სახსრები, რათა ჩვენი ერთი წარმომადგენელი მაინც დაენიშნა ტაძარში მიმდინარე სამუშაოების მეთვალყურედ. სამწუხაროდ, რა ხდება დღეს ამ უნიკალური ტაძრის ინტერიერში, ქართველი სპეციალისტებისთვის დაფარულია. დასავლეთი შვერილი ბეტონით იფარება და გაუძღვება თუ არა ამას კათედრალის კედელი, არავინ უწყის. უძველესი იატაკის მდგომარეობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

როგორც ცნობილია, მალე თურქეთში სხვა ქართული ტაძრების აღდგენაც დაიწყება. ვწუხვარ, რომ ამის თქმა მიხდება, მაგრამ ვეჭვობ, ქართული მხარე ამჯერადაც პასიური მეთვალყურის როლში აღმოჩნდება. იქნებ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დიდმოხელეებმა პირადად მოინახულონ ეს ძეგლები. იქნებ სამთავრობო დონეზე გადაწყდეს ქართული ძეგლების სარესტავრაციო სამუშაოებში ქართველ სპეციალისტთა ჩართვა. დამეთანხმებით, ტაო-კლარჯეთის ძეგლების გადარჩენაზე ზრუნვა საშვილიშვილო საქმეა. მომავალი თაობა ნამდვილად არ გვაპატიებს ინერტულობასა და პასიურობას ტაო-კლარჯეთის უძველესი ქართული ძეგლების გადარჩენის საქმეში.



მომავალი თაობა ნამდვილად არ გვაპატიებს ინერტულობასა და პასიურობას ტაო-კლარჯეთის უძველესი ქართული ძეგლების გადარჩენის საქმეში.

### ისტორიულ-შემცენებითი ჟურნალი „ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი  
**ჯაბა სამუშია**

რედაქტორი  
**გელა გურგენიძე**

სტილისტ-რედაქტორი  
**ელენე სალარიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**რეზო თხილიშვილი**

სარედაქციო კოლეგია:  
**ალექსანდრე ბომიშვილი, ოქროპირ ჯიქური, ნინო ჯაფარიძე, დიმიტრი სილაქაძე, მიხეილ ბარნოვი, შოთა მათათაშვილი, კახაბერ ყალიჩავა, ნიკოლოზ ხოფერი**

კორექტორები:  
**ნანა მაჭავარიანი**  
**ნინო აბესაძე**

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, იოსებძის ქ. №49  
**ტელ.: 238-13-72, 238-02-45**

სარეკლამო განყოფილება  
**ტელ.: 237-78-07, 238-78-70**  
**e-mail: istoriani@palitra.ge**

**ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ**

რედაქციის ნებართვის გარეშე  
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამომცემის მიმართუთ პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტოს „ელვა-ჯი“.  
**ტელ.: 238-26-73, 238-28-74, 214-09-91**



# ერთი ძველი ნივთის უცნაური ისტორია

ძველ ნივთებს მართლაც რომ უცნაური ისტორიები აქვთ — ფოტოზე მარცხნივ გამოსახული თაბაშირის ქანდაკება ოთხი წლის წინ თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ერთ-ერთ სარდაფში ვიპოვეთ. სამწუხაროდ, მას არც საინვენტარო ნომერი ჰქონდა, არც მუზეუმის საადრიცხო დოკუმენტაციაში ირიცხებოდა, თანაც არც ძვირფასი მასალისგან არ იყო დაზადებული (თაბაშირი ხომ შავი მასალაა და ადვილად მსხვრევადი). მიუხედავად ამ „ნაკლისა“, მაინც მოვიწონეთ და დიდი სიფრთხილით „დავაბინავეთ“. ამ ამბის შემდეგ რამდენჯერმე ვცადე ქანდაკების ავტორისა და ნამუშევრის შესახებ რამე ინფორმაცია მომიძიებინა, თუმცა უშედეგოდ.

ამ თაბაშირის ქანდაკებას საგანგებოდ ალბათ არც არასოდეს გავიხსენებდი, რომ არა ერთი გარემოება: წლეულს ედინბურგში, შოტლანდიის ეროვნულ გალერეაში მომიწია სტუმრობამ. მთავარი შესასვლელის ლამაზად დახვეულსაფეხურებიანი კიბის დასაწყისში მარმარილოს პოსტამენტიდან „ჩვენმა“, ოდესღაც სარდაფში ნაპოვნი ქანდაკების ორეულმა შემოგვხედა! თვალს არ დაუვჯერე, როცა მისი განმარტებითი ბარათიდან სიტყვა თაბაშირი (პლასტერ) ამოვიკითხე. განმარტება იმასაც იუწყებოდა, რომ ეს ნამუშევარი ცნობილი იტალიელი მოქანდაკის კარლო ალბაცინის (1739-1807) მარმარილოს სკულპტურის



იტალიელი მოქანდაკე კარლო ალბაცინი

თაბაშირის ასლი იყო, რომელზეც რომის სახელგანთქმული იმპერატორი ლუციუს ვერუსია გამოქანდაკებული. ასე რომ, საქართველოში, ჩვენი მუზეუმის სარდაფში ნაპოვნი თაბაშირის ასლის ორეულს, ლუვრში დაცულ დედანზე არანაკლები მოწიწებით შეჭყურებდა შოტლანდიაში ასობით თვალი.

სულ მალე, „ქართველი“ ლუციუს ვერუსი ჩვენი სასახლის დარბაზში ასეთივე პატივით მოიწონებს თავს.

---


## ბიოგრაფი კალანდია

*საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი*



(მარცხნიდან) რომის იმპერატორ ლუციუს ვერუსის სკულპტურის თბილისური და ედინბურგული თაბაშირის ასლები. მარჯვნივ — მარმარილოსგან გამოკვეთილი დედანი პარიზში, ლუვრის მუზეუმში

# როგორ იხადებოდა ქართული თეატრი



## ბიორგი და დავით ერისთავების უნიკალური ნივთების ბამოფენა

**ქართული თეატრის ფუძემდებლის ხელნაწერი პიესები, „შეშლილის“ უნიკალური ხელნაწერი, სპექტაკლ „გაყრის“ პირველი პროგრამა, სათავადაზნაურო და თამამშვეის თეატრის გარე ფასადის ხედები, პირველი ქართული თეატრალური სცენისა და ფარდის ესკიზი... თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმში გიორგი და დავით ერისთავებსა და ქართული პროფესიული თეატრის ისტორიასთან დაკავშირებული არაერთი უნიკალური ექსპონატი ოქტომბრის ბოლოს გამოიფინება.**

გიორგი და დავით ერისთავების პირადი ნივთები მუზეუმს მათმა პირდაპირმა შთამომავალმა, მანანა (მარია) ერისთავმა გადასცა. ექსპოზიციამ ეს ნივთებიც მოხვდება.

**ბიორგი პალანდია** (თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმის დირექტორი): „გიორგი ერისთავის ნივთებიდან საქართველოში ბევრი არაფერია შემორჩენილი. ქალბატონმა მანანა ერისთავმა ჩვენს მუზეუმს მისი პირადი ნივთები გადასცა. მათ შორის, მაგიდის მოწყობილობა, რომელიც ანტირუსული განწყობის გამო პოლონეთში გადასახლებულ გიორგი ერისთავს ვარშავაში შეუქმნია. ეს ნივთები პირველად გამოიფინება.“

მაშინ, როცა გიორგი ერისთავის საფლავი ოკუპირებულ ტერიტორიაზე, იკორთაშია და იქ ჩასვლას ვერ ვახერხებთ, მის საიუბილეო წელს თბილისში მისი პირადი ნივთები გამოიფინება. ეს სწორედ ქალბატონი მანანა ერისთავის დამსახურებაა, რისთვისაც მას მინდა უღრმესი მადლობა გადაეუხადო.“

### „გაყრის“ — „საფოტოლოგი“

ერისთავების ნივთები 25 ოქტომბრიდან გამოიფინება. ექსპოზიცია „გიორგი ერისთავი და ქართული პროფესიული თეატრი“ — პირველი ქართველი დრამატურგის 200 წლის იუბილეს ეძღვნება. მნახველს შესაძლებლობა ექნება, თვალი მიადევნოს ქართული თეატრის განვითარებას გიორგი ერისთავის დასიდან 1917 წლამდე. გამოიფინება ასზე მეტი ექსპონატი. მათ შორის ბევრი ისეთი ნივთი, რომელიც აქამდე კერძო კოლექციებში ინახებოდა. კულტურის სამინისტრომ გამოფენის ორგანიზება დააფინანსა, ასევე გამოსცა 200-გვერდიანი კრებული, რომელიც მთლიანად ქართულ პროფესიულ თეატრს ეძღვნება.

გიორგი კალანდია: „არ მეუფლება ქართული თეატრის მოყვარული, ვისთვისაც მამამშვილ გიორგი და დავით ერისთავების დრამატურგია ძვირფასი არ იყოს. ქართული თეატრის ისტორია ხომ გიორგი ერისთავის პიესა „გაყრით“ იწყება, არანაკლებ ფასეულია ქარ-





„გაყრის“  
დარბაზი

თველთათვის დავით ერისთავის „სამშობლო“, რომელიც დიდხანს ამშვენებდა ქართულ სცენას. შეიძლება ითქვას, „გაყრიდან“ — „სამშობლომდე“ მთელი ეპოქაა, რომელმაც ერთგვარი საფუძველი მოუშადა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას.

გამოფენაზე წარმოვადგენთ მამა-შვილის მოღვაწეობის ამსახველ მრავალ მასალას. ეს იქნება პიესების — „შეშლილის“, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები, საგვარეულო ბეჭედი, რო-

გიორგი დვანაძის პორტრეტი  
(ავტორი ვიგო ზაზიაშვილი)



მელიც გიორგი ერისთავის მამას ეკუთვნოდა. გამოფენით დავით ერისთავის პირად ნივთებს, სავიზიტო ბარათს. მისი მეუღლის, მარიამ სარაჯიშვილის სურათს, რომელიც მან პარიზში დაახატვინა. ეს ნახატიც ქალბატონმა მანანა ერისთავმა გადმოგვცა საჩუქრად. ამას გარდა, გამოიფინება სპექტაკლ „სამშობლოს“ ქართული აფიშა“.

გიორგი ერისთავის თეატრის დასის წევრებზე მასალები ნაკლებად არის შემორჩენილი. ამ თვალსაზრისით გამონაკლისია გიორგი დვანაძე. გიგო ზაზიაშვილის მიერ შესრულებული მისი პორტრეტი და ლექსის ხელნაწერი, რომელიც გიორგი დვანაძემ გიორგი ერისთავის დაკრძალვაზე წაიკითხა — ეს ყოველივე თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმშია დაცული.

მუზეუმის დირექტორის სურვილია, მათთან ინახებოდეს გიორგი ერისთავის „გაყრის“ ხელნაწერიც, რომელსაც XX საუკუნის 60-იან წლებში რუსეთში მიაკვლიეს. ამჟამად ის საქართველოს ეროვნულ არქივშია დაცული. ის კვლავ მიმართავს იუსტიციის სამინისტროს თხოვნით, პიესის ხელნაწერი, სხვა მასალებთან ერთად, კულტურის სამინისტროს თეატრის მუზეუმში იყოს დაცული და გამოფენილი.

გამოფენაზე ერთი კუთხე დაეთმოთა ქართულ თეატრალურ ფარდებს. შეძლებისდაგვარად წარმოვადგენენ ყველა ესკიზს მას აქეთ, რაც კი სასცენო ფარდა შექმნილა, გრიგოლ გაგარინიდან მოყოლებული, სერგო ქობულაძის ჩათვლით.

აქვე იქნება თეატრის ფასადის ესკიზები,

გიორგი ერისთავის პორტრეტი  
(ავტორი ქეთევან მაღალაშვილი)

გვგმა, სცენისა და მაყურებელთა დარბაზის სქემა. სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო, რომ ამ პერიოდში თეატრში ქალებისა და მამაკაცების ერთად დაჯდომა არ შეიძლებოდა.

### წერილი მოგავლიდან...

კიდევ ერთი ინიციატივა — მუზეუმმა ცნობილ ქართველ რეჟისორებს მიმართა, მიეწერათ წერილი გიორგი ერისთავისთვის.

„გულწრფელი მადლობა მინდა ვუძღვნა იმ პიროვნებებს, რომლებიც დინების საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ, შექმნეს და გაკაულეს ახალი გზა, აღმოაჩინეს ახალი, ყველასთვის გასაგები და რთულად მისაღები ენა კომედიისა.

კომედია, რომელიც გამხელს. კომედია, რომელიც გართობს.

კომედია, რომელიც გაფიქრებს... კომედია, რომელიც სევდას გგვრის, კომედია, რომელიც გამხნეებს, კომედია, რომელიც სილას გაწნავს და სურვილს გიკარგავს, მოდიმარს გტოვებს.

ბატონო გიორგი, გენაცვალე და მადლობა...“ — წერს რეჟისორი ლევან წულაძე.

გამოფენაზე მასალები ძირითადად თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმის კოლექციიდან იქნება წარმოდგენილი. ექსპონატები, რომელიც დაკავშირებულია როგორც ქართული თეატრის ისტორიასთან, ასევე გიორგი და დავით ერისთავებთან, ქმნის ნათელ სურათს, რამდენად მდიდარი ტრადიციები აქვს და როგორ იქმნებოდა ქართული პროფესიული თეატრი, რომელიც 200 წელიწადს ითვლის.

ენიო ჯავახიძე



სპექტაკლ  
„სამშობლოს“  
აფიშა



## ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შენიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

**პალიტრა მედია გისმენო!..**



დარეკეთ: 219 60 13



მოგვწერეთ: [contact@palitra.ge](mailto:contact@palitra.ge)

ან: „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“)

საფოსტო ყუთების საშუალებით





# მაიას ტომის ქანდაკებათა სინატიფა მუსნიერები გააოცა

„ეს სწორედ ისეთი ფანტასტიკური აღმოჩენაა, რომელიც ცხოვრებაში შესაძლოა მხოლოდ ერთხელ მოხდეს“

*გვატემალაში, მექსიკის საზღვართან ახლოს, მეცნიერებმა მაიას კულტურის დეკორატიული ორნამენტით შემკული ბათქაშის ძალიან ლამაზი, კარგად შემონახული ფასადი აღმოაჩინეს, რომელიც, სულ მცირე, 1400 წლისაა.*

მეცნიერთა შეფასებით, ფასადი 95%-ით არის შემორჩენილი. მხოლოდ ერთი ადგილია დაზიანებული, რომელიც ზედაპირთან ახლოს იყო. მკვლევრები განძის მაძიებელ მძარცველთა დატოვებულ გვირაბს მიჰყვებოდნენ,

მაგრამ მათ საბედნიეროდ, თაბაშირის ფრიზთან ახლოს გაიკვლიეს გზა და ის ვერ შენიშნეს.

„ეს სწორედ ისეთი ფანტასტიკური აღმოჩენაა, რომელიც არქეოლოგის ცხოვრებაში შესაძლოა მხოლოდ ერთხელ მოხდეს“, — ამბობს ექსპედიციის ხელმძღვანელი.

ჰოლმულში ნაპოვნი დეკორატიული ორნამენტებით შემკული ფასადის სიგრძე 8, სიმაღლე კი — 2 მეტრია. ფასადი წითლად არის შეღებილი, დეტალები კი მწვანე, ლურჯი და ყვითელი ფერებით. მასზე გამოსახულია მაიას ტომის ღმერთები, ასევე მამაკაცები — მმართველები მაიას ტომის ტრადიციული

*ფრიზის იეროგლიფებში გამოსახულია ქალაქ-სახელმწიფო ნარანჯოს ერთი-ერთი უდიდესი მმართველის, აჯვოსაჯის სახელი*







გიგანტური ფრიზი სივრძით 8 მეტრია, ხოლო სივრძით — 2 მეტრი

ქუდებით, რომელთაც კეცალის ბუმბული ამკობს.

კეცალი — ეს მცირე ზომის ჩიტი მუქი ზურმუხტისფერი ბუმბულით გვატემალის ეროვნული სიმბოლოა, ამერიკის ტრადიციულ კულტურებში კი, — თავისუფლებისმოყვარეობის, რადგანაც კეცალი ტყვეობაში ვერ ცოცხლობს.

მკვლევართა ვარაუდით, ფასადზე კორონაციის სცენაა გამოსახული.

თავად პირამიდაში, რომელსაც დეკორატიული ფასადი ამკობს, ადამიანის ჩონჩხი აღმოჩინეს, რომელიც ძვირფასი ქვებით არის შემკული. სპეციალისტთა ვარაუდით, აქ მაიას ტომის ერთ-ერთი ქურუმი ან არისტოკრატი უნდა იყოს დაკრძალული.

მაიას ტომის იეროგლიფების სხვა სპეციალისტები, რომლებიც აღმოჩენას გაცენენ, უკვე ფიქრობენ, რომ მაიას ტაძრების უმრავლესობაში სწორედ ამგვარი კომპოზიციები იყო.

პოლმულის ფრიზი იქ რჩება, სადაც აღმოჩინეს, რადგან ის მეტისმეტად დიდია სადმე გადასატანად. მეცნიერები იზრუნებენ ტენიანობისა და კლიმატის შენარჩუნებაზე, თუმცა დამთვალეირებლებს შესანიშნავი ქმნილების ნახვის შესაძლებლობა მიეცემათ. ფრიზი წარმოადგენდა შენობის ფასადს, რომელიც ამჟამად თითქმის რიყის ქვებით არის დაფარული.

*მომზადებულია Euronews-ის მიხედვით*



ექსპედიციის წევრი ფრანცისკო ესტრადა-ბელი (ზემოთ) ფასადის ცენტრალურ ნაწილთან, ანია შეტლერი (ქვემოთ) იეროგლიფს წმენდს





# ყივჩალთა ჩამოსახლების მიზეზები

XII საუკუნე მრავალმხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში. საუკუნის დასაწყისი ემთხვევა თურქ-სელჩუკთა ბატონობისგან გათავისუფლებას, ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების დასრულებასა და მძლავრ სამეფოდ ჩამოყალიბებას, ძლევამოსილ ბრძოლას თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ამიერკავკასიის მიწების გასაერთიანებლად. 1116 წლისთვის დავით აღმაშენებელმა დიდ წარმატებას მიაღწია: შემოიერთა კახეთი, ლორე, გიში, რუსთავი, სამშვილდე და სხვა ქალაქები. სელჩუკთა ხელში რჩებოდა თბილისი, დმანისი და რამდენიმე ციხე. 1118 წელს დავით აღმაშენებელმა უცხოეთიდან დამხმარე ძალის მოწვევა გადაწყვიტა. ასეთ ძალად მან ყივჩალები მიიჩნია, რომელთა მხედრობაც განთქმული, მობილური და ადვილად შესანახავი იყო. 1118 წლის ივლისიდან 1120 წლის თებერვლამდე პერიოდი, შეიძლება ითქვას, არ გამოირჩეოდა დავით IV-ის მხრიდან აქტიური სამხედრო ექსპედიციებით თურქების წინააღმდეგ. ეს დრო, ჩანს, მან მოანდომა ყივჩალთა ჩამოსახლება-განსახლება და მათი ძალებით ახალი სამხედრო შენაერთების ფორმირებას.

დავით IV აღმაშენებლის ფრესკა გელათში



## საქართველოს ბზა თურქ-სელჩუკების ბანდევნიდან – ამიერკავკასიაში ჰებემონიამდე

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ყივჩალთა ჩამოსახლება ყოველთვის იყო ქართველ მკვლევართა ყურადღების ცენტრში. ამჯერად ამ საკითხის სხვადასხვა ასპექტს მიმოვიხილავთ. დავძენთ, რომ კვლევამ მოითხოვა სხვადასხვა ტიპის (ნარატიული, დოკუმენტური, ეპიგრაფიკული) წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინება და ამის საფუძველზე, ქართულ


ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ზოგიერთი შეხედულების რეინტერპრეტაცია.

დავით IV-ის მიერ მძლავრი ანტითურქული ფრონტის ჩამოყალიბება და მოგვიანებით მისი გვემაზომიერი გადატანა სამხრეთით, მეფის სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგიის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა იყო. საქართველოს ტერიტორიაზე თურქთა შევიწროებისა და მათი თანდათანობით განდევნის კვა-

ლობაზე, ანტითურქული სამხედრო ოპერაციები ქვეყნის საზღვრებს გარეთ უნდა გასულიყო. დავით აღმაშენებლის რეფორმებით სახელმწიფო მოძლიერდა და 1099 წელს ჯვაროსნების მიერ იერუსალიმის აღებასთან ერთად, დავით IV-მ თურქ-სელჩუკებს ხარკი შეუწყვიტა. შემდეგ სწრაფად შეუტია კახეთ-ჰერეთის სამეფოსა და შიდა ქართლში დაკარგულ ქართულ ციხე-ქალაქებს. 1103 წელს აიღო ზედაზენი, 1104 წელს რამდენიმე კახელ-ჰერელი დიდებულის დახმარებით „აღიზუნა... ჰერეთი და კახეთი“, იმავე წელს გაანადგურა თურქ-სელჯუკები ერწუნის ბრძოლაში. ერწუნთან დიდმა წარმატებამ ფრთა შეასხა ქართველებს და მეფისა და ჰყონდიდელის მეთაურობით ზედიზედ აიღეს სამშვილდე (1110), რუსთავი (1115, „დიდად წყენა შეექმნათ თურქთა და რიდობა საზამთროთა ადგილთა დგომისა“). ისევე როგორც 1110 წელს, 1115 წელსაც დავით IV-მ მოხერხებულად გამოიყენა დიდ სელჩუკთა სულტნის პრობლემები. 1114-1115 წლებში ჯვაროსნებმა თავიანთ ფრონტებზე სელჩუკთა დიდი სამხედრო ძალები დააკავეს, რომელთა მარცხმა 1115 წელს ხელი შეუწყო დავით IV-ს წარმატებულ ბრძოლას საქართველოში თურქების წინააღმდეგ. მკვლევართა უმეტესობა მიიჩნევს, რომ 1118 წელს დავით IV-მ ლორე და საერთოდ, ტაშირ-ძორაგეტი წაართვა თურქებს. შეიძლება ითქვას,



სელჩუკების დიდი იმპერიის მეომრები: მედაფდაფე, თურქომანი ბელადი, დასავლეთირანელი ამხედრებული დულამი








დარილის ციხის ნანგრევები

ლორეს დაკავებამ საფუძველი მოუზადა მნიშვნელოვან ეტაპს დავით IV-ის საგარეო პოლიტიკაში — ბრძოლას თურქებთან ამიერკავკასიაში ჰეგემონიისთვის.

დავით IV-ის სამხედრო კამპანიის დასაწყისი, 1118 წლის აპრილში, დაემთხვა მძიმედ დაავადებული სულთან მუჰამადის გარდაცვალებას 5 ან 18 აპრილს და ტახტზე მცირეწლოვანი მაჰმუდის ასვლას. დიდ სელჩუკთა სახელმწიფოში კვლავ შფოთი და არეულობა ჩამოვარდა. ახალ სულტანს დაუპირისპირდნენ მისი ძმები და ბიძა. საქართველოს სამხრეთ საზღვრებთან ახალი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. 1118 წლისთვის საქართველოს სამეფოს ტერიტორიები თითქმის გაიწმინდა თურქთაგან, მაგრამ ამიერკავკასიის რეგიონში თურქები მაინც ინარჩუნებდნენ ერთგვარ გავლენას. მაგალითად, შარვანში, რანსა და სომხეთში. აგრეთვე, ყაბალაში, განძასა და ანისში, საქართველოს საზღვრებთან ახლოს.

ამ ბრძოლაში რომ საქართველო მთელ რეგიონს წარმოადგენდა, ცხადი იყო. არსებობს ვარაუდი, რომ დავითის ხელთ არსებული სამხედრო რესურსი საკმარისი შესაძლოა არ ყოფილიყო. მეტადრე ლაშქრის სიმრავლე საჭირო გახდა მას შემდეგ, რაც დავით IV-მ ზედიზედ აიღო მრავალი ციხე-ქალაქი. მოპოვებული გამარჯვების განსამტკიცებლად, ლაშქრის ნაწილი „ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამჭირველად“ განაწესეს. ეს ვითარება ქართული ლაშქრის რაოდენობას ამცირებდა. გადასაჭრელი იყო სხვა ამოცანაც: ლაშქარი ისე უნდა გამრავლებულიყო, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარება და შესაბამისად, დოღლათის წარმოება არ შეფერხებულიყო. თუმ-



ცა არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომ საქართველო იმ დროს, ისე როგორც არასდროს, აღმავლობის ხანაში იმყოფებოდა და საკმარისი რესურსი ჰქონდა როგორც დოვლათის შესაქმნელად, ისე ქვეყნის დასაცავად. დამატებით სამხედრო ძალას იგი სხვა, უფრო შორს მიმავალი მიზნებისთვის შეიგულებდა — სავარაუდოდ, ბრძოლის ველის საქართველოს გარეთ გატანისთვის, რისთვისაც ყოვალეები იდეალურ ვარიანტს წარმოადგენდნენ.

ზემოაღნიშნული თუ სხვა შესაძლო მიზეზების გამო, საქართველოს სამეფო კარი იძულებული გახდა, საკმაოდ სახიფათო გადაწყვეტილება მიეღო — ლაშქარი გაემრავლებინა არაქართული წარმოშობის მებრძოლთა ჩამოსახლების გზით. არჩევანი ყოვალეებზე შეჩერდა.

ყოვალეები თურქული წარმოშობის ხალ-

ხი იყო. X საუკუნის შუა ხანებში ისინი დასავლეთისკენ დაიძრნენ და უზარმაზარი ტერიტორია დაიკავეს მდინარე დუნაიამდე, თუმცა ერთიანი სახელმწიფოს შექმნა ვერ მოახერხეს. დავითი, როგორც ჩანს, ადრევე სარგებლობდა ყოვალეთა დახმარებით. მისი მეორე ცოლი იყო ყოვალეთა მთავრის (ხანის) ათრაქა შარადანის ძის ასული. 1115 წელს, კიევის მთავრის ვლადიმერ მონომახის მიერ დამარცხებული ყოვალეები ჩრდილოეთ კავკასიაში იდგნენ. დავითმა მათთან ელჩობა გაგზავნა და საქართველოში გადმოსახლება და მის სამსახურში ჩადგომა შესთავაზა. თანხმობის მიღების შემდეგ დავით IV მწიგნობართუხუცეს გიორგი ჭყონდიდელთან ერთად ყოვალეებთან გაემგზავრა, ისინი ოსებთან შეარიგა, საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის გზაზე ციხეებში თავისი ჯარი ჩააყენა და 1118

*მარცხნივ — სელჯუკი მოისარი, მარჯვნივ — სელჯუკი მეომარი, ცენტრში — ყოვალე მეომარი*







სელჯუკი, XI-XII სს.

წელს 40 ათასი ოჯახი საქართველოში გადმოიყვანა.

თავისი ჩანაფიქრის შესასრულებლად დავით აღმაშენებელმა ყოფილეთში „კაცნი სარწმუნონი“ გაგზავნა და ყოფილები საქართველოს სამეფო ლაშქარში მიიწვია. ყოფილებმა მთავრებმა და მათ შორის დავით IV-ის სიმამრმა სიხარულით მიიღეს ეს მოწოდება და დათანხმდნენ. მაგრამ საქართველოში რომ გადმოსულიყვნენ, ამისთვის ქართველებს უნდა უზრუნველყოთ „გზა მშვიდობისა ოვსთაგან“. დავით აღმაშენებელს „გზა მშვიდობისა“, ცხადია, მხოლოდ ყოფილებმა გადმოსაყვანად არ სჭირდებოდა. არსებობდა სხვა მიზნებიც: პირველი, საქართველოსა და კავკასიის ჩრდილო-

ეთ ქვეყნებს შორის პოლიტიკური, საგაჭრო და კულტურულ ურთიერთობათა განვითარება; მეორე, დარიალის კარის ხელში ჩაგდება და მისი კონტროლი. ეს არა მხოლოდ თავდაცვითი ღონისძიება იყო ჩრდილოეთიდან მოწოდებულ მომთაბარეთა წინააღმდეგ, არამედ ძალიან მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური სვლა კავკასიის მთიანეთისა და ამიერკავკასიის ხალხებზე საქართველოს გავლენის ზრდისა და განმტკიცებისთვის. ამასთანავე ოსცივჩაღთა შერიგება და ქართველთა მეფის ყმად გახდომა, საქართველოს ჩრდილოეთიდან ზურგს უმაგრებდა და დავით აღმაშენებელს შეეძლო, მთელი ყურადღება და მხედრობა სამხრეთისკენ, აღმოსავლეთისა და დასავლეთისკენ მიემართა.

დავითის ისტორიკოსი, სამწუხაროდ, არ ასახელებს ზუსტ ადგილს, სადაც ყოფილები დასახლდნენ, მაგრამ აღნიშნავს, რომ ორმოცი ათასი ოჯახი დავითმა ქართლში დაასახლა „ადგილთა, მათ მარჯვენა დედაწულითა მათითა, რომელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი“, რათა მათი დახმარებით გაენადგურებინა „სრულიად სპარსეთის ძალნი“, აგრეთვე დაეცხრო „მოყვარე მტრები“, რაც საგარაუდოდ მიანიშნებს მეფის დიდგვაროვან მოწინააღმდეგეებზე.

დავითმა ყოფილები რაზმებად დაყო და სპასალარები დაუნიშნა. საკმაოდ სწრაფად, თითქმის ერთ წელიწადში, ე.ი. 1119 წელს, დაამთავრა მათი გაწრთვნა („ჟამიერად და წესიერად აღაშქრებდა მათ“). იარაღი დაურიგდათ სამეფო საწყობიდან, ხოლო ცხენები მიეცათ უშუალოდ მეფის ჯოგებიდან. მეფემ საგანგებო გადასახადი — საყოფიერო შემოიღო, რომელსაც შესაბამისი მოხელეები კრებდნენ. ყოფილებმა თითოეული ოჯახსაც დაეკისრა ფეოდალური ვალდებულება, მუდმივად გამოეყვანა თითო ოჯახიდან თითო მოლაშქრე. ამრიგად, 1118-1119 წლებში ძირითადად გადაიჭრა ძალიან მნიშვნელოვანი — მუდმივი ლაშქრის შექმნის საკითხი (რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ყოფილი მეომრებიც).

დავით აღმაშენებლის მუდმივ ლაშქარში ყოფილები როლი, რასაკვირველია, დიდი, თუმცა ისინი არ გამოხდარან დავით IV-ის მთავარი დასაყრდენი ძალა. ყოფილები, რომლებიც ქართულ მუდმივ ლაშქარში მნიშვნელოვან, მაგრამ არა მთავარ ნაწილს შეადგენდნენ, დავითის ეპოქაში, დავითის შემკვიდრებთანაც



გვხვდებიან. მაგრამ, „დავითის ყოვალებისგან“ განსხვავებით, ისინი აღარ არიან მუდმივად მოლაშქრენი, როგორც ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს, არამედ არიან დაქირავებულნი. მაგალითად, გიორგი III-ის დროს „ყოვალთა რაოდენი ათასი უბრძანის, მოვიდიან“ ან თამარის დროს „ყოვალნი ახალნი“ და სხვ.

უადგილოა ვარაუდი, რომ ქართველთა ბრძოლისუნარიანობა რამენიარად ჩამოუვარდებოდა ყოვალებისას. ასევე, შეუძლებელია ვივარაუდოთ, რომ უცხო სამხედრო ძალის მოწვევა, რა მიზანსაც უნდა მომსახურებოდა, დავითის მხრიდან საფრთხის შემცველ მოქმედებად არ შეფასდებოდა. მით უმეტეს, ყოვალთათვისაც ღალატი და მოსყიდვა მაინცდამაინც უცხო ხილი არ ყოფილა და ეს შესანიშნავად უწყობდა მეფემატ. მაგალითისთვის, 1091 წელს, ყოვალებმა უღალატეს თანამომხმეებად მიჩნეულ პაჭანიკებს, რომლებიც იმ პერიოდში ბიზანტიას ებრძოდნენ. ბიზანტიელებმა მოახერხეს და ყოვალები გადაიბირეს, მათაც დაუყოვნებლივ შეაბრუნეს პაჭანიკთა წინააღმდეგ თავიანთი ლაშქარი და სასტიკად დაამარცხეს ისინი.

დავითის ისტორიკოსსაც აქვს პირდაპირი მინიშნება, როცა „გაქართველებულმა“ ყოვალებმა „განიზრახეს ღალატი“. ლაპარაკია 1123 წელს შირვანზე ლაშქრობისას მომხდარ ქართველთა და ყოვალთა შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებაზე, რომელიც მოხდა მტერზე გენერალური იერიშის დამეს... ამდენად, ყოვალებს საქართველოში უნდა დაენახათ ძალა, რომელიც მათ მსგავს ქმედებებზე ხელს ააღებინებდა.

ქართული ლაშქრის დახასიათებისას ეპითეტები — „მისანდომი“ და „პირშეუქცეველნი“ დავითის მემატეიანეს გამოყენებული აქვს მხოლოდ ლაშქრის ქართული ნაწილების, დავითის პირადი გვარდიისა და „სამეფოსა სპათა“ მიმართ. ქართველ მოლაშქრეებსვე ამკობს შემდეგი ეპითეტებით: „განსწავლულნი“, „მოკაზმულნი, ცხენ-კეთილნი“. ამავე მოსაზრებას ამტკიცებს თავად დავით აღმაშენებლის საომარი ტრადიცია: ქართველ-ყოვალების ერთიანი ძალით აღებულ ციხესიმაგრეებსა და ქალაქებში იგი მხოლოდ ქართველებს სტოვებდა. „ანის მცველად დაუტევნა აზნაურნი მესხნი“ ან „აღილო ქალაქი შამახია და ციხე ბირიტი, სრულიად ყოველი შარვანი და დაუტევნა

ციხეთა და ქალაქთა შიდა ლაშქარნი დიდნი, პერნი და კახნი“. ხოლო არმიის ყოვალთა ნაწილს კი „უჩინა საზამთროდ სადგური და საზრდელი, და კაცნი ზედამდგომნი მათნი“.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, დავითის არმიის ქართულმა ნაწილებმა, რომელშიც შედიოდნენ მეფის პირადი 5-ათასიანი გვარდია და „სამეფოსა სპანი“, დაახლოებით 20-25-ათასიანმა ლაშქარმა, ყოვალთა ჩამოსახლებაამდეც ბევრი მნიშვნელოვანი საბრძოლო ოპერაცია შეასრულა. აღებულ ციხესიმაგრე-ქალაქთა ოდენობა მართო აღმოსავლეთ საქართველოში ოცამდეა, ხოლო ამის ნახევარი

ყოვალთა მხედარი



— დასავლეთ საქართველოს სასაზღვრო ზოლში. ამას ემატებოდა ომიანობისას ამ ოცდაათ ობიექტში „შიდა მდგომად და დამჭირველად“ საშუალოდ სამასი კაცი, ე.ი. მეციხოვნეთა ასკაციანი კორპუსი. მეფესთან მუდმივად „თანამყოფნი“ (გვარდია) — მიგვანიშნებს, რომ დავითს მუდმივი ჯარის შექმნა ყოფილთა ჩამოსახლებაძმდეც ჰქონდა დაწყებული. მაშ, როგორ მოახერხებდა ისეთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ოპერაციის ჩატარებას, როგორც იყო, მაგალითად, არაქსის სანაპიროებზე გალაშქრება და „ომი საკვირველი“?

შოთა მესხია თავის ნაშრომში „დიდგორის ომი“, დავითის არმიის ამ მარად მოძრავ ნაწილში ხედავს 40-ათასიანი ყოფილსა და 20 ათას ქართველს, ოღონდ ამ რაოდენობას უნდა დაემატოს „არმიის მარად“ უძრავი ნაწილი (ე.ი. „ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომნი“). გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ იმავდროულად თურქებიც ცდილობდნენ თავიანთი დაქსაქსული ძალების კოორდინაციას, რაც დავით აღმაშენებლისთვის უდავოდ ცნობილი გახდებოდა. ამიტომაც „მოუწოდა“ მეფემ „ყოფილთა“.

დავითის არმიაში ძირითად მასებს ქართველ მოლაშქრეთა გარდა, ყოფილებიც ქმნიდნენ (მსუბუქი ცხენოსანი). არმიის ყოფილური ნაწილი განსაკუთრებული წარმატებით ებრძოდა ზაფხულობით ბარად დარჩენილ თურქულ გარნიზონებს.

1120 წლისთვის საქართველოს სამხედრო სტრუქტურათა ჩამოყალიბება დასრულდა. მეფეს შეეძლო მტრისთვის დაეპირისპირებინა 60 ათასი მეომარი, რომელთაგან, საფიქრებელია, არაუმეტეს 12-15 ათასისა მუდმივ ლაშქარს შეადგენდა. ეს იყო კარგად გაწვრთნილი, დისციპლინიანი, მობილური, მრისხანე სამხედრო ძალა, რომელსაც ყველაზე რთული ამოცანების გადაჭრა შეეძლო. მძლავრი სამხედრო პოტენციალი მეფეს ფართო მასშტაბის სამხედრო ოპერაციების მოწყობის საშუალებას აძლევდა. 1120 წლის დასაწყისიდან ქართველთა ლაშქარი დაესხა თურქმენთა ბანაკებს მტკვარზე (თებერვალი) და არეზზე, აშორნიაში (ნოემბერი). ეს იყო ტოტალური ომი თურქებთან, რომელიც მიზნად ისახავდა მათი ბატონობის მოსპობას ამიერკავკასიის მასშტაბით.

**გონა რატიანი**

დიდგორის ველი,  
მონუმენტის ნაწილი







ბრესტ-ლიტოვსკის ზავის ხელმოწერა, 1918 წ. 3 მარტი

## საქართველო საჯალათო კუნძუ

### ჩვენი ქვეყნის ისტორიული ტერიტორიის გადანაწილება დიდ იმპერიებს შორის (1700-1921)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ №2-4, 9)


ოთხი საუკუნის განმავლობაში, 1514 წლიდან (ირან-ოსმალეთის ომების დაწყებიდან) 1914 წლამდე (პირველ მსოფლიო ომამდე), სამწუხაროდ, საქართველოსთვის გარე სამყაროს ირანი, ოსმალეთი და რუსეთი წარმოადგენდა. ვეროპის სახელმწიფოები სამხრეთ კავკასიის (ამიერკავკასიის) საქმეში ვერ ერეოდნენ. საქართველოსა და ქართველობის ბედი ირან-ოსმალეთ-რუსეთის დაპირისპირებაში წყდებოდა.

20. რუსეთ-გერმანია-ავსტრია-უნგრეთ-ბულგარეთ-ოსმალეთის 1918 წლის 3 მარტის საზავო ხელშეკრულება (ბრესტ-ლიტოვსკის ზავი)

1917 წლის დასასრულისა და 1918 წლის დამდეგისთვის შექმნილმა უძძიმესმა სამხედრო-პოლიტიკურმა ვითარებამ საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა აიძულა, პირველ მსოფლიო ომში რუსეთის მოკავშირეების (ინგლისის, საფრანგეთი, აშშ) ნების საწინააღმდეგოდ, სეპარატული ზავი დაედო გერმანიასა და მის მოკავშირეებთან (ავსტრია-

უნგრეთი, ბულგარეთი, ოსმალეთი). ომის გაგრძელება საბჭოთა რუსეთს აღარ შეეძლო. 1918 წლის თებერვლის დამლევისთვის მისი შეიარაღებული ძალები (წითელი არმია) იმდენად სუსტი და არაორგანიზებული იყო, რომ პეტროგრადისა (პეტერბურგის) და მოსკოვის დაცვაც კი არ ძალუძდა. გერმანიის მიერ რუსეთის დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი რეგიონების ოკუპაციის საფრთხე რეალური იყო. რუსეთის ომიდან გამოსვლა დიდი შეღავათი იქნებოდა გერმანიისა და მისი მოკავშირეებისთვის. გერმანიას საშუალება ეძლეოდა, აღ-





ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების პირველი ორი გვერდი

მოსავლეთის ფრონტზე რუსეთის წინააღმდეგ დაჯგუფებული ცოცხალი ძალა და ტექნიკა დასავლეთ ფრონტზე ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ გადაესროლა.

გერმანიამ ისარგებლა რუსეთის მძიმე მდგომარეობით და ზავი მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებში დადო. რუსეთის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, დიდი ტერიტორიის დაკარგვას შეჰკუებოდა.

პირველ მსოფლიო ომში გერმანიის მოკავშირე ოსმალეთი 1914 წლიდან წარუმატებლად ცდილობდა სამხრეთ კავკასიაში თავისი ჰეგემონისტური გეგმების აღსრულებას, პირველ რიგში, ბათუმისა და ბაქოს მიტაცებას. რუსეთის კავკასიის არმიამ სასტიკი მარცხი აწვინა ოსმალეთის არმიას, მისი შეტევა მოიგერია და საკუთრივ ოსმალეთის ტერიტორიაზე კი შეიჭრა. ამჯერად ოსმალეთს ეძლეოდა შანსი საზავო ხელშეკრულებით მიეღო ის, რაც ომით ვერ მიიღო. გერმანია ეცდებოდა, დაეცვა მოკავშირის ინტერესები სამხრეთ კავკასიაში.

საზავო ხელშეკრულება რუსეთს, გერმანიას, ავსტრია-უნგრეთს, ბულგარეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო 1918 წლის 3 მარტს ქალაქ ბრესტ-ლიტოვსკში (ბელორუსია).

ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორი-

ას სამხრეთ კავკასიაში და რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობას ეხებოდა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე და მესამე აბზაცი. უშუალოდ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიას კი ეხებოდა მეოთხე მუხლის მესამე აბზაცი.

მეოთხე მუხლის მეორე აბზაცის ძალით, რუსეთს ყველა ღონე უნდა ეხმარა ომის დროს აღმოსავლეთ ანატოლიაში განლაგებული ჯარების უკანვე გამოყვანისა და აღმოსავლეთ ანატოლიის ოსმალეთისთვის დაბრუნების მიზნით.

მეოთხე მუხლის მესამე აბზაცის ძალით, არდაგანის (არტანის), ყარსისა და ბათუმის ოკრუგები ასევე დაუყოვნებლივ უნდა დაეცა-ლა რუსეთის ჯარებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1903 წლის აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის რეფორმის შემდეგ, ბათუმის ოლქი შედგებოდა ბათუმისა და ართვინის ოკრუგებისგან. რაც შეეხება არტანის (არდაგანის) ოკრუგს, იგი შედიოდა ყარსის ოლქში. ყარსის ოლქში შედიოდა ასევე ოლთისის ოკრუგი და ყარსის ოკრუგი. ამრიგად, ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მეოთხე მუხლში იგულისხმებოდა შემდეგი ტერიტორია: ბათუმის ოლქი (ბათუმისა და ართვინის ოკრუგებით) და ყარსის ოლქი (არტანის, ოლთისისა და ყარსის ოკრუგებით).

რუსეთს უფლება არ ჰქონდა, ჩარეულიყო ხსენებული ოკრუგების ახალ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ და საერთაშორისო-სამართლებრივ მოწყობაში. რუსეთს არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოკრუგების მოსახლეობისთვის საშუალება უნდა მიეცა, თვითონ აერჩიათ ახალი წყობილება მეზობელ ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი ოსმალეთთან თანხმობით.

ამრიგად, საქართველოს ისტორიული ტერიტორია — ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოკრუგები — რუსეთს კი ჩამოერთვა, მაგრამ ოსმალეთს არ გადასცემია. პრაქტიკულად, ამ სამი ოკრუგის მოსახლეობას რეფერენდუმის გზით უნდა გაერკვია, რომელი მეზობელი სახელმწიფოს შემაღვენლობაში სურდა ცხოვრება.

## 21. საქართველო-ოსმალეთის 1918 წლის 4 ივნისის ხელშეკრულება (ბათუმის ხელშეკრულება)

1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ, 1918 წლის მარტშივე, ოსმალეთის ქალაქ ტრაპიზონში დაიწყო ამიერკავკასიის კომისარიატისა და ოსმალეთის დელეგაციათა მოლაპარაკება.

მოლაპარაკების მიზანი იყო ბათუმის, ყარსისა და არტაანის (არტაანის) ოკრუგების სახელმწიფოებრივი კუთვნილების საკითხის გარკვევა. მხარეები ვერც ერთ პრინციპულ საკითხზე ვერ შეთანხმდნენ და მოლაპარაკებაც შეწყდა.

ტრაპიზონის კონფერენციის მუშაობის შეწყვეტის შემდეგ ოსმალეთის არმიამ შეტევა დაიწყო და 1918 წლის მარტ-აპრილში მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო დაიპყრო, დაიკავა ბათუმი და ქობულეთი. ოსმალთა შეტევის შეჩერება მხოლოდ მდინარე ჩოლოქზე გახდა შესაძლებელი.

1918 წლის 26 მაისისთვის, ანუ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დროისთვის, აჭარა და საერთოდ მთელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, ასევე სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი (ბორჯომამდე) ოსმალთა მიერ იყო ოკუპირებული.

1918 წლის 4 ივნისს ბათუმში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ოსმალეთის შორის დაიდო ხელშეკრულება. ხელშეკრულება ყოველმხრივ მძიმე, შეურაცხყოფელი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისთვის. იმხანად შექმნილ უმძიმეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში საქართველო-







მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერა, 1921 წ.

ველო იძულებული გახდა, დამამცირებელი ზავი დაედო. ომის გზით ოსმალეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიის დაბრუნება საქართველოს არ შეეძლო. საქართველოს გერმანია ურჩევდა ოსმალეთის მიერ წამოყენებული პირობების მიღებას. ოსმალეთთან ურთიერთობის მოგვარების გარეშე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას საერთაშორისო ასპარეზზე დასამკვიდრებლად პირველი ნაბიჯების გადადგმა გაუჭირდებოდა.

ხელშეკრულების მეორე მუხლი ეხებოდა საქართველოსა და ოსმალეთს შორის სახელმწიფო საზღვრის დადგენას. 1918 წლის 4 ივნისის საქართველო-ოსმალეთის ხელშეკრულებით, აღდგა რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომამდე არსებული რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი, ანუ სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებითა (1879 წლის 19 თებერვალი (3 მარტი) და ბერლინის ტრაქტატით (1878 წლის 1 (13) ივლისი) დადგენილმა სასაზღვრო ხაზმა ჩრდილოეთით გადმოიწია. ოსმალეთს დარჩა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის დიდი ნაწილი.

1918 წლის 4 ივნისის საქართველო-ოსმალეთის ხელშეკრულების მეორე მუხლის მიხედვით საზღვარი იწყებოდა იქ, სადაც მდინარე ჩოლოქი ჩაედინება შავ ზღვაში და მიუყვებოდა 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალე-

თის ომამდე არსებულ სასაზღვრო ხაზს. მეფისწყაროს მთასთან სასაზღვრო ხაზი უხვევდა სამხრეთით და გადაიდა აბასთუმნიდან სამხრეთით ორი კილომეტრის მოშორებით. ამის შემდეგ სასაზღვრო ხაზი უხვევდა ჩრდილო-აღმოსავლეთით, შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთით და გადაკვეთდა მდინარე მტკვარს აწყურიდან ორ კილომეტრში სამხრეთით. აწყურიდან სასაზღვრო ხაზი მიუყვებოდა კაიაბაშის, ორთათავისა და კარაკაის მთებს, სამხრეთიდან შემოუვლიდა მოლითის მონასტერს, მიდილიდა თავკოთელის მთამდე, საიდანაც მიუყვებოდა შავნაბადას მთაგრეხილს.

ამრიგად, საქართველო-ოსმალეთის 1918 წლის 4 ივნისის ბათუმის ხელშეკრულებით ოსმალეთს გადაეცა ბათუმის ოლქი (ბათუმისა და ართვინის ოკრუგები) და ყარსის ოლქი (არტაანის, ოლთისისა და ყარსის ოკრუგები), ასევე სამცხე-საათაბაგოს უდიდესი ნაწილი: ახალციხე, ასპინძა, ხერთვისი, ახალქალაქი და სხვ.

საქართველო-ოსმალეთის 1918 წლის 4 ივნისის ბათუმის ხელშეკრულებამ ძალა დაკარგა 1918 წლის ოქტომბერში, მას შემდეგ, რაც ოსმალეთი პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა და იძულებული გახდა, მუდროსის ზავზე (პრაქტიკულად, კაპიტულაციაზე) მოეწერა ხელი.

## 22. რუსეთ-ოსმალეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულება (მოსკოვის ხელშეკრულება)

სამხრეთ კავკასიაში რუსეთის იმპერიასა და ოსმალეთს (თურქეთს) შორის ბერლინის ტრაქტატით (1878 წ.) დადგენილმა საზღვარმა 1918 წლის მარტამდე იარსება. 1918 მაისში საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიპოვეს და ამდენად, საბჭოთა რუსეთს ოსმალეთთან სამხრეთ კავკასიაში საზღვარი აღარ ჰქონდა. 1920 წლის აპრილში საბჭოთა რუსეთმა აზერბაიჯანი დაიპყრო, 1920 წლის ნოემბერში — სომხეთი, 1921 წლის თებერვალ-მარტში — საქართველო. საბჭოთა რუსეთის მიერ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს დაპყრობა ოსმალეთის თანხმობით მოხდა. დღის წესრიგში დადგა სამხრეთ კავკასიაში რუსეთ-ოსმალეთის სახელმწიფო საზღვრის დადგენა. ამ საზღვრის ნაწილს საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე უნდა გაეგელო.

1921 წლის 16 მარტს მოსკოვში ხელი მოეწერა საბჭოთა რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულებით დადგინდა ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი.

ხელშეკრულების პირველი მუხლის მესამე აბზაცში აღნიშნული იყო, რომ ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი იწყებოდა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სოფელ სარფთან. შემდეგ მიუყვებოდა ქედის მთას, შავშეთისა და კანნი-დაღის მთების

წყალგამყოფს, არდაგანისა (არტაანის) და ყარსის სანჯაყების ჩრდილოეთ ადმინისტრაციულ საზღვარს, მდინარეების — არპა-ჩაისა და არაქსის ტალღვეს (კალაპოტის ყველაზე დაბალი წერტილების შემაერთებელი ხაზი). ეს ნიშნავდა, რომ საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დაპყრობის სანაცვლოდ ოსმალეთს უკანვე დაუბრუნა ბერლინის ტრაქტატით (1878 წ.) მიღებული საქართველოს ისტორიული ტერიტორია: ართვინის ოკრუგი (ართვინი, არტანუჯი), არტაანის ოკრუგი (არტაანი, დიღვირი, ფოცხოვი, ჩილდირი, კოლა, ტაოსკარი), ყარსის ოკრუგი (ყარსი).

ხელშეკრულების დანართი, უფრო ზუსტად „დანართი I (ა)“ ხელშეკრულების პირველი მუხლიდან გამომდინარე, ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრავდა საბჭოთა რუსეთ-ოსმალეთის სახელმწიფო საზღვრის ხაზს სამხრეთ კავკასიაში და მათ შორის, საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე.

საბჭოთა რუსეთ-ოსმალეთის 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების რატიფიკაცია სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მოახდინა 1921 წლის 20 ივლისს, ხოლო ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ — 31 ივლისს. სარატიფიკაციო სიგელები გაიცვალა ქ. ყარსში 22 სექტემბერს.

**მასთანაზ გურული**

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი  
(დასასრული მომდევნო ნომერში)*

მე-11 არმიის მეთაური მიხეილ ველიკანოვი რუსეთის საოკუპაციო ჯართან ერთად თბილისში





# თუჩუთიანი ქაჩიძეები: „ჩვენ ჩვენი გურჯული ენა ღვინარჩუნეთ“...



სტუმარს ასე ვგვება სოფელი აჰმედის

თურქეთში მცხოვრები ქართველი მუჰაჯირების თემის დიდხანს ტაბუ ელო საქართველოში. მით უფრო, საბჭოთა პერიოდში, როცა თურქეთთან საზღვარი, ფაქტობრივად, ჩაკეტილი იყო. 1829 წლიდან მოყოლებული, რუსეთისა და ოსმალეთის „მონღოლეთით“, სამცხე-ჯავახეთსა და აჭარადან დაიწყო ქართველ მუსლიმთა გადასახლება ოსმალეთში. თურქი ემისარები დაძრწოდნენ სოფელ-სოფელ და აშინებდნენ მუსლიმ ქართველთ, რუსები ოჯახებს აგვიწოკებენ, ცოლ-შვილს შევიგინებენ, ძალად გაგაქრისტიანებენ, ოსმალეთში კი მხარში დაგიდგებით და საუკეთესო პირობებს შეგიქმნიით. ოსმალებს თავიანთი დაუსახლებელი ტერიტორიების ათვისება სურდათ გამრჯე, მეომარი და ლამაზი ხალხით, ხოლო რუსეთს, რომლისთვისაც საქართველოს სამხრეთი ნაწილი იმპერიის საზღვარი იყო, მიზანმიმართულად ეწადა ქართველთაგან დაცლილ მიწა-წყალზე უპირატესად რუსების ან არაქართველთა (სომხების, ბერძნების) დასახლება.

აჭარიდან მუჰაჯირთა ძირითადი ტალღა 1878 წელს რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ გაედინა. ქართველ მაჰმადიანთა ოჯახები დედაბუდიანად იყრებოდნენ, ცარიელდებოდა ზვავით საუსოფლები, ტოვებდნენ სახლებს, სარჩო-საბადებელს, წინაპართა საფლავებს... მიდიოდნენ, ვისაც რით შეეძლო: ურმებით, ნავებით, მოძველებული გემებით... ყველამ როდი ჩააღწია ახალ სამკვიდროს. პროცესი არ შეწყვეტილა (თუმცა მინულდა კი) XX საუკუნის 20-იან წლებამდე.

ეს მოვლენა ბევრად უფრო მასშტაბური და მძიმე იქნებოდა, რომ არა ქართველ მამულიშვილთა ერთი ნაწილის (ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, გიორგი გურიელი, გიორგი ყაზბეგი)

თავდადება, რომელთა ხელშეწყობითაც არათუ შემცირდა საქართველოდან მუსლიმი ქართველების სამკვიდროდან აყრა, არამედ წინა წლებში გადასახლებულთა ერთი ნაწილი ქვეყანას უკან დაუბრუნდა.

მუჰაჯირებად გადაიხვეწნენ არა მხოლოდ აჭარიდან, არამედ რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ შემოერთებული ართვინის ოლქიდან — მურულულისა და ბორჩხა-მარადიდის ხეობებიდან. სამწუხაროდ, ეს ხეობები მალე ისევ თურქეთის მფლობელობაში მოექცა და XVI საუკუნიდან ოსმალების მიერ ქართველთა ვის წართმეულ მიწა-წყალს (ისტორიულ ტაოკლარჯეთს) მიემატა.

ქართველი მუჰაჯირების განსახლებადად

ორი დიდი არეალი გამოიყო მაშინდელ ოსმალეთის იმპერიაში (ახლანდელი თურქეთის რესპუბლიკა) — სამხრეთ შავი ზღვისპირეთისა და მარმარილოს ზღვის სანაპიროები, ასევე მათი მიმდებარე ტერიტორიები.

გადასახლებულნი ისეთ ადგილებში ცდილობდნენ დამკვიდრებას, რომლებიც მათ მშობლიურ სოფლებს ჰგავდნენ მთა-ბარი, ტყეებით, მინდვრებით, ღელე-ნაკადულებით, ფლორითა და ფაუნით... მეტიც, სოფლებს, დასახლებულ პუნქტებს, სახნავ-სათესებს, მდინარეებს ქართულ სახელებს არქმევდნენ. მარმარილოს ზღვის სანაპიროზე საქარიის ვილაიეთში დღეს მთავარ მდინარეს, საქარიაჩაის ადგილობრივი მოსახლეობა ჭოროხს ეძახის. მართალია, თურქეთის მთავრობამ ქართული სახელები გადაარქვა მთავარ დასახლებულ პუნქტებს, მაგრამ მიკროტოპონიმებს ვერაფერი მოუხერხა. დღესაც გაიგონებთ ადგილობრივთაგან: შავდელე, ქვიანდელე, კორდები, წითელმიწა, ციფწყალი, კალოები, ბალიანიყანა, თომასდელე, ღელე-ბოსტანი...

### ქართული ხელოვნების სახელები

სამეცნიერო ექსპედიცია, რომლის მიზანი თურქეთელ ქართველთა ყოფისა და კულტურის შესწავლაა, სტამბოლის აზიური ნაწილიდან დაიწყო. აეროპორტი პირველი თურქი მფრინავი ქალის, საბირჰან გიოგჩელის სახელობისაა. ჩვენი მასპინძელი გიორგი ირუმაძეა (შემსდინ იემი), სტამბოლში ქართული ხელოვნების სახლის დამფუძნებელი, მაჭახლისხეობელი ჩვენებური კაცი. მის სოფელს უმშვენიერესი სახელი ირემეთი ჰქვია... ხელოვნების სახლს იბერია მე-

ლაშვილი, სახელგანთქმული აჰმედ ოსგან მელაშვილის ვაჟი ხელმძღვანელობს. მკითხველს ალბათ იმის შესწენება არ დასჭირდება, რომ სწორედ აჰმედ მელაშვილმა გამოადგინა თურქეთელ ქართველებში ეროვნული სიამაყე და ქართული სული, აჰმედ მელაშვილს თურქეთელ ილია ჭავჭავაძესაც უწოდებენ და სწორედ დიდ ილიას მსგავსად დაასრულა სიცოცხლე (იმ განსხვავებით, რომ ილია თავისმა თანამემამულეებმა გასწირეს, აჰმედ მელაშვილი კი — თურქმა ნაციონალისტებმა). ხელოვნების სახლში, რომ იტყვიან, ქართული სული ტრიალებს. აქ იკრიბებიან საქართველოთი, საკუთარი ფესვებით, წარმომავლობით, ენით, ანბანით, კულტურით დაინტერესებულნი. აქ მისულები ერთგან თუ ქართული წერა-კითხვის შემსწავლელ სხვადასხვა ასაკის ადამიანს შევხვდით, მეორეგან ქართული სიმღერის გაკვეთილს შევესწარი, მოზრდილ დარბაზში ქართულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილ მოცეკვავებსაც შევხვდით... აჰმედ მელაშვილის ანსამბლს, რომელსაც „კავდალი“ („კავკასიონი“) ჰქვია, თბილისშიც იცნობენ. ანსამბლის წევრთა უმეტესობა თურქეთელი ქართველია. ყველა მათგანი მღერის და უკრავს ქართულ ტრადიციულ საკრავებზე (ფანდური, სალამური, ჩონგური, დოლი, გარმონი, ჭიბონი...). განსაკუთრებით პოპულარულია მათი შესრულებით აჭარული „ჯირველო ნანაი და“ აჭარულ ცეკვასთან ერთად. ამ კომპლექსური სიმღერაცეკვის გარეშე აქაური ლხინი და ქორწილი ხომ წარმოუდგენელია...

სტამბოლში, ამ თითქმის 14-მილიონიან ქალაქში ასეთი რამდენიმე საზოგადოებაა, რომელთაც საკუთარი ხარჯებით აფინანსებენ



საქარიის ილში





ქართული ხელოვნების სახლი სტამბოლში



ანსამბლი „კაფდალი“, შუაში იბერია მელაშვილი

გიორგი ირემაძე — სტამბოლში ქართული ხელოვნების სახლის დამფუძნებელი



აქაური გურჯები. ათეულობით ქართული ხელოვნებისა და კულტურის სახლი მოქმედებს საუკუნე-ნახევრის წინ საქართველოდან განიხნულ ქართველთა შთამომავლებით განსახლებულ ვილაიეთებსა და ილჩეებში (რაიონებში). ეს ერთგვარი ხილია თურქეთელ ქართველებსა და საქართველოს შორის. ბევრი ჩვენებური აქ ეცნობა ერთმანეთის შემოქმედებას, ლაპარაკობენ, კითხულობენ, წერენ, მღერიან, ცეკვავენ ქართულად. ქსოვენ ქართულ ორნამენტებით, ერთმანეთს უზიარებენ ეროვნული კერძების რეცეპტებს.

ერთი დეტალიც: თუ თურქეთელმა ქართველებმა მშობლიური ენა მეტ-ნაკლებად შეინარჩუნეს, ამას ვერ ვიტყვით წერა-კითხვაზე, ქართულ ანბანზე. ალბათ ამიტომაც ჭარბობს ქართული კულტურისა და ხელოვნების სახლებში მოყავისფრო დაფები კედლებზე, მომცრო, ფლომასტერით საწერი დაფები მაგიდებზე და ამ დაფებზე გულმოდგინედ გამოყვანილი „აი ია“ და „საქართველო“...

**აია სოფია**

ბოსფორის სრუტეზე ბორნით მივდივართ ქვეყნისა და ქალაქის ფეროპული ნაწილისკენ. ოქროს რქის ყურეც გამოჩნდა. ლევენდარული ისტორიული ადგილი. სწორედ აქ გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა ოსმალეთის სულთან მეჰმედ ფათიჰისა და ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინეს XIII-ს შორის 1453 წლის 29 მაისს. სწორედ აქ და ამ დღეს დასრულდა ბიზანტიის და კონსტანტინეპოლის ძღვეამოსილი ისტორია და ოსმალთა განდიდება დაიწყო. კონსტანტინეპოლი ისტანბულად იქცა. მისი ბედი გაიზიარა წმინდა სოფიის მართლმადიდებლურმა ტაძარმა. სულთნის ბრძანებით იგი მეჩეთად გადაკეთდა და მინარეთები ოთხივე კუთხეში მიამუშენეს. დღეს აია სოფიაში მუზეუმია. მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოდიან ამ განსაცვიფრებელი ტაძრის სახილავად.

წმინდა სოფიის ანუ სიბრძნის ტაძარი ხუთ წელიწადს შენდებოდა და 537 წელს დასრულდა ბიზანტიის ძღვეამოსილ იმპერატორ იუსტინიანე ლიდის დროს. ამ გრანდიოზული ნაგებობის შემოქმედნი არიან ანთიმოზ ტრასელელი და ისიდორე მილეეთელი. ტაძარს 30 მეტრი დიამეტრის მქონე გუმბათი აკვირგვინებს. სვეტები შიდა სივრცეს რამდენიმე ნაწილად ჰყოფს, ხოლო გუმბათის ძირში გაჭრილი 40 ფანჯარა

ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს მთელი ეს გუმბათი ჰაერშია გამოკიდებული. კედლები ძვირფასი მარმარილოთა მოპირკეთებული. შემორჩენილია მაცხოვრის, ღვთისმშობლის, წმინდანთა უნიკალური მოზაიკური გამოსახულებები...

**რაც „დიდ დედებს“  
უსწავლავიათ...**

თურქეთში გუბერნიას ილი ჰქვია, ხოლო რაიონს — ილჩე. მარმარილოს ზღვის რეგიონში მდებარე საქარიის ილი ქართველ მუჰაჯირთა განსახლების ერთ-ერთი უდიდესი არეალია. მართო პენდკეის ილჩეში თხუთმეტი ქართული სოფელია, ძირითადად მურღულის ხეობიდან გადმოსული აბაშიძეების, ლორთქიფანიძეების, კირვალაძეების, ათაბეგების, ბოლქვაძეების, ცისკარიშვილების შთამომავლები. ამავე ილჩეში ორი ლაზური, სამი აფხაზური და ერთი ჩერქეზული სოფელია. ჩვენი მთხრობელი მუჰამედ უზანი გვიყვება, რომ მისი წინაპრები ჭოროხის ხეობიდან, სოფელ ქართლადან გადმოსულან და დიდ დედები (ბაბუები) ბოლქვაძეები ყოფილანო (აქვე განემარტავ, რომ დღეისთვის აღარც ჭოროხის ხეობის ეს ნაწილი ეკუთვნის საქართველოს). სოფლისთვის ქომქოიუ, ანუ კომკის სოფელი დაურქმევიათ, რადგანაც აქ ერთი კომკი დახვედრიათ (ეტყობა აქაურობა ნასოფლარს წარმოადგენდა). ეს სოფელი იმიტომაც შეურჩევიათ, რომ აქ ტყეც არის, სახნავ-სათესიც და ქართლასაც ძალიან ჰგავს. სოფელს ახლაც მუხის, წიფლის, კაკლისა და წაბლის ტყეები აკრავს გარს. თავდაპირველად ხის სახლები აუგიათ, წაბლის მორებისგან აუშენებიათ ჯვარგავლები. ტყე-ბუჩქნარი გაუკაფავთ და ახო-ხოდაბუნებდად უქცევიათ. ხორბალსაც თესდნენ, ქერსაც, სიმინდ-ლობოსაც. ხარ-ძროხაც ჰყავდათ და თხასა და ცხვარსაც უვლიდნენ. დიდ ფართობებზე აშენებდნენ თამბაქოს, რომლის მოყვანის ტრადიციაც ქართლადან გადმოუყოლებიათ. დღეს ეს კულტურები თხილმა ჩაანაცვლა, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოში. აქაურებს თხილის იმდენად უხვი მოსავალი მოჰყავთ, რომ ხშირად თავად ვერ აუდიან და არცთუ იშვიათად, საქართველოდან სამუშაოდ ჩასულთაც შჩვადებით, რომელთაც თხილის შვროვებისთვის დღიურად 40-50 ლირას უხდიან ადგილობრივები. სოფელ ყიშლაჩაიში რამდენიმე ქართველი ახალგაზრდა ხეტყის სამუშაოებზეც შეგვხვდა.



აია სოფია



მუჰამედ უზანი: — ჩვენ დიდ დედებს ურმის კეთების ხელობა ქართლადან წამოუღიათ...  
ჰენდეკელი პატარა „ლამაზურჯები“







შეხვედრა ქართველ მეცნიერებთან სოფელ ნურმუჰამედში. ავტორის ფოტოები



გიორგი აუთანდილაშვილი: — ეს ხალხი შუალამედე გველოდებოდა, რომ გაიგეს, ქართველები მოდიან ჩვენს სანახაუდო...

თხილის მოსავლის აღება-დაბინაუება არცთუ ადვილია. ხიდან ჩამობერტყავენ წაბლის ან თხილის გრძელი ჭოკებით, რომელსაც ისევე როგორც საქართველოში, აქაც ხალას ან ხაშარს ეძახიან. ჩენჩოიანად აკრეფენ, გააშრობენ ეზოებში და შემდეგ სპეციალური ელექტრომანქანით გაკროლავენ (ანუ გაარჩევენ). 1 კგ თხილის ფასი, მოსავლიანობის შესაბამისად, 3-5 ლირას შეადგენს.

თუ საქარიის ილში მოსახლეობის შემოსავლის ძირითად წყაროს თხილი წარმოადგენს, ბურსა-გემლიკში ზეთისხილის უზარმაზარი პლანტაციები აქვთ, ცენტრალურ ანატოლიაში — ხორბალი, ხოლო მთელ თურქეთს საუკეთესო ჩაით ამარაგებს ლაზეთი

თურქეთის სარფიდან ათინა-არდაშენამდე. რიზეს ჩაიმ არა მხოლოდ ჩაის სმის კულტურით საყოველთაოდ ცნობილი თურქეთი „აითვისა“, არამედ დიდ ბრიტანეთშიც შეაღწია და ცეილონურ და ინდურ ჩაის უწევს კონკურენციას.

### ჩაიზე უარს ნუ იტყვი...

აქაურ ქართულ ოჯახებში, ისევე როგორც მთელ თურქეთში, ჩაის სმის გამორჩეული ტრადიციაა. ჩაით გემასპინძლებიან არა მხოლოდ ოჯახებსა და საჩაიებში, არამედ მაღაზიაში შესულსაც. ჩაის სვამენ პატარა (ასგრამიანი), გამოყვანილი მინის თხელი ჭიქებით (სხვათა შორის, ჩვენთან ეს ე.წ. წელში გამოყვანილი ჭიქები გასული საუკუნის დასაწყისში

ღვინის პოპულარულ სასმისად მიიჩნეოდა). სურვილისამებრ მოგართმევენ შაქრიან, უშაქრო ჩაის, ჩაის ნატეხი შაქრით. თუ ჩაი შემოგთავაზეს და უარი განაცხადე, ჩათვალეთ, რომ მასპინძლის ნდობას ვეღარაფრით მოიპოვებთ.

ქალაქის ტიპის დასახლებებში თურქულ (ნალექიან) ყავასაც შემოგთავაზებენ, თუმცა აქაური ჩაი მაინც შეუცვლელია. აქაური წესით მოდულებული ჩაი ძალიან გემრიელია, რომლის საიდუმლოსაც ჩვენც ვეზიარეთ.

გემრიელი ჩაი დაგვახვედრეს ჩვენი ერთ-ერთი მასპინძლის, მუსტაფა კოლატის შშობლიურ სოფელ ნურმუჰამედშიც, სადაც ქართველ მეცნიერებს ლამის მთელი სოფელი შუაღამემდე გველოდებოდა. დიდი ხნის უნახავი ახლობლებით შევხვდით ერთმანეთს.

ახალგაზრდა ეთნოლოგი გიორგი ავთანდილაშვილი: — ბედნიერი და განარებული ვარ. ღამის პირველ საათზე თურქეთელი ქართველებისგან ეთნოგრაფიულ მასალას ვიწერთ. შეამაყება ჩემი პროფესიის! ეს ხალხი შუაღამემდე გველოდებოდა, როცა გაიგეს, ქართველები მოდიან ჩვენს სანახაუდო. როგორი განცდებით დაგვიხვდნენ, ვერ აგიხსნით. ეს უნდა გენახათ!..

## მედიკა-მედეა

საქარიის ილში ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მეგზური მედიკა ილდიზია (ილდიზი თურქულად ვარსკვლავს ნიშნავს), ჩვენებურად — მედეა თავდგირიძე. მედეა ქალაქ აქი-აზში ცხოვრობს. პროფესიით ფარმაცევტია, მაგრამ იმავდროულად კარგად იცნობს ორი ქვეყნის — საქართველოსა და თურქეთის კულტურასა და ხელოვნებას. არ მოისვენა, სანამ თავისი სოფელი, აჰმედე და ხისიმები (ნათესავები) არ გაგვაცნო. საჭვს თვითონ უჯდა და მთელი გზა თავის ქართულ ფესვებზე გველაპარაკებოდა. მისი შორეული წინაპრები ქობულეთელი ბეგები ყოფილან. ქობულეთიდან შუახევში გადასულან, იქიდან კი — აჰმედეში. აქ ცხოვრობენ თავდგირიძეების, ხიმშიაშვილების, მაკარაძეების შთამომავლები (ოღონდ ამჯერად თურქული გვარებით). მედეა მათ საკუთარი ფესვების, გვარების, ანბანის, ენისა და ტრადიციების შენარჩუნებას უადვილებთ. სოფლის შესასვლელში ქართულ-თურქულენოვანი ფირნიში აღუმართავს თურქეთელი მოცეკვავე ქართველების ფოტოთი და გუ-

*გურჯი (ბოსტანაშვილები) ბებია-შვილიშვილი სოფელ რეშადიდან, ჩვენი გულითადად მასპინძლები*







მედიპა თავდგირიძემ სულ ახლახან საქართველოს მოქალაქეობა მიიღო

ვაზი აქაური კარ-მიდამოს აუცილებელი „ატრიბუტია“

ლითადი მიპატივებით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სოფელ აჰმედიეში“.

ჩვენი იქ ყოფნისას მედეა-მედიპამ ისიც გაგვიმხილა, საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად საბუთები ჩავაბარეო და მოუთმენლად ელოდა პასუხს. მედეა-მედიპა დღეს საქართველოს მოქალაქეცაა და თქვენთან ერთად ვულოცავთ მას ამ სიხარულს...

— ჩვენ წყალში ამოვლებული ლამაზგურჯები ვართ, — გვეუბნება მედეას ბიძა, ჰუსნი ჩეთიკაია (ხიმშიაშვილი) და იმასაც გვიხსნის, თუ რატომ არიან „ლამაზგურჯები“. იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენი გურჯული ენა დევინარჩუნეთო. ჩვენი მეზობელი ბიგვიდერელი აბაზები (აფხაზები) კი აფხაზურს დაბლაგვებულად ლაპარაკობენო...

70-ს მიტანებული ჰუსნი ხიმშიაშვილი იმასაც იხსენებს, რომ სკოლაში შესვლისას 33 „ბადვიდან“ თურქული არც ერთმა არ ვიცოდით, მერე ვისწავლეთო. დღეს კი ბავშვებმა ქართული ძალიან ცუდად, ან სულაც არ იციან... სწორედ ეს არის მედეასა და ჩვენი საწუხარიცო... ამიტომაც მიხარია ახალი ქართული კულტურის ცენტრების გახსნაო...

**ნოდარ შოშიტაშვილი**

ისტორიის დოქტორი,  
პროფესორი  
(გაგრძელება მომდევნო ნომერში)





25 სექტემბრიდან  
**ბიზნესის  
გენი**

ადამიანები, რომლებმაც  
მსოფლიო ბიზნესში  
გადატორილება მოახდინეს



SHELDON ADELSON



MICHAEL BLOOMBERG

გაზეთ **სიხევე** -სთან  
ერთად

**ახალი პროექტი**

თვეები ორჯერ



MICHAEL DELL



BILL GATES



HENRY FORD

**სტივ ჯობსი**

წიგნი 1

წიგნის ფასი : **3 ლარი**  
გაზეთთან ერთად : 4 ლარი



LARRY PAGE



JEFF BEZOS



MARK ZUCKERBERG

**მათი წარმატების საიდუმლო გენი სტივობისთვის!**



ვრეხა და წიგნები ადგილზე მიწოდებით, ფასნამათის გარეშე  
თელ.: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76 [www.elva.ge](http://www.elva.ge)





ცენტრში  
დგას შალვა  
ბერიშვილი

## ქართველი მუზერავი სამეაბ თაგაუში

### შალვა ბერიშვილის „ბვირაბი“ კარიზიდან მოსკოვამდე

საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის შესახებ ინფორმაცია საბჭოთა დაზვერვას, რიზარდ ზორგეს მსგაესად, ქართველმა ემიგრანტმა შალვა ბერიშვილმაც მიაწოდა.

დაზავების და მოჩვენებითი პოლიტიკური სტაბილურობის მიუხედავად, პირველი მსოფლიო ომის შემდგომმა პერიოდმა ევროპას სიმშვიდე ვერ მოუტანა. ვითარება სულ უფრო და უფრო ფეთქებადსაშიში ხდებოდა, ძირითადად, დამარცხებული გერმანიის დისკრიმინაციული მდგომარეობის გამო, რასთან შეგუებასაც ეს უკანასკნელი არანაირად არ აპირებდა. ეს განსაკუთრებით აშკარა გახდა გერმანიის სათავეში ნაციონალ-სოციალისტების მოსვლის შემდეგ.

1938 წელს გაჩნდა მეორე მსოფლიო ომის დაწყების საშიშროება, თუმცა განვითარებულმა მოვლენებმა ეს პროცესი ერთი წლით გადასწია. ამ დროისთვის, ანტისაბჭოთა საქმიანობის ცენტრად კვლავ საფრანგეთი, კერძოდ, პარიზი რჩებოდა. აქტიურობით გამოირჩეოდა ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია, რომლის ავანგარდშიც დევნილი მთავრობის ლიდერები იდგნენ. მათ ინტენსიური კონტაქტები ჰქონდათ ანტისაბჭოთა საქმიანობით და-

ინტერესებულ ქვეყნებთან, განსაკუთრებით, საფრანგეთის მთავრობასა და სამხედრო უწყების წარმომადგენლებთან.

გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის შესაძლო ომის მოახლოების ფონზე, საფრანგეთის დაზვერვამ და სამხედრო სამინისტრომ წინასწარი სამუშაოები დაგეგმეს. მათ ინტერესში შედიოდა ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის გააქტიურება და მისი ძალისხმევის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართვა.

გაზშირდა ქართული ემიგრანტული მთავრობის ერთ-ერთი ლიდერის, ვეგენი გეგეჭკორის კონტაქტები საფრანგეთის სამხედრო სამინისტროსთან. საქართველოს დევნილმა მთავრობამ საფრანგეთის ხელისუფლებას ოფიციალურად გადასცა ნოე ჟორდანიას, ვეგენი გეგეჭკორისა და აკაკი ჩხენკელის ხელმოწერილი, მათდამი სრული მხარდაჭერის ამსახველი მემორანდუმი. ამის შემდეგ ანტისაბჭოთა საქმიანობის თვალსაზრისით წინა

პლანზე გამოდის ქართველ სოციალ-დემოკრატიულ ლიდერის, ნოე რამიშვილის დისშივილი შალვა ბერიშვილი.

ნოე რამიშვილის მკვლევლობის შემდეგ შალვა ბერიშვილი, სარდიონ (სანდრო) მენადარიშვილთან ერთად, საზღვარგარეთ ფარული ანტისაბჭოთა საქმიანობის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა გახდა. ყველაზე რთულ დავალებებს ნოე ჟორდანიას მას ანდობდა, როგორც უშიშარ და სამშობლოზე შეყვარებულ ახალგაზრდას. შალვა ბერიშვილისა და სანდრო მენადარიშვილის მემკვიდრეობით, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს დამყარებული ჰქონდა ოფიციალური კონტაქტები პოლონეთის, ინგლისის, საფრანგეთისა და თურქეთის სპეცსამსახურებთან, რომელთა მემკვიდრეობითაც ანტისაბჭოთა ღონისძიებანი იგეგმებოდა და ხორციელდებოდა.

გერმანია 1939 წლის 1-ელ სექტემბერს თავს დაესხა პოლონეთს, დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. 3 სექტემბერს ინგლისმა გერმანიას ომი გამოუცხადა. 28 სექტემბერს გერმანელები ვარშავაში შევიდნენ. საფრანგეთში მოღვაწე ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური ემიგრაციის ლიდერებს მიაჩნდათ, რომ ინგლის-საფრანგეთის სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი გერმანია-საბჭოთა კავშირს დაამარცხებდა და ეს პროცესი დადებითად წაადგებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

ერთობლივი ანტისაბჭოთა საქმიანობის დაგეგმვისა და საერთო კოორდინაციისთვის, ა. მარკემ 1939 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში ნოე ჟორდანიას ბინაში შეხვედრა მოაწყო, რომელსაც ნოე ჟორდანიას, შალვა ბერიშვილსა და ა. მარკესთან ერთად, ინგლისისა და პოლონეთის გენერალური შტაბების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე ითქვა, რომ მეკავშირეები გენერალ ვეიგანის მეთაურობით გაერთიანებულ არმიას აყალიბებდნენ. სამხედროები იმედოვნებდნენ, რომ აუცილებლად ჩაერთვებოდა თურქეთიც. ნოე ჟორდანიამ ცალსახად განაცხადა, რომ ქართველები ითანამშრომლებდნენ მათთან ანტისაბჭოთა საქმიანობის თვალსაზრისით იმ პირობით, თუკი მოკავშირეები აღიარებდნენ საქართველოს დევნილ მთავრობას და მომავალში ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენაში დაეხმარებოდნენ. ქართველებმა ასევე მოითხოვეს, რომ როცა გაერთიანებული არმია, მათ შორის თურ-

ქეთის სამხედრო დანაყოფები, საქართველოში შევიდოდა, წინა ფლანგზე აუცილებლად ფრანგები უნდა ყოფილიყვნენ.

შტაბების წარმომადგენლებმა ნოე ჟორდანიას და შალვა ბერიშვილი დაპირებებით აავსეს. იქვე გადაწყდა, რომ შალვა ბერიშვილი, როგორც მრჩეველი კავკასიის საკითხებში, მივლინებული იქნებოდა თურქეთში დისლოცირებულ მეკავშირეთა არმიის შტაბში. კონკრეტულ ოპერატიულ დავალებებს შალვა ბერიშვილი თურქეთში საფრანგეთის საელჩოს სამხედრო ატამისგან მიიღებდა.

1939 წლის 16 სექტემბერს შალვა ბერიშვილი სტამბოლში ჩავიდა და მეორე დღეს შეხვდა თურქეთში საფრანგეთის საელჩოს სამხედრო ატამს, ლელეს. მათ ერთად დასახეს სამომავლო გეგმები. შალვა ბერიშვილმა ოფიციალური კონტაქტები დაამყარა თურქეთის სპეცსამსახურებთანაც.



ნოე ჟორდანიას



ნოე რამიშვილი



1940 წლის მარტის ერთ-ერთ შეხვედრაზე ლელემ შალვა ბერიშვილს განუცხადა, რომ თურქეთი ყველანაირად მზად იყო საბჭოთა კავშირზე თავდასხმისთვის. იმჟამად მეკავშირეები ამზადებდნენ გემს ბაქოს, თბილისისა და ბათუმის დასაბომბად და საავიაციო დესანტის გადასასხმელად სამხრეთ კავკასიაში. ეს ინფორმაცია სულ მალე დაადასტურეს ვეიგანის შტაბის უფროსმა ლიოკრელმა და ავიაციის სპეციალისტმა დუბუამ, რომლებმაც დაბეჯითებით განუცხადეს შალვა ბერიშვილს, რომ საბჭოთა კავშირზე თავდასხმა მეკავშირეთა მხრიდან პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო. ამისთვის მათ ესაჭიროებოდათ უკანასკნელი ცნობები საბჭოთა აეროდრომებზე, მთებში ასაფრენ-დასაფრენ ბილიკებზე, პუნქტებზე, სადაც ყველაზე მოხერხებული იქნებოდა მცირე შეიარაღებული ჯგუფების გადასროლა და სხვ. რაც შეეხებოდა ქართულ ანტისაბჭოთა ემიგრაციას, მეკავშირეთა აზრით, ომის დაწყებისთანავე, მას უნდა აემოქმედებინა ანტისაბჭოთა იატაკქვეშა ცენტრები საქართველოში, ხოლო თვით შალვა ბერიშვილი კი, სადაზვერვო პუნქტების მომზადების მიზნით, სასწრაფოდ უნდა გამგზავრებულიყო საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვრის სიახლოვეს.

1940 წლის მაისის დასაწყისში თურქების მხარდაჭერით საბჭოთა კავშირ-თურქეთის

საზღვართან ყოფნამ შალვა ბერიშვილი დაარწმუნა, რომ თურქეთი მზად იყო საბჭოთა კავშირზე თავდასხმისთვის.

შალვა ბერიშვილმა, შექმნილი ვითარების თაობაზე, მოახერხა ნოე ჟორდანიასთვის სასწრაფოდ ინფორმაციის მიწოდება. ნოე ჟორდანიამ მაშინვე განუმარტა შალვა ბერიშვილს, რომ ყველა მის ხელთ არსებული საშუალებით წინააღმდეგობა უნდა გაეწია ამ პროცესისთვის და თუ საჭირო გახდებოდა, როგორც ინფორმაცია მიეწოდებინა საბჭოთა სპეცსამსახურებისთვის.

ნოე ჟორდანიას ამგვარმა პოზიციამ შალვა ბერიშვილი გააოგნა, თუმცა დაკლება უნდა შესრულებულიყო. როგორც ჩანს, ნოე ჟორდანიას გადაწყვეტილებაზე იმანაც იმოქმედა, რომ დიდი დაპირებების მიუხედავად, საფრანგეთი არ ჩქარობდა საქართველოს დევნილი მთავრობის აღიარებას. იმავედროულად, თურქეთის გეოსტრატეგიულ მისწრაფებათა გათვალისწინებით, მოკავშირეები მას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დასაწყებად აქეზებდნენ და ჰპირდებოდნენ, სამომავლოდ, კავკასიის რეგიონის მათი გავლენის სფეროდ აღიარებას. ეს კი ნიშნავდა, რომ ასეთ ვითარებაში, საომარი მოქმედებები კავკასიაში თურქეთის მონაწილეობით გამოიწვევდა იქ მცხოვრები ერების ფიზიკურ განადგურებას.



საბჭოთა სამხედრო კრეისერი ბათუმის პორტში, 1941 წ.



გერმანელ სამხედროთა მსვლელობა 1940 წელს პარიზის ქუჩებში

შალვა ბერიშვილი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საქართველო კვლავ საერთაშორისო დიპლომატიის მსხვერპლი ხდებოდა. აქედან გამომდინარე, გადაწყვიტა, როგორმე საბჭოთა ხელისუფლებისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია საომარ მოქმედებათა შესაძლო განვითარების თაობაზე, მით უმეტეს, ეს ნოე ჟორდანიას მოთხოვნაც იყო.

შალვა ბერიშვილმა საზღვრის გასწვრივ დაუბრკოლებელი გადაადგილების უფლებით ისარგებლა, 1940 წლის 9 ივნისს არალეგალურად გადალახა თურქეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარი და კურორტ აბასთუმანს ეწვია. იქიდან მან მოსკოვში, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისიის სახელზე, ჩვეულებრივი ფოსტით, გააგზავნა წერილი, რომელშიც გადმოცემული იყო მის ხელთ არსებული ინფორმაცია უახლოეს მომავალში ბაქოს, თბილისისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების შესაძლო დაბომბვისა და სხვა საინტერესო ოპერატიული ცნობები. მეორე დღესვე შალვა ბერიშვილი თურქეთში დაბრუნდა.

ძნელია მტკიცება, გაითვალისწინა თუ არა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ ეს მე-

ტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია და მიიღეს თუ არა შესაბამისი ოპერატიული და პოლიტიკური გადაწყვეტილებები. თუმცა უკვე 1940 წლის 14 ივნისს გერმანელები მარშით შევიდნენ „ღია ქალაქად“ გამოცხადებულ პარიზში.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო და დაზვერვა სრულ გაუგებრობაში აღმოჩნდნენ, თუმცა საფრანგეთის საელჩო თურქეთში თავის საქმიანობას მაინც განაგრძობდა.

მეკავშირეთა გეგმების ჩაშლის შემდეგ თურქებს ეშინოდათ, რომ საბჭოთა კავშირი ომს დაუწყებდათ და ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოეპოვებინათ საზღვრის გასწვრივ ბოლშევიკთა სამხედრო მზადების თაობაზე. თურქებმა დახმარებისათვის შალვა ბერიშვილს მიმართეს, რომელიც საქართველოში არალეგალურ გადასვლას დათანხმდა.

1940 წლის აგვისტოს ბოლოს, საქართველოში ანტისაბჭოთა საქმიანობის ორგანიზების მიზნით, შალვა ბერიშვილმა ქართველ ემიგრანტებთან — დავით ერქომაიშვილსა და შალვა კალანდაქესთან ერთად, გამყოლთა მემკვიდრით, არალეგალურად გადაკვეთა თურქეთ-





მიხეილ კელა

საბჭოთა კავშირის საზღვარი და ბათუმისკენ გაემურა. ათდღიანი მომქანცველი მგზავრობის შემდეგ, 1-ელი სექტემბრისთვის, ისინი ბათუმის სიანლოვეს, დასახლება ახალშენთან, დაბურულ ტყეში დაბინავდნენ.

შალვა ბერიშვილმა კარგად იცოდა, რომ მის ქცევას თანამემამულეთა თვალში ეჭვი არ უნდა გამოიწვია და სხვადასხვა ხერხს მიმართავდა. სპეცსამსახურების ოპერატიული კომბინაციის შედეგად, ერქომაიშვილმა და კალანდაძემ ახალშენის ტყეში ერთი ხანობა დაევეს და შემდეგ კვლავ თურქეთში დაბრუნდნენ, ხოლო შალვა ბერიშვილი საქართველოში დარჩა.

ბათუმის ბულვარში მან მეორედ დაწერა წერილი საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის, ლავრენტი ბერიას სახელზე. წერილში იგი ასახულებდა თავისი გადაწყვეტილების მიზეზს — ეთანამშრომლა საბჭოთა ხელისუფლებასთან, რაც ძირითადად დაკავშირებული იყო იდეურ მოსაზრებებთან და იმ დროის მსოფლიოში შექმნილ ვითარებასთან და საბჭოთა სპეცსამსახურებთან აუცილებელ შეხვედრას მოითხოვდა, შეთავაზებული ოპერატიული სქემის მიხედვით შალ-

ვა ბერიშვილმა წერილი კონვერტში ჩადო და საფოსტო ყუთში ჩააგდო, თვითონ კი ტყეში დაბრუნდა.

1940 წლის 21 სექტემბერს, დათქმული პირობების შესაბამისად, შალვა ბერიშვილი ქობულეთის რკინიგზის სადგურთან შეხვდა საქართველოს შინაგან უსუსურების მინისტრის პასუხისმგებელ მუშაკ ირაკლი ნიბლაძეს, რომელმაც ის ერთ-ერთ სამთავრობო აგარაკზე ფარულად შეახვედრა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ავქსენტი რაფაევასა და საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მაღალი რანგის თანამშრომელს ილინს. იმავე დღეს შალვა ბერიშვილი მათთან ერთად მოსკოვში გაამგზავრეს.

ლავრენტი ბერია დიდი ინტერესით მოისმინა შალვა ბერიშვილის ინფორმაცია. ამ უკანასკნელის სადაზვერუო შესაძლებლობები იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ იქვე, ლავრენტი ბერიას კაბინეტშივე გადაწყდა მისი ჩართვა საბჭოთა საგარეო დაზვერვის სასარგებლოდ მეტად სარისკო და სპეციფიკურ საქმიანობაში.

მოსკოვიდან თბილისამდე შალვა ბერიშვილმა მატარებლით, ხოლო ბათუმამდე ავტომობილით იმგზავრა. იქიდან ჩეკისტებმა დამით ტყემდე მიაცილეს. ეს მოხდა დაახლოებით 10-15 ოქტომბერს. მოკლე ხანში, შალვა ბერიშვილი კიდევ ერთხელ აღმოჩნდა მოსკოვში, სადაც საბჭოთა საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელ მუშაკებს შეხვდა. ამის შემდეგ შალვა ბერიშვილი კვლავ ბათუმში ჩამოიყვანეს, ხოლო 1940 წლის 13 ნოემბერს, ჩეკისტების დახმარებით, მან არალეგალურად გადაკვეთა საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარი და თურქეთში დაბრუნდა. აქ მან უმოკლეს დროში წარუდგინა თურქეთის დაზვერვის წარმომადგენელს ანგარიში (მოსკოვში წინასწარ შეთანხმებული) საქართველოში გაწეული არალეგალური საქმიანობის შესახებ.

შალვა ბერიშვილს საფრანგეთის, თურქეთის, პოლონეთის, ინგლისისა და გერმანიის დაზვერვის წარმომადგენლების მსგავსად, საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა თურქეთში აბაონის საელჩოს სამხედრო ატამე ჰორიო ტატეისთან. შალვა ბერიშვილმა საბჭოთა მოსკოვში მომზადებული ინფორმაცია თურქეთის, საფრანგეთისა და ინგლისის სპეცსამსახურების მსგავსად, ტატეისთან გადასცა.

1941 წლის დასაწყისში, წინასწარი შეთანხმების თანახმად, შალვა ბერიშვილთან კონტაქტის დასამყარებლად და სადაზვერვო საქმიანობის წარმართვისთვის სტამბოლში ჩავიდნენ საბჭოთა საგარეო დაზვერვის თანამშრომლები, ცოლ-ქმარი ვარდო მაქსიმელიშვილი და დავით მატარაძე. ისინი საბჭოთა კავშირის საკონსულოს საფარველქვეშ მოქმედებდნენ.

იმავლე წლის მაისის შუა რიცხვებში ჰორიო ტატეიშიმ შალვა ბერიშვილს კონფიდენციალურად აცნობა, რომ გერმანია მოკლე ხანში აუცილებლად თავს დაესხმებოდა საბჭოთა კავშირს. ეს შალვა ბერიშვილმა სასწრაფოდ მოახსენა კონსპირაციულ შეხვედრაზე დავით მატარაძეს, მან კი ცნობა მოსკოვს მიაწოდა.

1942 წლის 6 მაისს შალვა ბერიშვილსა და ვარდო მაქსიმელიშვილს შორის მორიგი შეხვედრა იყო დაგეგმილი. მასზე პირველი შალვა ბერიშვილი გამოცხადდა. მან ვარდო მაქსიმელიშვილის მოახლოებისთანავე შენიშნა, რომ საბჭოთა მზვერაზე ფარული მეთვალყურეობა იყო დაწყებული. ვითარების შესაძლო დამბვის თავიდან ასაცილებლად, შალვა ბერიშვილმა და ვარდო მაქსიმელიშვილმა, მისაღმების შემდეგ, შეხვედრა 12 მაისისთვის გადადეს და ერთმანეთს სასწრაფოდ დასცილდნენ. დათქმულ შეხვედრაზე ვარდო მაქსიმელიშვილი აღარ მისულა და ამის შემდეგ შალვა ბერიშვილის კონტაქტები საბჭოთა დაზვერვასთან გაწყდა...


შალვა ბერიშვილს პრობლემები დაუგროვდა. უმთავრესი ის იყო, რომ საბჭოთა დაზვერვასთან კონტაქტი გაწყვეტილი ჰქონდა (საგარეულოდ, ვარდო მაქსიმელიშვილი და დავით მატარაძე თურქეთიდან გაიწვეს) და ვერც დავალებებს იღებდა და ვერც ანგარიშს აბარებდა ვინმეს, ხოლო ქართველ ემიგრანტთა ერთი ნაწილი მისდამი უნდობლობას იჩენდა. ის წარუმატებლად ეძებდა საბჭოთა დაზვერვასთან კავშირის აღდგენის საშუალებებს. საბოლოოდ შალვა ბერიშვილი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აუცილებელი იყო საქართველოში არალეგალურად გადასვლა და ვითარებაში ძირფესვიანად გარკვევა. მან დაარწმუნა თურქეთის სპეცსამსახურის წარმომადგენელი, რომ საჭირო იყო მისი კიდევ ერთხელ არალეგალურად გადასვლა საქართველოში, ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის. შალვა ბერიშვილის ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა თურქეთში გერმანიის დაზვერვის წარმომადგენელმა მიხეილ კელიამ.

1942 წლის 23 ოქტომბერს, საბჭოთა მესაზღვრეებთან შეხვედრის შემდეგ, შალვა ბერიშვილი ჯერ ბათუმში, იქიდან კი თბილისში გადაიყვანეს. სულ მალე იგი უკვე მოსკოვში, ლავრენტი ბერიას კაბინეტში იმყოფებოდა.

თავდაპირველად ნავარაუდევო იყო შალვა ბერიშვილის ახალი სადაზვერვო დავალებებით დატვირთვა და მისი სტამბოლში ხელახლა გაგზავნა, თუმცა შემდგომმა შეხვედრებმა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ბოგდან ქობულეთთან შალვა ბერიშვილი დაარწმუნა, რომ მას რაღაც დიდ ავანტიურაში ითრევდნენ და საზღვარგარეთ მისი გამოყენება სულ სხვა მიზნე-



ვარდო  
მაქსიმელიშვილი



შალვა კალანდაძე



სარდიონ (სანდრო)  
მენაღარიშვილი,





(მარცხნიდან) ლავრენტი ბერია, ვიანესლავ მოლოტოვი და იოსებ სტალინი (მეხაილ კალინინის დაკრძალვა, 1946 წ.)

შარლ დე გოლი და ნიკიტა ხრუშჩოვი, 1960 წ.



ბისტვის იგეგმებოდა. შეზღვევებზე ბოგდან ქობულომა რამდენჯერმე ჰკითხა, როგორ უყურებდა ის იოსებ სტალინის შემდეგ ქვეყნის სათავეში ლავრენტი ბერიასა და მისი გუნდის მოსვლის იდეას და ამ საქმეში აქტიური მხარდაჭერა სთხოვა, თუმცა რით უნდა გამოხატულიყო ეს მხარდაჭერა, არ დაუკონკრეტებია. შალვა ბერიშვილის პასუხი ცალსახად უარყოფითი იყო და მეტიც, გაბედა და ურჩია ქობულოვს, ხელი აეღოთ ამ გადაწყვეტილებებისგან, ვინაიდან ეს განზრახვა პირადად მათთვის და საქართველოსთვისაც სახიფათო იყო. ლავრენტი ბერიას თანამოაზრეებმა მიიჩნიეს, რომ შალვა ბერიშვილმა უკვე ბევრი საიდუმლო იცოდა და კაცი, რომელიც მნიშვნელოვანი სადაზვერუო ინფორმაციათა მიწოდებისთვის სახელმწიფო ვილდოს იმსახურებდა, დაპატიმრეს. მოგვიანებით, 1944 წლის 30 სექტემბერს, განსაკუთრებულმა სათათბირომ შალვა ბერიშვილი გაასამართლა და 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ვლადიმირის ციხეში თავდაპირველად მკაცრი იზოლაციის პირობებში აღმოჩნდა. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ კი საერთო საკანში გადაიყვანეს, სადაც უცხო ქვეყნების მოქალაქეები — გერმანელები და ფრანგები იმყოფებოდნენ. ფრანგმა პატიმრებმა, გათავისუფლების შემდეგ, საერთაშორისო ორგანიზაცია „წითელი ჯვრის“ მეშვეობით განაახლეს კონტაქტები შალვა ბერიშვილთან. ვინაიდან ის საფრანგეთის მოქალაქე იყო და თან საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლად ითვლებოდა, ფრანგული მხარე ინტენსიურად ცდილობდა მის დახსნას. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის პრეზიდენტ დე გოლსაც უთხოვია ამის თაობაზე ნიკიტა ხრუშჩოვისთვის. თუ შალვა ბერიშვილი საფრანგეთში დაბრუნებას მოისურვებდა, მას ფრანგები კომპენსაციის სახით საკმაოდ სოლიდურ თანხას სთავაზობდნენ და თან საკადრისი პირობების შექმნას ჰპირდებოდნენ. შალვა ბერიშვილმა ყველაფერზე ოფიციალური უარი განაცხადა და სიბერის საქართველოში გატარება ამჯობინა.

შალვა ბერიშვილი, ღრმად მოხუცებული, გასული საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს გარდაიცვალა.

**გილა სულაძე**

*სპექ სამსახურების ანალიტიკოსი, თადარიგის პოლკოვნიკი*



# კოსოვოს რომაული ნანგრევების საიდუმლო

რომაული შენობის ნანგრევებს მიაკვლიეს მეცნიერებმა კოსოვოს პატარა სოფელ დრეს-ნიკში. მისი იატაკი რომის იმპერიის პერიოდის უნიკალური, მრავალფუნქციური ფერადი მოზაიკითაა დაფარული. კოსოვოში ბოლო 40 წლის განმავლობაში ეს ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენაა.

გათხრები ამ ტერიტორიაზე ერთი წლის წინ, 2012 წლის სექტემბერში დაიწყო. ექსპედიციის ხელმძღვანელი მასარ ვალა მიიჩნევს, რომ რომაული დასახლება, სულ მცირე, 50 ჰექტარს მოიცავდა. თუმცა მეცნიერებმა ჯერ მხოლოდ 200 კვმ შეისწავლეს. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ის საცხოვრებელი ან საყოფაცხოვრებო ნაგებობის პირველი სართული უნდა ყოფილიყო.

„ეს გეომეტრიული ფორმის მოზაიკაა და მრავალფეროვანი ელემენტებისგან შედგება. ჩვენ ჯერ მხოლოდ შვიდი ფერის დათვლა მოახერხეთ. ეს მოზაიკა კოსოვოში აღმოჩენილთა შორის ერთ-ერთი ულამაზესია. ვფიქრობ, ოქტომბერში, სამუშაოების განახლების შემდეგ სხვა აღმოჩენებიც იქნება“, — ამბობს მასარ ვალა.

ამ დროისთვის არქეოლოგებმა სულ ოთხ ნაგებობას მიაკვლიეს, რომელთა იატაკი მოზაიკით არის დაფარული. ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ ძველად ამ ტერიტორიაზე რომაული საქარაუნე გზა გადიოდა, რომელიც ალბანეთის თანამედროვე ქალაქ ლეუს სერბულ ნიშთან აკავშირებდა. ხელისუფლება მომავალში აქ არქეოლოგიური მუშეუმიის გახსნას გეგმავს.

*მომზადებულია Euronews-ის მიხედვით*





# წითელი ნაპოლეონი

## ნებ პერსეს ინდიელთა ბელადის ბრძოლების ეპოპეა

ინდიელთა ტომების ბრძოლების ისტორიიდან აშშ-ის დასავლეთში, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნებ პერსეს ტომისა და მისი ბელადის, ჯოზეფის ეპიზოდია. ინდიელთა ბელადი, რომელიც ამერიკის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების მომხრე იყო, მათ წინააღმდეგ მებრძოლად გადაიქცა და არაერთხელ დაამარცხა. მისი სახელი საამაყოდ იქცა ინდიელი მეომრებისთვის, ამერიკულმა პრესამ კი მესახელად „წითელი ნაპოლეონი“ უწოდა.



ნებ პერსეს ინდიელთა ტომის ბელადი ჯოზეფი (უმცროსი), „წითელი ნაპოლეონად“ წოდებული. 1877 წ.

1850-1865 წლებში ველური დასავლეთის სივრცეებს თეთრკანიანი კოლონიზატორები სულ უფრო მეტი მონღოლებით ითვისებდნენ. ერთ-ერთი გამორჩეული იყო კანზას-ნებრასკის მიმართულება. ახალმოსახლეებმა ინტენსიურად აითვისეს ეს ნაყოფიერი დაბლობები და ველურ დასავლეთს ღიდრონი მიწები გამოსტაცეს. ეს მოვლენები იმედებით აღავსებდა მისისიპის აღმოსავლეთით მცხოვრებ ამერიკელებს. ნათელი ხდებოდა, რომ ხელუხლებელი და რომანტიკული დასავლეთის ათვისება საკვებით შესაძლებელი იყო. შედეგად, ინდიელთა და ამერიკელთა გამყოფი საზღვარი — ფრონტიერის ხაზი — ძალიან სწრაფად ამოძრავდა დასავლეთისკენ. ველური დასავლეთის ტერიტორიები კატასტროფულად მცირდებოდა. ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ე.წ. შორეული დასავლეთის რეგიონს. XIX საუკუნის მეორე ნახევრისთვის ველური დასავლეთის ვეებერთელა სივრცეში გამოყოფდნენ მის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს — შორეულ დასავლეთს (თანამედროვე შტატების: ვაშინგ-


ტონის, ორეგონის, უაიომინგის, მონტანის, აიდაჰოს ტერიტორიები). ეს სივრცე ყველაზე შორს იყო ფრონტიერის ხაზიდან. კლდოვანი მთებით ბუნებრივად დაცული შორეული დასავლეთი ინდიელთა ერთგვარი ციტადელი გახლდათ. ამ რეგიონს ჯერ თითქმის არ შეხებოდა ახალმოსახლეთა კოლონიზაცია და იგი მთლიანად „ინდიელურ“ სახეს ინარჩუნებდა. იმ დროისთვის ამერიკელთაგან მწიფედ თუ წარმოედგინა ვინმეს, რომ ამ სივრცის ათვისება ოდესმე მოხერხდებოდა. თუმცა უკანასკნელმა ფრონტიერმა მალე მიაღწია შორეულ დასავლეთსაც. ამერიკელები ასათვისებელი რეგიონის ერთ-ერთი მთავარი ტომის, ნებ პერსეს წინაშე აღმოჩნდნენ (აღსანიშნავია, რომ ამ ტომის ინდიელები განსაკუთრებით მუქი წითელი კანის ფერით გამოირჩეოდნენ). მხარეთა შორის თავიდან მშვიდობიანი ურთიერთობა დამყარდა. ტომის ბელადი ჯოზეფი დაეხმარა ვაშინგტონის ტერიტორიის გუბერნატორს ისააკ ლ. სტივენსს ნებ პერსეს რეზერვაციის საზღვრების მოწყობაში. 1855 წლის მოლაპარაკების შედეგად, ინ-

დიელთა სივრცემ ორეგონისა და აიდაჰოს დიდი ტერიტორიები მოიცვა და 7,5 მლნ აკრი (30,35 ათასი კვ.კმ) შეადგინა. რეზერვაციის მოწყობა ინდიელთა მშვიდი, თვითმყოფადი ცხოვრების გარანტი უნდა ყოფილიყო. თუმცა ჯოზეფის იმედები არ გამართლდა. კალიფორნიის სანაპიროზე დაწვებულმა ოქროს ციებ-ცხელებამ 1860 წლიდან ნეზ პერსეს ტერიტორიამდეც მიადღია. ფედერალურმა ხელისუფლებამ ინდიელთა რეზერვაცია ოქროსმადიებელთათვის გახსნილად გამოაცხადა. ხელისუფლებამ ტომის რეზერვაციას ჩამოაჭრა დაახლოებით 6 მლნ აკრი (24,28 ათასი კვ.კმ), ახალი რეზერვაცია აიდაჰოში ძველის მხოლოდ ერთ მეათედს თუ შეადგენდა. ჯოზეფი არ თანხმდებოდა ესოდენ მომცრო ტერიტორიაზე გადასახლებას. 1871 წელს ბელადი გარდაიცვალა.

როგორც შემდგომ გამოჩნდა, ეს თარიღი საკვანძო მნიშვნელობისად იქცა ნეზ პერსესთვის — ტომის ახალი ბელადი გახდა ჯოზეფის შვილი, 31 წლის ჯოზეფ უმცროსი. სულ მალე ჯოზეფ უმცროსი ამერიკულ თანადროულ პრესაში „წითელი ნაპოლეონის“ წოდებით გაითქვამს სახელს. იგი განდებდა ამერიკის დასავლეთის დაუძარცხებელი მხედართმთავარი, ბრწყინვალე სტრატეგი, ბელადი, რომელიც 1877 წლის სამი თვის განმავლობაში ურთულეს ბირობებში შვიდ გენერალურ ბრძოლასა და მრავალ მცირე შეტაკებაში დაამარცხებს აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს. ჯოზეფი მცირე ხნით შეაჩერებს ფრონტირს და ყველას დაანახევებს „ინდიელთა დასავლეთის“ რეალურ ძალას. სამოქალაქო ომის სახელოვანი გენერალი უილიამ შერმანიც გაოცებული იქნება ჯოზეფის მხედართმთავრული ნიჭიერებით.

ჯოზეფი უზომოდ ერთგული იყო მშობლიური მხარისა და ხალხისა. ამასთან, იგი არა მხოლოდ გონიერი მხედართმთავარი იყო, არამედ შორსმჭვრეტელი და მშვიდობისმოყვარე ბელადი. ჯოზეფი ყველანაირად ცდილობდა ომის თავიდან აცილებას, მისთვის უძვირფასესი იყო თითოეული ინდიელის სიცოცხლე. ბელადი კარგად ხედავდა, რომ არსებულ ვითარებაში შეიარაღებული ბრძოლა ყოვლად უშედეგო იქნებოდა და ნეზ პერსეს დიდად დაანარალებდა.

ჯოზეფი იყო ბელადი, რომელმაც დროის



ვაშინგტონის ტერიტორიის გუბერნატორი ისაკ სტივენსი

მწვანედ მონიშნულია ნეზ პერსეს ტომის ტერიტორია 1855 წელს, ხოლო მის შიგნით ყავისფერად აღნიშნულია 1863 წელს მათთვის დატოვებული ტერიტორია







ნეზ პერსეს  
ტომის  
მეომარი

ძალიან მცირე მონაკვეთში შეძლო ინდიელთა საბრძოლო პოტენციალის უნიკალობის გამოვლენა. აშშ-ის ინდიელთა ომების ისტორიაში ნეზ პერსეს 1877 წლის ბრძოლები სამხედრო ხელოვნების კლასიკადაა მიჩნეული. ფაქტობრივად, ჯოზეფმა შეძლო ის, რაც ყველასთვის წარმოუდგენელი იყო. მან წარმოაჩინა ინდიელი მეომრის ფენომენი, ინდიელთა დაუვიწყარი საბრძოლო სულისკვეთება, ორიგინალური ტაქტიკა და საერთოდ, ინდიელთა სამხედრო ხელოვნების გენიალურობა. თუმცა, საბოლოო ჯამში, ჯოზეფი დამარცხდა. ნაპოლეონის მსგავსად, სიცოცხლის ბოლო წლებში იგი მოწყვეტილი აღმოჩნდა მშობლიურ მხარეს. 150 თანატომელთან ერთად, ჯოზეფი ნეზ პერსეს აიდაჰოს რეზერვაციიდან გადაასახლეს კოლვილის რეზერვაციაში, ვაშინგტონის შტატში. იქ ბელადი ტრადიციულ ტიპიში (ჩრდილო-დასავლეთის ინდიელთა საცხოვრებელი კარავი) ცხოვრობდა. მასთან თავს იყრიდნენ ახალგაზრდა ნეზ პერსეელები, ბელადის ამერიკელი მეგობრები. ჯოზეფი, ამერიკული ველური დასავლეთის ცოცხალი ლეგენდა, ნეზ პერსეს ძველ თუ ახალ ისტორიებს უყ-

ვებოდა სტუმრებს. ამ დროისთვის ველური დასავლეთი, ფაქტობრივად, გამქრალი იყო. ჯოზეფის ირგვლივ თავმოყრილ უამრავ ადამიანს აინტერესებდა, მოესმინა და განეცადა აწ უკვე ლეგენდად ქცეული ველური დასავლეთის უტყუარი ისტორიები, რადგანაც ეს ადამიანი, რომელიც არა მხოლოდ მომსწრე იყო იმ გარდასული ეპოქისა, არამედ ლეგენდარული მოვლენების შუაგულში ტრიალებდა და ბევრ რამესაც წყვეტდა. ჯოზეფი 1904 წელს გარდაიცვალა. ბელადის ექიმის თქმით, დარდსა და სევდას „მისი გული გაეტუნა“. ამერიკელთაგან „წითელ ნაპოლეონად“ სახელდებული ჯოზეფის გარდაცვალებით დასრულდა ნეზ პერსესა და ინდიელთა დასავლეთის დიდი ეპოქა...

1860 წლიდან აგორებული ოქროს ციებ-ციხლება სულ უფრო ავიწროებდა ინდიელებს. სულ რაღაც ორ წელიწადში 18 ათასი ახალმოსახლე დამკვიდრდა ნეზ პერსეს მიწაზე. ჯოზეფ უმცროსმა მამის საქმე განაგრძო. იგი რეზერვაციის პირვანდელი საზღვრების აღდგენას ცდილობდა. მან თითქოს წარმატებასაც მიაღწია, 1873 წელს გამოიცა ფედერალური



ტომის ტრადიციული საომარი ცეკვა

ორდერი, რომლის მიხედვითაც, ახალმოსახლეებს ინდიელთა ტერიტორია უნდა დაეტოვებინათ. თუმცა ახალმოსახლეებმა პროტესტი განაცხადეს და განაშენიანებული ტერიტორიის დატოვებაზე უარი თქვეს. საბოლოო ჯამში, 1875 წელს, ნეზ პერსეს მიწაზე კვლავ განახლდა ამერიკელთა დასახლება. გენერალ ოლივერ ოტის ჰოვარდს კი დაევალა, მოეგვარებინა ინდიელთა გადასახლება აიდაჰოს მცირე რეზერვაციაში. ჯოზეფი ითვალისწინებდა არსებულ მდგომარეობას და აიდაჰოში გადასვლას დათანხმდა. თუმცა დაახლოებით ოცი ინდიელის წინააღმდეგობა საქციელმა დიდი პრობლემები შექმნა. ჯოზეფი ბანაკში არ იმყოფებოდა, როცა ახალგაზრდა გულდაწყვეტილი ნეზ პერსელები თავს დაესხნენ ამერიკელთა ახლომდებარე დასახლებას. რამდენიმე ახალმოსახლე დაიღუპა. ნეზ პერსეს ომი დაიწყო.

არმიის რეაგირების შიშით ჯოზეფმა უკან დაიხია და თავისი ტომი უაიტ-ბერდის კანიონისკენ გაიხიზნა. მათ უმრავლესობას ქალები, ბავშვები და მოხუცები შეადგენდნენ, 700 ნეზ პერსეელიდან მემორათა რიცხვი 200-ს თუ

აღწევდა. თუმცა უკვე გვიანი იყო. აიდაჰოში მშვიდობიანი დასახლების პერსპექტივაც არარეალური ჩანდა. ჯოზეფი მაინც იმედოვნებდა გენერალ ჰოვარდთან მოლაპარაკებასა და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას. მაგრამ ტომის საბჭოზე უმრავლესობამ აიდაჰოს დატოვებასა და კანადაში გადასახლებას დაუჭირა მხარი. ჯოზეფი ხვდებოდა, რომ ეს ძალიან სარისკო გადაწყვეტილება იყო და დიდ ზიანს მოუტანდა ტომს. ასეც მოხდა.

1877 წლის ზაფხულში ნეზ პერსე თავის ისტორიულ ურთულეს მარშრუტს დაადგა. მათ წინ ედოთ 2600-კილომეტრიანი გზა. სამ თვეს მიუძღვებოდა ჯოზეფი თავის ხალხს კანადისკენ, ტომმა დაახლოებით 1880 კილომეტრი გაიარა. მათ ფეხდაფეხ მისდევდა აშშ-ის 2 ათასი ჯარისკაცი. ამ გზაზე ჯოზეფმა ყველა დიდ თუ პატარა ბრძოლაში დაამარცხა ამერიკელთა სამხედრო ძალები. 1877 წლის 30 სექტემბერს ბიარ-პოსის მთებში თავს დაესხათ სამხედრო ძალები ნელსონ მაილსის მეთაურობით. გაქცეულთა მცირე ნაწილმა მოასწრო გაქცევა, უმეტესობა კი ზუთდლიანი ბრძოლის შემდეგ დანებდა თავდამსხმელთ. ალყაში





ნეზ პერსეს ინდიელების შთამომავლები ამხედრებული არიან აპალოსას ჯიშის ცხენზე, რომლის გამოყვანაც ამ ტომს უკავშირდება. ფოტო გადაღებულია უაიტ-ბერდის ბრძოლისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე

მოქცეულმა ჯოზეფმაც იარაღი 5 ოქტომბერს დაყარა და აშშ-ის არმიას დანებდა. მასთან ერთად შეიპყრეს 87 მამაკაცი, 184 ქალი და 147 ბავშვი. არადა, კანადამდე საკმაოდ მცირე მანძილი იყო დარჩენილი.

ნელსონ მაილსი ჯოზეფის ხალხს ჰპირდებოდა, რომ მათ აიდაპოში, ინდიელთა რეზერვაციაში დააბრუნებდა, მაგრამ აშშ-ის მთავრობამ ისინი ინდიელთა ტერიტორიებს

დააშორა. ბელადი ჯოზეფი ორჯერ გაემგზავრა ვაშინგტონში, რათა დახმარებოდა თავის ხალხს უკან დაბრუნებაში. 1883 წლის მაისში ნეზ პერსეს პირველი ჯგუფი, ძირითადად ქვრივები და ობლები, სულ 29 კაცი, აიდაპოში დააბრუნეს. დანარჩენებს კი დაბრუნებამ 1885 წლისთვის მოუწიათ. ზოგიერთი მათგანი ლაპუაისა და აიდაპოს რეზერვაციებში გაემგზავრა, დანარჩენები კი, ჯოზეფის ჩათვლით, ჩაა-

ნეზ პერსეს ტომის ინდიელთა ბანაკი



სახლეს რეზერვაციებში კოლეჯის შტატსა და ვაშინგტონის შტატის ჩრდილოეთით.

1897 წელს ბელადმა ჯოზეფმა შენიშნა, რომ თეთრკანიანი ჩამოსახლებულნი კოლეჯის რეზერვაციის თავისუფალი მიწების ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ. ადგილობრივი მთავრობა კი ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ამიტომ იგი აშშ-ის დედაქალაქში გაემგზავრა. ვაშინგტონში მან შექმნილი ვითარების შესახებ პრეზიდენტ უილიამ მაკკინლის მოახსენა, ასევე შეხვდა ნელსონ მაილსსა და ოლივერ ჰოვარდს. 1903 წლის ზამთარში კი ჯოზეფი კვლავ გაემგზავრა აღმოსავლეთში გენერალ მაილსთან ერთად, პრეზიდენტ თეოდორ რუზველტთან შესახვედრად.

ბელადი ჯოზეფი 1904 წლის 21 სექტემბერს გარდაიცვალა კოლეჯის რეზერვაციაში, შინიდან მოშორებით, მომდევნო წლის 20 ივნისს კი მისი ნეშტი საზეიმო ვითარებაში გადაასვენეს სოფელ ნეპსელეშში.

ნეზ პერსეს ეს გმირული ეპოპეა სიმბოლურად გამოხატავდა ინდიელთა სამყაროს დასასრულს, ტომის მიერ გავლილი მარშრუტი კი მთლიანად ამერიკის ინდიელთა მარშრუტია.

დღეს ჯოზეფი აშშ-ის ისტორიაში ყველასთვის საყვარელი და ძალიან პოპულარული ბელადია. მეტიც, იგი ქვეყნის ისტორიაში შევიდა, როგორც სახელმწიფო მოღვაწე — დიპლომატი, მშვიდობისა და სამართლიანობის დამცველი. ჯოზეფი ბრძოლის გზას დაადგამხოლოდ იმისთვის, რომ დაეცვა ქალები, ბავშვები და მოხუცები იმ ურთულესი გადასვლების დროს. 1972 წელს აშშ-ში გამოიცა მარკა ბელად ჯოზეფის პატივსაცემად. ნეზ პერსეს რეზერვაციაში, აიდაპოსა თუ ორეგონში, არაერთი ღონისძიებაა ჯოზეფის სახელობის. აღსანიშნავია ბელად ჯოზეფის დღეები ორეგონში, ყოველწლიური ღონისძიება, რომლის დროსაც ეწყობა ადღუმი და როდეო. აიდაპოს ნეზ პერსეს ტომის ოფიციალურ გერბზე სწორედ ჯოზეფია გამოხატული. მისი საფლავი კოლეჯში რეგიონის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობაა.

ამერიკული დასავლეთის „წითელმა ნაპოლეონმა“ წარუძღვლი კვალი დატოვა აშშ-ის ისტორიაში. ლეგენდარული ჯოზეფი ინდიელთა კულტურისა და ისტორიის სიმბოლოდ იქცა.

**მინილ ბარნოვი,**

**თსუ-ს ისტორიის დოქტორანტი**



გენერალი ნელსონ მაილსი. 1898 წ.

ბელადი ჯოზეფი. 1900 წ.





# დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაცია

*1905 წლის რევოლუციის ციებ-ცხელებით შეპყრობილ რუსეთის იმპერიაში მარცვა-გლეჯა და ექსპროპრიაციებით ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილად იქცა. 1906 წელს რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე თითქმის ყოველდღე ხდებოდა მარცვა-ყაჩაღობა. არც საქართველო წარმოადგენდა გამონაკლისს, მეტიც, ყველაზე განხმაურებული ექსპროპრიაციები სწორედ აქ ხდებოდა.*

*ექსპროპრიაციის მთავარი მონაწილე ოსებ გელევანიშვილი გასაბჭოების შემდეგ რუსებს მიემხრო და ერთ-ერთი პირველი ქართველი წითელი გენერალი გახდა*



პირველი ცნობილი ექსპროპრიაცია (შემოკლებით ექსი) საქართველოში 1905 წლის 30 დეკემბერს ყვირილაში მოხდა, როცა ხაზინიდან 200 ათასი მანეთი გაიტაცეს. ყვირილის ხაზინის გადარცვა რევოლუციური ბრძოლების პიკს დაემთხვა, ამიტომ საზოგადოებისა და ხელისუფლების მხრიდან ნაკლები ყურადღება დაიმსახურა. მომდევნო წელს დუშეთში მომხდარმა ექსმა კი ყველას თავზარი დასცა.

ეს მარცვა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის სამხედრო ორგანიზაციის წევრებმა ჩაიდინეს. ფედერალისტების პარტია, სხვა სოციალისტური პარტიების მსგავსად, მეფის ხელისუფლების დამხობისთვის იბრძოდა. მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, წინა პლანზე ეროვნული ინტერესები ჰქონდა წამოწეული. პოპულარობით იგი ჩამოუვარდებოდა სოციალ-დემოკრატებს, მაგრამ სხვა პარტიების მსგავსად, არც ის თავილობდა ტერორისტულ საქმიანობასა და ფულის სხვადასხვა მეთოდით შოვნას. პოლიციის დეპარტამენტი ფედერალისტთა სამხედრო ორგანიზაციის შესახებ იტყობინებოდა, რომ მან განახორციელა „წვრილი ხულიგნური თავდასხმების მთელი რიგი“. ხმაურიანი ტერორისტული აქტებიდან გამოყოფილი იყო 1907 წლის 15 მარტს გორის მაზრის უფროსის გუგუშვილის მკვლელობა.

ფედერალისტების დამოკიდებულება ტერორისტული აქტებისა და ექსპროპრიაციების ორიგინალობით არ გამოირჩეოდა. ისინი საჯაროდ გამოხატდნენ ასეთ აქტებს, მაგრამ ამავე დროს, ამ მეთოდებით მიღებულ სარგებელს მშვენივრად იყენებდნენ. ასე მიიღეს მათ პარტიის საჭიროებისთვის სტამბა, რისი შექმნაც დუშეთის ხაზინის მარცვის ხარჯზე მოხდა. გიორგი ლასხიშვილი იგონებდა: „სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის სამხედრო ორგანიზაციამ პარტიის მთავარ კომიტეტში წინადადება შეიტანა დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაციის შესახებ. კომიტეტმა განიხილა ეს წინადადება და მის განხორციელებასე უარი განაცხადა. თუმცა, მთავარმა კომიტეტმა ექსზე უარი განაცხადა, მაგრამ ხელი სამხედრო ორგანიზაციისთვის არ შეუშლია, ფედერალისტები მომავალი სარგებლის მოლოდინში ყველაფერზე თავს ხუჭავდნენ“.

მომავალი ექსპროპრიატორები დიდხანს ბჭობდნენ, რა გზით ჩაეგდოთ ხელში ფული. ხაზინაზე ყაჩაღური დაცემა დიდი მსხვერპლის მეტს არაფერს მოიტანდა, იქვე ახლოს ჯარისკაცების პოლკი იდგა, ამიტომ ზოგი სთავაზობდა სასმლის მოწამლვასა და მცველი-ჯარისკაცების დათრობას, ზოგი მათ მოსყიდვას... ბოლოს, ყალბი დოკუმენტის შედგენა გა-

დაწყდა. იმ დროს ექსის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე იოსებ გედევანიშვილი ნოვო-ბაია-ზეთის პოლკში ასეულს მეთაურობდა და აქედან გამომდინარე, საკმაოდ კარგად იცნობდა პოლკის ოფიცრობასა და პოლკის მეთაურს, ხანში შესულ ბიუროკრატს, გვარად დიკს. გედევანიშვილმა ზედმიწევნით კარგად შეისწავლა შტაბის საქმის წარმოება, წერილების დაგზავნის წესი, სტილი და ფორმა. მან შეადგინა საიდუმლო მიწერილობა-განკარგულება ოლქის შტაბის უფროსის, პოლკოვნიკ დიკის მისამართით, სადაც ნათქვამი იყო: „რადგანაც სამხედრო ნაწილებს ამჟამად დიდი ჯაფა აწევთ რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში... რაიც ხელს უშლის და აბრკოლებს ჯარის ნაწილთა სამხედრო მომზადებას და სწავლას, ამიტომ კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსმა გადასწვევითა დროებით გაანთავისუფლოს ჯარის ნაწილები არასამხედრო დაწესებულებების დარაჯობისგან... წინადადება გეძლევათ ამ განკარგულების მიღებისთანავე მოხსნათ სამხედრო სადარაჯო ღუშეთის ხაზინიდან. წინადადება მიეცით ხაზინის უფროსს საკუთარი საშუალებით დაიცვას ხაზინა, ვიდრე ახალ განკარგულებამდე“.

ამ ყალბი ბრძანების ტექსტი ტასო ვახვახიშვილმა დაბეჭდა, მისამართი ხელით გიორგი კერესელიძემ წააწერა. ახლა საჭირო იყო განკარგულების გადაგზავნა. ამის გაკეთება ფოსტით არ შეიძლებოდა, რადგან ასეთი საიდუმლო მიმოწერისთვის განსაკუთრებული წესი არსებობდა. საჭირო გახდა მეორე წერილის შედგენა მცხეთის ბოქაულის სახელზე. ამ წერილში საოლქო შტაბის უფროსი სწერდა მცხეთის ბოქაულს, ასევე „ფრიად საიდუმლოდ“, რომ პოლკოვნიკ დიკის სახელზე გამოგზავნილია საიდუმლო პაკეტი და ის სასწრაფოდ შიკრიკის მიერ უნდა გადაიგზავნოს დანიშნულებისამებრ.

ერთ დღესაც მცხეთის ბოქაულს, გაბოსულხანიშვილს გამოეცხადა საოლქო შტაბის ფორმაში გამოწყობილი „ჯარისკაცი“, ამხანაგი კოლა ყორღანოვი. ყველაფერი შესრულდა წესისამებრ — პაკეტის მიღების შემდეგ, ბოქაულმა ყორღანოვს ხელწერილი მისცა. ეს „ფრიად საიდუმლო“ პაკეტი იმავე დღეს ჩაბარდა პოლკოვნიკ დიკს. ამ უკანასკნელმა კი დაუყოვნებლივ გასცა ბრძანება მოეხსნა დარაჯები ხაზინიდან. ამის შესახებ ხაზინის გამ-



გიორგი (ზემოთ) და ლეო კერესელიძეები







გიორგი ლაშვილი

გეს შესაბამისი შინაარსის წერილიც გაეგზავნა. დუშეთის ხაზინიდან დარაჯები გაიწვიეს. მთავარი დაბრკოლება მოიხსნა.

12 აპრილს, საღამოხანს, თბილისიდან დუშეთისკენ გეზი აიღო ეტლმა, რომელშიც ისხდნენ იანე და ილია თაქთაქიშვილები, ლეო კერესელიძე, კორნელი კასრაძე, კოლა ალავეიძე, დათუნაშვილი და ეტლის პატრონი ვიქტორ ყიფიანი.

გვიან ღამით „ჯარისკაცები“ დუშეთში შევიდნენ და მწყობრი ნაბიჯით გაემართნენ ხაზინისკენ. იმ დღეს ხაზინაში მორიგეობდა ფედერალისტთა პარტიის წევრი მაზიტაშვილი, რომელმაც ფსევდოჯარისკაცებს კარი გაუღო. ჯარისკაცებმა ყველანი განაიარაღეს, მაზიტაშვილმა უჩვენა, სად ინახებოდა თანხა.

„შეკრულები ერთ ალაგას მოათავსეს და თან მოტანილ რკინის ჯოხით დაუწყეს ფულის საკუჭნაო ოთახის კარს მტვრევა. როცა კარი შეამტვრიეს, სამორიგეო ოთახიდან პატარა ლამპა მოიტანეს, ყუთი გასტეხეს, სადაც ინახებოდა... 315 000 მანეთი. ფული პარკში ჩაალაგეს... ბოროტ-განმზრახველთ მოიწადინეს შეეტყოთ, თუ რა ინახებოდა ცეცხლისგან უზრუნველ კასაში და როცა შეიტყეს, რომ იქ 2000 მანეთი ოქროაო, ხელი არ ახლეს. ხელი არ ახლეს აგრეთვე ვერცხლის

ფულს, რომელიც პარკებში იყო ჩალაგებული“, — იუწყებოდა გავითი „ისარი“ (1907 წ. 27 ნოემბერი).

საქმეს რომ მორჩნენ, მძარცველებმა ხელფეხშეკრულები, მათ შორის მაზიტაშვილიც (აღიბის გამო), იატაკზე დააწვიეს და ფეხბთან ყალბი ბომბი — თუჯის ბურთი დაუდეს. „თუ გაინძრევით, გასკდება და მტვრად იქცევით! ერთი საათის განმავლობაში კრინტი არ დასძრათო“, — გააფრთხილეს. გამოვიდნენ, ჩასხდნენ ეტლში და სწრაფად მოწყდნენ ადგილიდან.

ერთი საათის შემდეგ თავდამსხმელები უკვე მცხეთაში იყვნენ. ფული გედევანიშვილის ოჯახში დამალეს, რადგან თბილისში ჩატანა საშიში იყო. 12 აპრილს, ძარცვის დროს, გედევანიშვილი საკუთარ ასეულთან ერთად სოფელ ძალისში იმყოფებოდა და ხაზინის გამარცვის ამბავი იქ მიუტანეს. მან მაშინვე გააგზავნა წერილი დუშეთში პოლიკის უფროსთან: „რადგანაც გავიგე დუშეთის ხაზინის გამარცვა, მივდივარ რამდენიმე ჯარისკაცის თანხლებით სამხედრო გზის დასათვალიერებლად, იქნებ რაიმე კვალს მივაგნო. ჩავალ მცხეთამდე და საღამოს ან ხვალ დილით ადრე დავბრუნდები“. გედევანიშვილი გაემგზავრა მცხეთაში, ჯარისკაცი ერთ დუქანში დატოვა, თვითონ ჩაჯდა მატარებელში, ჩავიდა თბილისში და იქიდან კავკასიის მსროლელი მეოთხე ბატალიონის ოფიცერი ლადო ცაგარელი წამოიყვანა. ფული ჩაალაგეს ტყავის ჩემოდანში, რომელიც ცაგარელმა თბილისში ჩაიტანა.

ასე, ყოველნაირი მსხვერპლის გარეშე დასრულდა ეს უდიდესი ექსპროპრიაცია, რამაც ნამდვილი სენსაცია და შოკი გამოიწვია როგორც საზოგადოებაში, ისე მთავრობაში. ფეხზე დადგა მთელი თბილისის გუბერნიის პოლიცია, მთავრობამ ჯილდოდ ათი ათასი მანეთი დააწესა, აამოქმედა ჯაშუშები და აგენტები.

პირველ რიგში, პოლიციამ ხაზინის დარაჯები და მაზიტაშვილი დააპატიმრა. ბევრი წვალება-წამების მიუხედავად, შედგეს მანაც ვერაფერს მიაღწიეს — „მაზიტაშვილი მაგარი ამხანაგი იყო...“ რა თქმა უნდა, მიადგნენ პოლიკონიკ დიკსაც, რომელმაც წარუდგინა ოლქის შტაბის უფროსისგან მიღებული განკარგულება. „ოლქის შტაბმა მიწერილობა... ყალბად სცნო და თანაც აღნიშნა, რომ განკარგულება ისეთი შრიფტით არის დაბეჭდილი, რო-

მელიც არ უდგება არც ერთ საბეჭდ მანქანას, რომელიც კი შტაბის ხმარებაშია. თვით გადაგზავნის წესიც ჩვეულებრივი არ არის და ქინა-აღმდეგება შტაბში მიღებულ წესს“. მოგვიანებით ეს დოკუმენტები ექსპერტებმა შეადარეს გიორგი კერესელიძის ხელს და დაამტკიცეს, რომ წარწერა მას ეკუთვნოდა.

გამოძიებამ მაშინვე აიღო ეჭვი გედევანიშვილზე. გამოცდილი გამოძიებლის, ჟანდარმთა პოლკოვნიკის, პოლიცემისტერ პეტრე მარტინოვის აზრით, საქმეში აუცილებლად სამხედრო პირი იყო გარეული, თანაც ეს ოფიცერი ქართველი უნდა ყოფილიყო, რომელიც კარგად იცნობდა ადგილობრივ ვითარებას. აქედან გამომდინარე, მისი ძებნა ნოვო-ბაია-ზეთის პოლკის შემადგენლობაში დაიწყო. ამ პოლკში კი ერთადერთი ქართველი გედევანიშვილი იყო. საკუთარი ვერსია გამოძიებლებმა გამცემის მეშვეობითაც გაამყარეს.

„ამ კარგად განზრახულსა და აღსრულებულ საქმეს ბოლო მაინც ცუდი აღმოაჩნდა: აღმინისტრაციამ კვალს მიაგნო და დააპატიმრეს ამ საქმის ორგანიზატორები შტაბს-კაპიტანი

იოსებ გედევანიშვილი და ოფიცერი ლადო ცაგარელი. დააპატიმრეს აგრეთვე ექსპროპრიაციის უშუალო მონაწილენი, პარტიის წევრები ვ. თაქთაქიშვილი, ივ. ციმაკურიძე და სხვები, რამდენიმე კაცმა თავს უშველა საზღვარგარეთ გაქცევით, მათ შორის ძმებმა კერესელიძეებმა“, — იგონებდა გიორგი ლასხიშვილი. საქმის ერთ-ერთი მონაწილის, აზატოვის (მასზე ეჭვობდნენ, რომ პოლიციასთან იყო შეკრული) ჩვენებიდან გაირკვა, რომ ხაზინის გამარცხვის შემდეგ ის მივიდა გოგი კერესელიძის ბინაში და გულისწყრომა გამოუცხადა ასეთი სამარცხვინო საქმის ჩადენისთვის, რამაც პარტიას სახელი გაუტეხა (სინამდვილეში ის ფულის წასართმევად მივიდა). კერესელიძემ განუცხადა, რომ მან ეს საქმე ჩაიდინა არა როგორც პარტიის წევრმა, არამედ როგორც კერძო პირმა. მიუხედავად „გულისწყრომისა“, აზატოვმა კერესელიძისგან ფული აიღო, იმ პირობით, რომ მას არ გასცემდნენ. ღუშეთის ექსის ბევრი მონაწილე უკმაყოფილო იყო მიღებული თანხით და ერთ-ერთმა მათგანმა საქმე გაყიდა კიდევაც. გედევანიშვილის მოგონების მიხედვით, ეს

სტუდენტური ორგანიზაცია „ივერია“. სხედან (მარცხნიდან) პირველი — გიორგი კერესელიძე, მეოთხე — ლეო კერესელიძე და მიხაკო წერეთელი







დუშეთის ხედი. ალექსანდრე როინაშვილის ფოტო

გამცემი ვინმე ნ. მ. იყო, რომელმაც შემდეგ პოლიცემისტერის კანცელარიაში საზღვარგარეთული პასპორტი მიიღო და ქვეყნის საზღვარი დატოვა. ძარცვის ერთ-ერთი მონაწილის, იოსებ დავრიშვილის თქმით, გამცემი გიორგი ხერხეულიძე ყოფილა, რომელსაც ის პარიზში 20-იანი წლების მეორე ნახევარში შეხვდა. ჭლებით სასიკვდილოდ დაავადებულმა ხერხეულიძემ აღიარა, რომ საქმე მისი გაყიდული იყო.

როგორც საგაზეთო პუბლიკაციებიდან იკვებება, ძმები კერესელიძეები, რომლებიც ვენეციის ერთ-ერთ უნივერსიტეტში სწავლობდნენ, ხაზინის გაძარცვის შემდეგ, ძალიან მალე, ყალბი პასპორტით შვეიცარიაში გაიქცნენ.

ვენევაში კერესელიძეები გაერთიანდნენ პეტრე სურგულაძის დაარსებულ „საქართველოს დამოუკიდებლობის ჯგუფში“ და თანამშრომლობდნენ ჯგუფის მიერ გამოცემულ ჟურნალში. პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წელს, საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის მეთაურებთან და გერმანელთა დახმარებით, ლეო კერესელიძის მეთაურობით შეიქმნა ლეგიონი, რომელიც ოსმალეთის ფრონტზე რუსეთის არმიას ებრძოდა. ლეო კერესელიძე 1943 წელს ბერლინის დაბომბვისას დაიღუპა.

რუსეთის მთავრობამ შვეიცარიას კერესელიძეების გაცემა მოსთხოვა. მაშინ ფედერალისტებმა შვეიცარიის სასამართლოს გაუგზავნეს წერილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ დუ-

შეთის ხაზინის ექსპროპრიაცია პოლიტიკური მიზნით იყო ჩადენილი „და შვეიცარიის მთავრობამ უარყო რუსეთის შუამდგომლობა კერესელიძეების გაცემის შესახებ“ (გ. ლასხიშვილის მემუარებიდან). შვეიცარიის მთავრობამ ძმები კერესელიძეების საქმე გასარჩევად გადასცა სასამართლოს, რათა გაერკვია „თუ რამდენად სამართლიანი იყო რუსეთის მთავრობის მოთხოვნა. სასამართლო შეეკითხა ერთ უდიდეს ავტორიტეტს საერთაშორისო სამართლისა ბელგიელ მეცნიერს ერნესტ ნისს და მან შემდეგი მსჯავრი დასდვა საქმეს: რუსეთი მოტყუებით დადებული და დამტკიცებული 1783 წლის ხელშეკრულების დარღვევით გაბატონდა საქართველოში. მისი ბატონობა უკანონოა და წინააღმდეგი საერთაშორისო სამართლისა. ამიტომ ყოველი მოქმედება ქართველთა ქვეყნის განთავისუფლებისათვის უკანონო უცხო ბატონობისგან, პოლიტიკური აქტია“. საინტერესოა, რომ ან უცოდინრობის, ან ინფორმაციის ნაკლებობის გამო, ან სავარაუდოდ, უფრო რომ გაემწარებინათ მეფის რუსეთის ხელისუფლება, რუსეთის იმპერიიდან გაქცეული ყველა რევოლუციონერი ევროპაში თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის მებრძოლ გმირად იყო მიჩნეული და ყველანაირი პრივილეგიით სარგებლობდა, სანამ რამე კანონსაწინააღმდეგო ქმედებას არ ჩაიდენდა.

„გამოძიებამ წელიწად-ნახევარი გასტანა

და ახალი კი ვერაფერი აღმოაჩინა... ზოგი და-  
პატიმრებული სრულიად განათვისუფლა, და  
მე და ცაგარელი, ქართველიშვილი თავდების  
ქვეშ გამოგვიშვა. დაპატიმრებულები დარჩნენ  
მხოლოდ ისინი, ვისაც... ერთი და იმავე სერი-  
ის ფულის ნიშნები აღმოაჩნდა: ახატოვი კომ-  
პანიით და ვანო თაქთაქიშვილი, ილია თაქთა-  
ქიშვილი, ამაზე უწინ სხვა რამდენიმე ტუსად-  
თან ერთად გაიქცა ციხიდან“, — იგონებს  
იოსებ გედევანიშვილი. სასამართლომ გედე-  
ვანიშვილსა და ცაგარელს ჩამოართვა სამხედ-  
რო ღირსება და ორ-ორი წლით პატიმრობა  
მიუსაჯა. რამდენიმე მონაწილე გადაასახლეს.  
როგორც აღვნიშნეთ, ნაძარცვი ფულით ფე-  
დერალისტურმა პარტიამაც იხიერა — მთა-  
ვარმა კომიტეტმა საკუთარი სტამბა შეიძინა,  
სადაც გაზეთები და პარტიის სხვადასხვა გა-  
მოცემები იბეჭდებოდა.

რაც შეეხება ექსპროპრიაციის მთავარ მო-

ნაწილეს, იოსებ გედევანიშვილს, გასაბჭოე-  
ბის შემდეგ ის რუსებს მიემხრო და ერთ-ერთი  
პირველი ქართველი წითელი გენერალი  
გაზდა. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში  
სხვადასხვა ადგილას — ზაქარია ფალიაშვი-  
ლის სახელობის ოპერისა და ბალეტის სა-  
ხელმწიფო თეატრში, ცენტრალურ სახელმ-  
წიფო არქივში მუშაობდა, წერდა პიესებსა და  
მოთხრობებს. ის 1939 წელს გარდაიცვალა  
მცხეთაში და იქვეა დაკრძალული. ციხიდან  
გამოსულ ლადო ცაგარელს კი თურმე სამსა-  
ხურში არ იღებდნენ, როგორც ხელმწიფის  
ტახტის ორგულსა და მოღალატეს. მოგვიან-  
ებით მან ლიტერატურულ მოღვაწეობას მიჰ-  
ყო ხელი და პირველმა, ქართულ ენაზე, მცი-  
რე ფორმატის სამხედრო ლექსიკონი გამო-  
უშვა. ლადო ცაგარელი 1942 წელს, თბილის-  
ში გარდაიცვალა.

**ირაკლი მახარაძე**

*ლეო კერესელიძის მეთაურობით ბერლინში მოქმედი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“*





ვეიბტური  
იეროგლიფები  
(თოტის ტაძრის კედელი)



## გამგუიდან — გურთულინ კალმისტრამდა (ნაწილი I)

ცოდნა და გამოცდილება, ზოგადად, ინფორმაცია, თავდაპირველად ზეპირი მონათხრობით, მოყოლილი ამბებითა და ნამღერით გადაიცემოდა. ინფორმაციის ამგვარი გავრცელება საუკუნეთა განმავლობაში, თაობიდან თაობაში, სმენისა და თხრობის კულტურას აყალიბებდა. ამბების თხრობა, ე.წ. სტორი ტელინგი (story telling) ხვეწდა ენობრივ ქსოვილს, გამოხატვის სიზუსტესა და ლექსიკურ მარაგს. თუმცა ამას უარყოფითი მხარეც ჰქონდა — ადამიანური მეხსიერება ხშირად ზუსტი არ იყო. დროთა განმავლობაში ინფორმაცია იცვლებოდა — ადამიანი უკვე მოსმენილ ამბავს რაღაცას ამატებდა ან აკლებდა, ან სულაც საკუთარი ინტერპრეტაციით გადასცემდა სხვას.

ენა კომუნიკაციის საშუალებაცაა და გამომსახველობითი დანიშნულებაც აქვს, ანუ ის აზროვნების იარაღიც არის. ყოველი ადამიანის მიერ ცოდნა განსხვავებულად აღიქმებოდა და მისი მეორე პირისთვის გადაცემა ძალიან სუბიექტური იყო. დღევანდელი ეტაპი, გარკვეულწილად, საწყისთან მიბრუნებაა და ძალიან ჰგავს ისტორიული პროცესის ამ პირველ ეტაპს. იმ განსხვავებით, რომ უამრავ სხვა-

დასხვა საშუალებას შორის საგანგებოდ იქმნება წიგნის აუდიოჩანაწერები. ჩვენთვის საინტერესო ტექსტი შესაძლებელია ბოტის (ბოტი არის სპეციალურად შექმნილი პროგრამა, რომელიც პროცესების ავტომატიზაციას ახდენს) საშუალებით წავიკითხოთ, რაც ცოდნის სმენით გადაცემისა და თხრობითი განათლების მიღების ახალ სტანდარტებს აყალიბებს. არსებობს ლიტერატურული და სხვა ტი-



პის პორტალებიც, რომლებიც ჯგუფურ შემოქმედებას, აზრთა გაცვლას და ამ ყველაფერის ერთ სისტემაში მოქცევას ითვალისწინებს — ყველასთვის აღსაქმელი ტექსტის შესაქმნელად. ეს არის ტექსტი, რომელსაც მომდევნო თაობები დამატებით განავრცობენ და ხვეწენ ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად.

დამწერლობას ექვესი ათასი წლის ისტორია აქვს. მის განვითარებაში სამ საფეხურს გამოყოფენ. პირველ საფეხურად ეგვიპტური იეროგლიფური (იდეოგრაფიული) და შუმერული ლურსმული წარწერები მიიჩნევა. შემდეგ მოდის სილაბური (მარცვლოვანი) და ალფაბეტური (ანბანური) დამწერლობა. უფრო ადრეულ ეტაპად შეგვიძლია პიქტოგრაფია მივიჩნიოთ, მაგრამ ის არ ასახავს ენის ბგერით მხარეს და დამწერლობაც პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ.

პიქტოგრაფია ნახატების საშუალებით აზრის გადმოცემაა, რომელიც ნებისმიერ ენაზე შეგვიძლია გავიგოთ. ამ დამწერლობათა თავისებურებებს საწერი მასალა და მოწყობილობა განაპირობებდა. იეროგლიფური და ლურსმული საწერ მასალად იყენებდა ქვას, ძვალსა და თიხის ფირფიტას. ტერმინი იეროგლიფი ამოჭრას, ამოკვეთასა და გრაფირებას ნიშნავს. ლურსმულ დამწერლობასაც ეს ტერმინი, მისი გარეგნული მხარის გამო, ინგლისელმა მეცნიერმა თომას ჰაიდმა 1700 წელს შეარქვა. საქმე ის არის, რომ ლურსმულის ნიშნები ძალიან ჰგავს მახვილთაგა ბოლოწვეტიან ლურსმნებს. დამწერლობის პირველ საფეხურზე წერა უფრო კაწვრასა და ტვიფრვას ჰგავდა. ამის გამო, რომ ბევრ ენაში კაწვრა და ხატვა ერთი და იმავე სიტყვებით გადმოიცემა. ძველევგვიპტურში, ძველბერძნულში, ძველ სლავურში, ლათინურში და აქედან გერმანულში, ფრანგულსა და სხვა ევროპულ ენებში წერა, კაწვრა და ხატვა ერთი და იმავე სიტყვების ძირითადი ნიშნება. ქართულ ენაშიც წერა თავდაპირველად კვეთას და ჭრას ნიშნავდა, წერტილი კი — ნაჩხვლელს. ამ თვალსაზრისით საინტერესო სიტყვაა თუნდაც წერაქვი.

**ლურსმული დამწერლობა**

მყარი საგნით ასონიშნების გამოყვანა ძნელი იყო და შრომატევადი, რაც თვით ასონიშნების მოხაზულობასაც განაპირობებდა. დამწერლობის საფეხურების თავისებურებებს, სხვა



ატტეკური პიქტოგრაფია „სამყარო“



თიხის ფილა ლურსმული წარწერით შურუპაკიდან (შუმერული ქალაქ-სახელმწიფო სამხრეთ მესოპოტამიაში)

ლურსმული წარწერა ბეისთუნიდან (ირანი)







პაპირუსი — მცენარე და ქაღალდი



მნიშვნელოვან გარემოებებთან ერთად, საწერი ტექნოლოგიებიც განაპირობებდა. ჩინელები თავდაპირველად ბამბუკზე წერდნენ, ძვ.წ. II საუკუნიდან კი — ბრინჯაოს ქაღალდზე, რომელიც პირველად მათ დაამზადეს. ძველ საბერძნეთსა და რომში გასანთლულ ფირფიტებზე, პაპირუსზე, პერგამენტსა და ნიჟარებზე წერდნენ. ძველ რუსეთში საწერად არყის ხის ქერქს იყენებდნენ. მესოპოტამიაში ანუ შუამდინარეთში თიხის გარდა არაფერი მოიპოვებოდა, რაც შეიძლება საწერად გამომდგარიყო. იღებდნენ თიხის ცომს და იქამდე ზეღდნენ, სანამ სასურველ სწორკუთხა ფილას არ მიიღებდნენ. თიხა რომ შემრებოდა, საწერად უკვე მზად იყო. ასეთ ფირფიტაზე ასონიშნების ამოკვეთა საკმაოდ რთული გახლდათ. ნიშნის გამოყვანისას მწერალი პირველ მომენტში უფრო აჭერდა ხელს და თიხაზე რჩებოდა სამკუთხედი ანაბეჭდი — სოლი, რაც ასე ძალიან ჰგავს ლურსმანს. ლურსმული ნიშნებით წერაც სწორედ შუამდინარელების მიერ გამოყენებული მასალის ხასიათმა განაპირობა. ამგვარი სოლისებური ნიშნებით წერდნენ ასევე ქვაზე, ბრინჯაოს, ვერცხლისა და სხვა მყარი ლითონის ფირფიტაზე. ეს ფორმა დაკანონებული და საყოველთაო იყო. ძალიან რთული იყო ლურსმული წერა-კითხვის სწავლა. ტაძრებთან არსებობდა საგანგებო სკოლები, სადაც ასწავლიდნენ თიხის გუნდისგან ფირფიტის გამოყვანასა და მასზე ასონიშნების ამოკვეთას.

### პაპირუსი

ეგვიპტეში, ნილოსის სანაპირო მდიდარი იყო ხუთმეტრიანი პაპირუსის ტყეებით. ძვ.წ. 2200-1500 წლებში ეგვიპტელებმა პაპირუსი საწერ მასალად გამოიყენეს. ამ სრულიად ახალმა გამოგონებამ შეცვალა წერის პროცესი. წერა გახდა შედარებით სწრაფი, მარტივი და მასებისთვის ხელმისაწვდომი. პაპირუსის საწერ მასალად გამოყენება ეგვიპტელებისგან ბერძნებმა ისწავლეს, ბერძნებისგან რომაელებმა და მათგან — მთელმა ევროპამ. პაპირუსი ჭაობის მცენარეა, რომელსაც წყალში ალბობდნენ, მწვანე ქერქს აცლიდნენ და მას თხელ ზოლებად ყოფდნენ. მერე ამ ზოლებს ერთმანეთის გვერდიგვერდ სველ ფიციარზე ალაგებდნენ და ზემოდან გარდიგარდმო ადებდნენ მეორე ფენას. ნედლ მასალას ჩა-

ქუჩით ტკეპნიდნენ და ზედაპირს წებოს თხელი ფენით ფარავდნენ. შემდეგ წნებდნენ და მზეზე აშრობდნენ. ბოლოს კი სპილოს ძვლით ან ნიჟარით ასწორებდნენ. პაპირუსის ქაღალდი ყავისფერი და უხეში იყო, მაგრამ საწერად მაინც გამოდგებოდა. კვლავ წნების გამოყენებით პაპირუსის ფურცლებს ერთმანეთს გადააბამდნენ და გრაგნილად აქცევდნენ. ტექსტის შესაბამისად, პაპირუსის გრაგნილები სხვადასხვა სიგრძისა იყო. ჩვენამდე მოღწეულ გრაგნილთა შორის ყველაზე გრძელი 45-მეტრიანია.

პაპირუსს ქართულად ჭილი ჰქვია, რომელიც პირველად დაბადების ქართულ თარგმანშია მოხსენიებული. მასობრივად იყენებდნენ თუ არა პაპირუსს საქართველოში საწერ მასალად, ჯერჯერობით დაუდგენელია. ჩვენამდე მხოლოდ ორმა ხელნაწერმა მოაღწია. ჭილ-ეტრატის იადგარი (ჰიმნებისა და საგალობლების კრებული) პალესტინაში დაშნადებული და IX-X საუკუნეებით თარიღდება.

ყველაზე ძველი პაპირუსი ოთხი ათასი წლით თარიღდება. პაპირუსს ძირითადად სამარხებში მიაკვლიეს. ეს მცენარე მხოლოდ ეგვიპტეში იზრდება, რის გამოც საწერ მასალად იქ ამზადებდნენ და შემდეგ მთელ მსოფლიოში გაჰქონდათ. პაპირუსს საწერი მასალის დანიშნულებით ძვ.წ. III ათასწლეულიდან ახ.წ. IX საუკუნემდე (ვეროპაში XI საუკუნეშიც) იყენებდნენ. ეგვიპტის მმართველებს სურდათ, ყველაზე დიდი ალექსანდიის ბიბლიოთეკის პრესტიჟი შეენარჩუნებინათ (აქ 700 ათასი გრაგნილი ინახებოდა) და პაპირუსის ქაღალდის ეგვიპტის საზღვრებს გარეთ გატანა აკრძალეს.

### პერგამენტი

მცირე აზიის ქალაქ პერგამონის მსოფლიოში სიდიდით მეორე ბიბლიოთეკა იძულებული გახდა, ალტერნატიული ტექნოლოგია შეემუშავებინა და საწერ მასალად ცხვის, თხის, ბატკნის, თიკნის ხბოს ან ირმის ტყავი გამოეყენებინა. პლინიუსთან ეს მეთოდი ჯერ კიდევ ძვ.წ. II საუკუნეში დასტურდება. ტყავს ჯერ კირნარეუ წყალში ალბობდნენ, რომ ბალანი ადვილად მოეშორებინათ. შემდეგ ჭიმავდნენ, აშრობდნენ, აჭრიდნენ უსწორმასწორო ადგილებს, პოხავდნენ ცარციით თუ კვერცხის გულით. ასე დამუშავებული ტყავი



პერგამენმახერი ნიურნბერგიდან (გერმანია, 1425 წ.)

გაჭიმული თხის ტყავი ეტრატის დასამზადებლად







ტბეთის, ანუ სვანური მრავალთავი — X საუკუნის ქართული ხელნაწერი. გადაწერილია ტაო-კლარჯეთში ტბეთის მონასტრისთვის. ხელნაწერის მომგებლები არიან მამფალი მტბეგარი იოანე და მამა თეოდორე



ჭილ-ეტრატის იადგარი. X ს.

1395 წელს გერმანიაში ეტრატზე გადაწერილი სამართლის წიგნი



ფერთი პაპირუსს არ ჩამოუვარდებოდა და გამძლეობით სჯობდა კიდეც მას. ვინაიდან ტყეაის საწერი მასალით ყველაზე განთქმული იყო ქალაქი პერგამონი, ასე დამზადებულ ქაღალდსაც პერგამენტი ეწოდა. ქართულად მას ეტრათი ჰქვია. საქმე ის არის, რომ პერგამენტის ფურცლებს წიგნად მომზადებისას ყველაზე ხშირად ოთხად კეცავდნენ. ოთხ ფურცელს ბერძნულად ტეტრადიონი, ტეტრად ერქვა, რომელიც ქართულში შეცვლილი სახით შემოვიდა.

ეტრატის დამზადება საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული და არაერთი გადამწერი თავის ხელობად სიამაყით ასახელებდა ეტრატის დამზადებას. ეს გამძლე მასალა იყო, მაგრამ ძვირი იჯდებოდა. ზოგიერთ ხელნაწერ ეტრატს მთელი ფარა არ ჰყოფნიდა. ამიტომ ხანდახან თხზულების ტექსტს საგრძნობლად ამცირებდნენ. ანდა ხშირად ხმარებულ სიტყვებს შემოკლებით წერდნენ — აქარაგმებდნენ. სოციალურ ქსელებსა და ინტერნეტში განთავსებულ ტექსტებში „სიცილაკებისა“ და სიტყვების შემოკლებულად წერა ძალიან ჰკავს დაქარაგმების უძველეს პრინციპს. რადგან ეტრატის დამზადება რთული იყო და ყოველი ფურცელი ძვირი ღირდა, ამიტომ ზოგჯერ ხმარებიდან გამოსულ წიგნის ფურცლებს ფხეკდნენ, ძველ ნაწერს შლიდნენ და ახალს წერდნენ. ერთი სიტყვით, ძველ ეტრატს ხელახლა იყენებდნენ, თუმცა ძველი ნაწერის

კვალი მაინც რჩებოდა. ამგვარ ეტრატს პალიმფსესტი ჰქვია.

დღესაც, სერვერის გადავსებისგან დასაცავად ბლოგიდან, სოციალური ქსელიდან ან საიტიდან წაშლილი ტექსტები, რომელიც სერვერზეც აღარ ინახება, მაგრამ მისი აღდგენა შესაძლებელია, გარკვეულწილად ჰგავს იმ მდგომარეობას, როცა მეცნიერები ეტრატიდან ძველი, წაშლილი ტექსტების ამოკითხვას ცდილობენ. წაშლილი ფაილების აღდგენაც ხომ შრომატევადი პროცესია, რომელიც უამრავი არაკორექტული ფაილიდან საჭიროს ამორჩევას ითვალისწინებს. ათწლეულების შემდეგ, როცა პირველი ინტერნეტთაობის განვითარებითა და შემოქმედებით დაინტერესდებიან, მეცნიერებს სწორედ ასეთი მუშაობის გაწვევა მოუწევთ. შემოკლებული სიცილაკებისა და სიტყვების, წაშლილი ტექსტებისა და ბლოგების აღდგენა მთლიანად კომპიუტერული პროცესი იქნება. ერთ მყარ დისკზე არსებული ფაილების ფენა-ფენა აღდგენის ხანგრძლივი პროცესი პალიმფსესტური ეტრატის შესწავლის კიბერნეტიკულ ანალოგად წარმოვიდგება.

### კალამი

ქრისტესშობამდე 1300 წლით ადრე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ჩინელებმა და ეგვიპტელებმა გამოიგონეს მელანი, რომელსაც წყალში გახსნილი მცენარეული ფისისა და ზეთების დანამატებით ამზადებდნენ. მელნისთვის სხვა ფერის მისაცემად იყენებდნენ ბუნებრივ საღებავ საშუალებებს, მაგალითად, ჟანგმიწას. პაპირუსზე მცენარეული ღეროსგან დამზადებული კალმით წერდნენ. დროთა განმავლობაში იცვლებოდა არა მარტო საწერი მასალა, არამედ იარაღიც. თუ ქვაზე, ხესა და თიხაზე ასოებს „წერაქვით“, საჭრეთლით ანდა სტილით კვეთდნენ (სპეციალური ჯოხით, ეს ტერმინი ძალიან ჰგავს სტილუსს — სპეციალურ კალამს, რომლითაც სენსორულ მონიტორზე წერენ), პაპირუსსა და პერგამენტზე საწერად იხმარებოდა ჯერ ლერწმის, შემდეგ ფრთისა და ბოლოს ფოლადის კალამი. კალამს ამზადებდნენ ლერწმის წვრილი ღეროსგან, რომელსაც თავს წაუწვეტებდნენ და შუაზე გაუპობდნენ. ეს წვრილი ღარი მელნის სადინრად იყო საჭირო. თუ მწერალს უფრო მსხვილად დაწერა სურდა, კალმის წვერს და-




ბატის ფრთის კალამი სამელნით და ლითონის კალმები







ლასლო ბირო



ლასლო ბიროს მიერ გამოგონებული ბურთულიანი კალამი



წი ლუნი XVIII საუკუნის ჩინეთში ასე გამოსახეს

აწეებოდა, ღარი გაფართოვდებოდა და მელანი სქლად იწეებდა ღენას.

შემდგომ კალმის ღერო ბატის ფრთამ შეცვალა, რომელსაც წვერი ისეთივე წესით უკეთდებოდა. ძველ წიგნებში ხშირად ხატია ფეხმორთხმით მჯღომი მწიგნობარი, რომელსაც ხელში ბატის ფრთა უჭირავს ან ფრთა ქულზე აქვს მიმაგრებული. სიტყვა კალამი საწერ იარაღს დაერქვა იმ მცენარის სახელის მიხედვით, რომლისგანაც მას ამზადებდნენ. შემდგომში, როცა ნივთმა სახე იცვალა და ფოლადის კალმებიც დაამზადეს, სახელი ძველებური შერჩა. კალამს საკალმეში, ანუ საწერელში ინახავდნენ, სადაც ასევე ელთ მაკრატელი, ყალამთარაში – კალმის დანა, რომლითაც საჭიროებისას კალამს ხელახლა წაუთლიდნენ წვერს, ანდა სულაც ახალს დაამზადებდნენ. თუ მწერალს წერის დროს ასო შეეშლებოდა ან სხვა შეცდომა მოუვიდოდა, იმასაც ყალამთარაშით ამოფხეკდა და გაასუფთავებდა. საწერ მოწყობილობაში შედიოდა ასევე სახაზავი, რომელიც საჭირო იყო წერის წინ ფურცლების დასახაზავად, რათა სტრიქონი სწორი და სიმეტრიული გამოსულიყო. 1930 წელს უნგრელმა ჟურნალისტმა ლასლო ბირომ, რომელიც მრავალ სხვათა მსგავსად შეწუხებული იყო იმით, რომ მელნიანი ბუმბულით ფურცელს ხშირად სვრიდა და მელანიც ბევრი იხარჯებოდა, გამოიგონა ბურთულიანი კალმისტარი, რომელსაც დღემდე იყენებს მსოფლიო.

**ქალაღლი**

ქალაღლი ჩინეთში გამოიგონეს. პირველად ის წაი ლუნმა ძვ.წ. 105 წელს დაამზადა. ჩინელები ქალაღლის დამზადების ცოდნას დიდხანს ინახავდნენ საიდუმლოდ, მაგრამ 751 წელს არაბებმა მოახერხეს რამდენიმე ჩინელი სწავლულის დატყვევება, რომლებიც იძულებული გახადეს, საიდუმლო გაეცათ. არაბებმა ქალაღლის დამზადების ტექნოლოგია იმით გააუმჯობესეს, რომ გამოიყენეს ტილოს ძონძები და უფრო ძლიერმოქმედი წებო. ამან არაბულ ქალაღლს უკეთესი ხარისხი შესძინა და თანაც მისი დამზადებაც გააიაფა. ამას ეტრატის მოხმარების შეზღუდვა და ქალაღლის გაბატონება მოჰყვა. მაგრამ სანამ სხვა ქვეყნებიც ისწავლიდნენ ქალაღლის დამზადებას, ის ძვირად ფასობდა და ეტრატი დიდხანს უწევდა მეტოქეობას.

ჯერ ესპანელებმა ისწავლეს არაბებისგან ქალაქის დამზადება, შემდეგ ევროპის სხვა ხალხებმაც. საკუთარი ქალაქის ქარხანა ესპანელებს XII საუკუნის შუა წლებიდან ჰქონდათ, იტალიელებს — XII საუკუნის დამლევადან, ფრანგებს კი XIII საუკუნიდან. საქართველოში ქალაქს, სავარაუდოდ, სხვა ქვეყნების მსგავსად, VIII საუკუნეშიც იყენებდნენ, მაგრამ XI საუკუნეზე უადრესი მოღწეული არ არის. არაბეთიდან შემოტანილ ქალაქს სახელიც იქაური შემოჰყვა. არაბულად ქალაქს ქალად ეწოდება. სიტყვა ფურცელი ქართულია და ძველად, სანამ ქალაქის ფურცლის მნიშვნელობას შეიძენდა, ფოთოლს ნიშნავდა.

1800 წლიდან ქალაქის წარმოება საგრძნობლად გამართვდა. პარიზთან ახლოს, დიდოს ფაბრიკაში ფრანგმა ნიკოლა-ლუი რობერმა გამოიგონა პირველი ქალაქების და-

მამზადებელი მანქანა, რომელიც ფურცლებს ერთმანეთის მიყოლებით უშვებდა. 1805 წელს ინგლისელმა ინჟინერმა ჯოზეფ ბრამამ შექმნა მანქანა, რომელმაც შემდგომში შესაძლებელი გახდა ქალაქის რულონებით დამზადება. დღეს ქალაქის წარმოება პრაქტიკულად ავტომატიზებულია, ხარისხს კომპიუტერი აკონტროლებს.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისთვის წარმოების თითქმის ყველა ეტაპი მექანიზებულია, ძირითადი პროცესი უცვლელი დარჩა — საქალაქე მასას წინასწარ განცალკევებული და წყალში დამბალი მცენარეული ბოჭკოებისაგან ამზადებენ, რომელსაც შემდეგ წყლის დასაწრეტად მფილტრავ ბადეზე აფენენ. ასე ხდება ქალაქის ტილოს ფორმირება, რომელსაც საბოლოოდ წნეხით ამრობენ.

**ლევან გელაშვილი**

(დასასრული მომღვენო ნომერში)

ულმან შტრომერს ეკუთვნოდა პირველი ქალაქის ქარხანა გერმანიაში. 1493 წლის „ნიურნბერგის ქრონიკაში“ ქარხნის შენობათა კომპლექსი გამოსახულია მარჯვენა ქვედა კუთხეში, ქალაქის პერიმეტრის გარეთ







# თოჯინა და პეპე

## რომი შნაიდერი და ალენ დელონი — სიყვარული სცენარის გარეშე

„წლეულს შენ 70 წელი შეგისრულდებაო-და. ძალიან მენატრები.

იმიტომ, რომ ჩვენ დავინიშნეთ 50 წლის წინ.

იმიტომ, რომ ჩვენ ერთად გავცურეთ ფილ-მში „აუზი“ 40 წლის წინ.

იმიტომ, რომ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა.

იმიტომ, რომ ჩვენ ბედნიერი ვიყავით ერთად – და უბედური, როცა დვეიდი გარდაიცვალა.

იმიტომ რომ ეს ვიყავით მე და შენ – სწორედ ამიტომ“. – ამ სიტყვებით გაიხსენა რომი შნაიდერი ალენ დელონმა, 2008 წელს, ფრანგული ოსკარის სუზარის დაჯილდოებაზე. XX საუკუნის ულამაზესი წყვილის ურთიერთობის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა. მამაკაცური სილამაზის სიმბოლოდ მიჩნეულმა ალენ დელონმა და ულამაზესმა რომი შნაიდერმა, დიდი წვლილი შეიტანეს XX საუკუნის მსოფლიო კინემატოგრაფიაში და ერთმანეთისადმი საოცარი სიყვარულით, თავდაც მოახერხეს შექმნათ სვედიანი და ტრა-

გიკული „სიყვარულის ისტორია“. ის მართლაც ფილმივით დასრულდა რომი შნაიდერის გარდაცვალებასთან ერთად. დღეს ალენ დელონი 77 წლისაა, მისი თქმით, რომი შნაიდერი მის გულსა და მოგონებებში ცხოვრობს.


\* \* \*

ფრანგი მსახიობი ალენ დელონი, რომლის სრული სახელი და გვარია ალენ ფაბიენ მორის მარსელ დელონი, 1935 წლის 8 ნოემბერს, პარიზის გარეუბან სოში დაიბადა. მამა კინოდარბაზის დირექტორი იყო, დედა – ფარმაცევტი. ალენი სამი წლისაც არ იყო, როცა მშობლები გაიყარნენ. რვა წლისა პანსიონში მოხვდა, საიდანაც უდისციპლინობის გამო პერიოდულად აგდებდნენ. ალენ დელონს კლასიკური თეატრალური განათლება არ მიუღია. დედამ და მამობილმა მისთვის ფასის პროფესია შეარჩიეს. 16 წლისა ველოსიპედით და კრივით ერთობოდა, დადიოდა კინოში. 17 წლის ალენი ინდოჩინეთის პირველ ომში მოხვდა, სადაც მისი თქმით,

სამხედრო სამსახურის ოთხი წლის განმავლობაში დაახლოებით 11 თვე გაატარა ციხეში უდისციპლინობის ბრალდებით. ალენ დელონი ამბობს: „ომმა საშინელება დამმართა, ილუზიების ნარჩენები და იმედების ნაგლეჯები ჩამიკლა. იქ სამუდამოდ დავტოვე ბავშვობა“. 1956 წელს ალენი პარიზში დაბრუნდა. დღისით გაზეთებს არიგებდა, ხანაც მიმტანად მუშაობდა. ერთ დღესაც ბედმა გაუღიმა და ქუჩაში „ტალანტებზე მონადირე“ პარი უილსონს გადაეყარა, რომელიც შვიდწლიანი კონტრაქტის გაფორმებას შეჰპირდა. ამის შემდეგ ფრანგმა რეჟისორმა ივ ალეგრემ მეთრეხარისხოვან როლზე მიიწვია. ალენმა ეს შანსი გამოიყენა, მან განგსტერის როლი შეასრულა ფილმში „როცა ქალი ერევა“ და ამით კინოკარიერა დაიწყო.

ალენ დელონისგან განსხვავებით, რომელმაც კარიერის დაწყებამდე და აღიარებამდე ცხოვრების რთული გზა განვლო, ულამაზესი რომი შნაიდერი ბავშვობიდან დიდების მწვერვალზე იყო. გერმანული წარმოშობის მსახიობი რომი შნაიდერი, რომელმაც მაყურებელს ნიჭიერებითაც დაამახსოვრა თავი, 1938 წლის 23 ოქტომბერს ვენაში, მსახიობთა ოჯახში დაიბადა. 14 წლის რომი დედასავით მსახიობობაზე ოცნებობდა. 15 წლისას ოცნება აუსრულდა და მისი დებიუტი მოეწყო. რომიმ ორ წელიწადში უკვე ძალიან დიდ წარმატებას მიაღწია ფილმით „სისი: იმპერატორის მძიმე წლები“ (1957 წელი).

XX საუკუნის ულამაზესი წყვილის გზები 1958 წელს, ფილმ „ქრისტინას“ გადაღებებზე გადაიკვეთა, როცა რომი შნაიდერმა უარი თქვა ფილმ „სისი: იმპერატორის მძიმე წლების“ სერიების გაგრძელებაზე და „ქრისტინას“ გადაღებებს დათანხმდა. ფილმის რეჟისორი პიერ-გასპარ იუტი დაჰპირდა რომის, რომ ლამაზ და ახალგაზრდა მწვევილეს შეურჩევდა (საინტერესოა, რომ რომიმ ამ ფილმში ჰონორარი 75 მილიონი ფრანკი მიიღო, ალენმა კი მხოლოდ 300 ათასი). ფოტორეპორტიორთა ალყაში მოქცეული ალენ დელონი რომის პარიზის აეროპორტში ელოდა ყვავილებით ხელში, რომლებიც არც კი იცოდა როგორ უნდა სჭვროდა. როგორც კი თვითმფრინავი დაემშვა, ალენი რომისკენ გაემართა. რომის დედისთვის უკითხავს: „ვინ არის ეს ყმაწვილი?“ მან უპასუხა: „ალენ დელონი უნდა იყოს — შენი პარტნიორი“. ამის მეტი არაფერი მომხდარა, მაშინ არც



ალენ დელონის კარიერა რთულად იწყებოდა, რომი შნაიდერი კი თავიდანვე დიდების მწვერვალზე იყო







წყვილის გზები პირველად ფილმ „ქრისტინას“ გადაღებებზე გადაიკვეთა

კადრი ფილმიდან „ქრისტინა“



სიყვარულის ელდა სცემიათ. მეტიც, ფილმის გადაღებების დროს ისინი ზმირად ჩხუბობდნენ. რომი ზედმეტი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა საქმეს, იგი პარტნიორზე ამბობდა: „ჩვენ შორის ძნელია საერთო ენის გამონახვა. არაფერს აიტანდა გერმანიაში საქმისადმი ისეთ დამოკიდებულებას, როგორც მას აქვს“. რომი ასევე იხსენებდა: „პარიზში გავიცანი ნამდვილი ალენი, ეკლიანი, იმპულსური, მოუხემა-ვი ჭაბუკი, რომელიც ჯინსსა და პერანგს არ იშორებდა, სულ აგვიანდებოდა გადაღებებზე, მთელ ქალაქს უვლიდა თავისი „რენოთი“ და არაჩვეულებრივ ამბებს ჰყვებოდა...“

გადაღებები დამთავრდა, რომი და ალენი ერთმანეთს დამორღნენ, თუმცა ისინი ისევ ფილმის გადაღებებმა შეახვედრა. ალენი ვენაში ჩავიდა და გაგიჟებით შეუყვარდა რომი, რომისა ც შეუყვარდა ალენი... შემდეგ ზმირად ეკითხებოდნენ ერთმანეთს, მე უფრო ადრე შემიყვარდი თუ შენ? ისინი დაითვლიდნენ 1, 2, 3 და ერთდროულად პასუხობდნენ: არც მე და არც შენ, ორივეს! გადაღებების დამთავრების შემდეგ ალენმა რომის მასთან ერთად ცხოვრება შესთავაზა, რომიმ კი მაშინვე უპასუხა: „მე მინდა შენთან ერთად ცხოვრება საფრანგეთში“. ალენისგან განსხვავებით, რომი უმდიდრესი გერმანული ოჯახიდან იყო. რა თქმა უნდა, მშობლები წინააღმდეგი იყვნენ მათი ნიშნობისა, რადგან მათთვის დელონი ერთი უსახლკარო, გაუნათლებელი კაცი იყო. ბობოქრობდა მთელი ავსტრია და გერმანია, ისინი დელონს უზურპატორს, ბავშვების გამტაცებელს უწოდებდნენ. დელონმა ხომ მათ დედოფალი მოსტაცა.

ფრანგმა ალენმა, რომელმაც სიტყვაც არ იცოდა გერმანულად, მოიტაცა რომი, რომელმაც ასევე სიტყვაც არ იცოდა ფრანგულად. მათ უსიტყვოდ უყვარდათ ერთმანეთი. ისინი ერთმანეთს შეჰყურებდნენ და იცინოდნენ. ალენი რომის თოჯინას ემახდა, ალენს კი პეპე ერქვა. ისინი პარიზში ცხოვრობდნენ. 1959 წლის 22 მარტს მათ ჯვარი დაიწერეს. ალენ დელონმა რამდენიმე თვის შემდეგაც ვერ შეძლო გერმანულის სწავლა, რომიმ კი ისე კარგად ისწავლა ფრანგული, რომ ერთად თამაშობდნენ ლუკინო ვისკონტის სპექტაკლში, საფრანგეთის თეატრის სცენაზე. ვისკონტი ამბობდა, რომ ალენი და რომი ერთმანეთს ჰკავდნენ, ორივეს ერთნაირი V ჰქონდათ წარბებს შორის, ამიტომაც შიშა და გაბრაზებას ერთნაირად გამოხატავ-

*ესტრია და გერმანია ბობოქრობდა, რომ დედოფალი ერთმა უსახლკარო, გაუნათლებელმა კაცმა მოსტაცათ*

დენ. ვისკონტი ამას რემბრანდტის V-ს უწოდებდა, რადგან როგორც იგი ამბობდა, ამგვარი V მხატვრის ავტობორტურეტებში აშკარად იყო გამოსახული. გერმანელი გოგონა, რომლის მეტსახელები „მის დამწუხრებული“ და „რომინა“ იყო, სულ მალე ფრანგ ქალად იქცა. ამაში წვლილი ალენ დელონს, ლუკინო ვისკონტისა და კოკო შანელს მიუძღვით. ალენ დელონი მოგვიანებით ამბობდა: „მე გაქციე შენ ფრანგ ქალად, ფრანგ კინოვარსკვლავად, დიან, ეს ჩემი დამსახურებაა... და ეს ქვეყანაც, საფრანგეთი, რომელიც შენ ჩემ გამო შეიყვარე, შენი სამშობლო გახდა“.

დიდი ბედნიერება, უსიტყვო სიყვარული, ვნებიანი რომანი ოფიციალური სამოქალაქო ქორწინებით მაინც არ დასრულებულა. ვერაფერ იტყვის, რომ მათი სიყვარული გაქრა, მაგრამ ისინი დაშორდნენ... მათი დაშორებაც ისეთივე უსიტყვო იყო, როგორიც სიყვარული. გასტროლები, პრესის ინტრიგები, ამ ყველაფერმა მათ ურთიერთობაზე გავლენა იქონია. პროფესიულმა მოვალეობებმა თითქოს დააშორა ისინი. ალენი იტალიაში გაემგზავრა, რომი დასავლეთ გერმანიაში მუშაობდა. რომი იტანჯებოდა, ალენი — ნაკლებად. დელონი ვარსკვლავი გახდა, სულ რაღაც ხუთ წელიწადში მიაღწია წარმატებას. ახალი და საინტერესო ნაცნობობით გატაცებული დელონი ვერ ხედავდა, ან არ სურდა დაენახა, როგორ იტანჯებოდა რომი. 1963 წელს რომი მარტო ცხოვრობდა ჰოლივუდში. ის ახალ ფილმზე მუშაობდა. ალენი მას არ გაჰყვა და არც აეროპორტში დახვდრიდა ჩამოსულს. რომიმ საკუთარ ბინაში ალენის დატოვებული შავი ვარდი და წერილი ნახა, რომელშიც ეწერა: „ჩვენ დანიშნულები ვიყავით, მაგრამ ვერ დაეჭორწინდით, ჩვენ საერთოდ არ გვაქვს დრო ერთმანეთისთვის და ერთმანეთს მხოლოდ აეროპორტში ვხვდებით. გიბრუნებ თავისუფლებას და გიტოვებ ჩემს გულს“. ალენ დელონი შეძგე იხსენებდა: „რომი განეკუთვნებოდა იმ სოციალურ ფენას, რომელიც მე მძულდა. ვცდილობდი გამეთავისუფლებინა იმ წესებისგან, რომელსაც მას ოცი წლის განმავლობაში ასწავლიდნენ ოჯახში“. ასევე ამბობს, რომ „მასში ყოველთვის ორი

*ზმირად ეკითხებოდნენ ერთმანეთს, „მე უფრო ადრე შემიყვარდი თუ შენ?“*







ალენთან დაშორების შემდეგ რომი ცოლად გაჰყვა ჰარი მეიერს, მათ ერთი შვილი ევოლათ, დევიდი

ალენ დელონი და მისი მეუღლე ნატალი დელონი (ფრანსინ კანოვა) შვილთან, ენტონისთან ერთად



არსება ცხოვრობდა – ფაქიზი, დაუცველი თოჯინა და რკინის ხასიათის მქონე გერმანელი ქალი. პირველს ვაღმერთებდი, მაგრამ მეორე მძულდა. დაშორება ალენის სურვილი უფრო იყო, ვიდრე რომის. რომი თავის დღიურში წერდა: „ჩემზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, მას არასოდეს დავტოვებდი, ძალიან მიყვარდა და ყველაფერს ვაპატიებდი“.

ალენმა და რომიმ ცალ-ცალკე განაგრძეს ცხოვრება, ალენმა სულ მალე, 1964 წლის 13 აგვისტოს ცოლად შეირთო ფრანსინ კანოვა (ნატალი დელონი), რომლისგანაც შეეძინა ვაჟი ენტონი. დელონის ქორწინების შესახებ რომიმ გაზეთებიდან შეიტყო. ალენი გახარებული იყო, ამბობდა: „ახლა მამა ვარ, ცოლი მყავს, ვეცდები, კარგი ქმარი ვიყო. ალბათ ამას უცებ ვერ ისწავლი“. თუმცა ალენი ოთხ წელიწადში დაშორდა ცოლს.

ალენთან დაშორების შემდეგ, 1966 წელს რომი ცოლად გაჰყვა გერმანელ რეჟისორსა და მსახიობს ჰარი მეიერს. მათ ერთი შვილი ევოლათ, დევიდი. თითქოს რომი ბედნიერი იყო, თითქოს ადვილად გადაიტანა ალენთან დაშორება, მაგრამ ეს მხოლოდ ბრძოლა იყო საკუთარ თავთან.

მოგვიანებით, 1969 წელს ფილმ „აუზის“ გადაღებებისთვის ალენ დელონმა რომის დაურეკა და ერთად თამაში შესთავაზა. რომი შემდეგ აღიარებდა: „გული ისევ სიყვარულით აფო-

რიაქდა. ვხვდებოდი, რომ რაღაც საშინელებას ჩავდიოდი... დელონმა სიცოცხლე დამიბრუნა, რომლისგანაც გაქცევის ვაპირებდი, საყვარელ საქმესთან დამაბრუნა“. გადაღებების დროს მთელი საფრანგეთი ცნობისმოყვარე თვალს ადევნებდა წყვილს. აინტერესებდათ, უყვარდათ თუ არა ისევ ერთმანეთი. ფილმის გმირების ბედი რომისა და ალენის რეალურ ცხოვრებას ჰგავდა. ჟურნალისტების კითხვებს ალენი მხიარულად პასუხობდა: „ამჯერად მართლა სცენარის მიხედვით გვიყვარს ერთმანეთი“. რომის პასუხი კი განსხვავებული და სერიოზული იყო: „დელონი? არაფერია იმაზე ცივი, ვიდრე ჩამკვდარი სიყვარული“. დელონი და რომი მართალია დაშორდნენ, მაგრამ ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე მაინც ერთად იყვნენ. ერთმანეთს ეხმარებოდნენ და აძლიერებდნენ. გრძელდებოდა რომის აღმასვლა. 1975 წელს მან ფილმში „მთავრია გიყვარდეს“ შესრულებული როლისთვის სეზარი მიიღო, ხოლო 1978 წელს კვლავ სეზარით დაჯილდოვდა ქალის საუკეთესო როლის შესრულებისთვის ფილმში „უბრალო ისტორია“. რომი წერს: „ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მამაკაცი არის და ყოველთვის იქნება ალენ დელონი. დღესაც ალენი ერთადერთი მამაკაცია, რომელსაც ვენდობი. ის ყოველთვის მეხმარება, ალენმა მე ქალად მაქცია“.

რომის მეუღლემ, ჰარიმ რომის არ აპატია დელონთან ურთიერთობა. ისინი 1975 წელს დაშორდნენ. მოგვიანებით, 1979 წელს ჰარიმ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა ჰამბურგში. ჰარისთან გაშორებისთანავე რომი ცოლად გაჰყვა პირად მდივან დანიელ ბიანზინის. მათი ურთიერთობა 1981 წლამდე გაგრძელდა.

რომი შნაიდერის ცხოვრება საბოლოოდ დაინგრა 1981 წლის 5 ივლისს, როცა დანიელის შშობლების სახლში 14 წლის დევიდმა, სახლის გარშემო შემოვლებულ გალაკანზე აძრომისას, საძილე არტერია დაიზიანა... ბუშვი გარდაცვლილი იპოვეს. რომი ამ უბედურებას ვედარ გაუშკლავდა, მან ალკოჰოლის მიღება დაიწყო. ამასთან დაკავშირებით ალენი იხსენებს: „იმ დღეს, როცა დევიდი მოკვდა, რომიმ ჩვენ დაგვტოვა, მას აღარ სურდა სიცოცხლე“. მართლაც, ერთ არცთუ მშვენიერ დღეს რომი შნაიდერის გული გაჩერდა. 1982 წლის 29 მაისს გაზეთები რომის გარდაცვალების ცნობებით აჭრულდა. უმშვენიერესი რომი შნაიდერი 42 წლის



ფილმ „აუზის“ გადაღებები წყვილისთვის ტრიუმფულიც აღმოჩნდა და საბედისწეროც







„სხვები იტყვიან, რა დიდებული მსახიობია, რა ტრაგიკოსი, არ იციან, რომ თავად შენ ხარ ტრაგიკული ქალი“

ასაკში, ტკვილგამაყუჩებლების ზედმეტი დოზით გარდაიცვალა, შემდეგ კი გამოაცხადეს, რომ მსახიობი გულის შეტევით დაიღუპა. უკანასკნელ სადამოს, რომის უსიცოცხლო ხელი ალენს ეჭირა...

მსოფლიოს ულამაზესმა მამაკაცმა, საყვარელი ქალის საფლავთან უზარმაზარი თავიგული მიიტანა. ისეთივე თეთრი ვარდებით, პირველად აეროპორტში შეხვედრისას რომ მიართვა. როცა სასაფლაოდან ყველა წავიდა, ალენმა ჯიბიდან ბარათი ამოიღო და რომის საფლავზე დადო. ბარათში ეწერა: „შენთვის, მხოლოდ შენთვის რამდენიმე გერმანული სიტყვა ვისწავლე: მე შენ მიყვარხარ, საყვარელო“.

თოჯინა და პეპე



რომის უთქვამს: „ვეიქრობ, რომ ცხოვრებაში საუკეთესო რამ, რაც ადამიანს გააჩნია, არის მოგონებები“. ალენის გამოსათხოვარი წერილი მოგონებებით არის სავსე: „...ჩემო თოჯინა, ისევ და ისევ გიყურებ, მინდა ჩემმა შხერამ გშთანთქას“.

დელონი რომის თავისი ცხოვრების ერთადერთ სიყვარულს უწოდებს, ყოველ წელს აღნიშნავს მასთან ნიშნობის თარიღს, 22 მარტს. ერთ-ერთ ინტერვიუში კი აღიარა: „ცოლად უნდა მომეყვანა...“ ალენს რომ მართლაც ცოლად შეერთო რომი, იქნებ ბედნიერად გაგრძელებულიყო მათი ცხოვრება. ალენს რომი უყვარდა, უბრალოდ ლამაზ, მიშინდევლ და ეშხიან ქალებს არ შეეძლოთ, მისი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ალენის გვერდით არ ყოფილიყვნენ. დელონი თავის წერილში წერს: „სხვები იტყვიან, რა დიდებული მსახიობია, რა ტრაგიკოსი, მათ არ იციან, რომ თავად შენ ხარ ტრაგიკული ქალი, ვისაც ცხოვრება ძალიან ძვირად უდრის. არ ესმით, რომ შენს ეკრანულ როლებში შენი პირადი დრამებია ასახული... და თუ ანათებ, მხოლოდ იმიტომ, რომ თავად იწვი“. რომიმ სამუდამო სასუფეველი საკუთარ შეილთან ერთად ჩრდილოეთ საფრანგეთში პოვა... მოგვიანებით ალენ დელონი რომის მიმართავდა: „აქ დაიძინებ სამუდამოდ, საფრანგეთის მიწაში... ჩვენთან ახლოს, ჩემთან ახლოს“.

ეთარ ნაზინიძე

აირჩია შესაფერისი იარაღი. ისროდა ზუსტად  
ბააუმჭობესა შენი შაშხანის სიზუსტა  
ისწავლა თოფისთვის საფანტის შერჩევა

**სიახლა!**

ფასი  
29.95 ლარი

335 მნიშვნელოვანი რჩევა **ნაღირობის** შესახებ



**შეიძინეთ ნიგნის პალატიებში**

ნიგნები საბლი მიტანით ფანაბათის გარეშე ტელ: 0(32) 238 26 73, 0(32) 238 26 74 [www.elva.ge](http://www.elva.ge)



# ჰეიმან ბეჩინბის

## ტრიუმფი და დასაჯა

— მოკალით! მოკალით! იცოდეთ, ეს გერმანიას სჭირდება! პატიოსანი და წესიერი მხოლოდ თქვენი რასისადმი უნდა იყოთ! ჭეშმარიტი გერმანელის გულში არ უნდა გაიფლავოს სიბრალოლემა ებრაელის ან სლავის მიმართ! ხელი არ ავიკანკალდეთ! პასუხს არავენ მოვთხოვთ. მთელს პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ! — ეს სიტყვები რაინხსმარშალ ჰერმან გერინგს ეკუთვნის. გერინგის პერსონა უკვე მის სიცოცხლეში უდიდესი მითქმა-მოთქმის საგანი იყო. ეს დღემდე გრძელდება.

*გერინგი რამდენიმე წელიწადს იყო მეორე კაცი მესამე რაინში*



### ომის გმირი

ჰერმან ვილჰელმ გერინგი (1893-1945) მაღალი რანგის მოხელის ოჯახში დაიბადა. მამამისი ბისმარკის მეგობარი იყო. ჰერმანი ბავშვობიდანვე სამხედრო კარიერაზე ოცნებობდა და მამამ კადეტთა კორპუსში შეიყვანა. მისი დამთავრების შემდეგ პრუსიის სამხედრო აკადემიაში სწავლობდა. 1912 წელს ობერ-ლეიტენანტის ჩინი მიენიჭა და პრინც ვილჰელმის სახელობის ქვეით ბატალიონში ჩაირიცხა.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე გერინგი მოხალისედ წავიდა ფრონტზე. თავდაპირველად ქვეითი ბატალიონის მეთაურის ადიუტანტი იყო, თუმცა მფრინავობაზე ოცნებოდა. — ავიაცია იმხანად ახალი ხილი იყო. მფრინავებს ისე აღიქვამდნენ, როგორც ჩვენს დროში კოსმონავტებს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ახალგაზრდა, ენერგიულ და პატივმოყვარე გერინგს მფრინავობა სურდა, — წერს ცნობილი ბრიტანელი ისტორიკოსი ჰიუ ტრევიორ-როუპერი.

გერინგი არა მხოლოდ მეოცნებე, არამედ მიზანსწრაფულიც გახლდათ. ოცნება აიხდინა

და მფრინავთა ჯგუფში გადავიდა. ყველა გამოცდა ფრიალზე ჩააბარა და მოკლე ხანში მფრინავის პროფესიაც აითვისა. — როგორც მფრინავი ის ნამდვილი ვირტუოზი იყო, — წერს გერმანელი ისტორიკოსი კურტ ფონ ტიპელსკირნი.

მტრის პირველი თვითმფრინავი გერინგმა 1916 წელს ჩამოაგდო. გამარჯვება ბავშვით უხაროდა. ამას მეორე, შემდეგ მესამე თვითმფრინავი მოჰყვა. გერინგი განსაკუთრებული სიმამაცით გამოირჩეოდა, ამიტომ მასზე ამბობდნენ: — გერინგი ადამიანური შესაძლებლობის სტანდარტებში არ ჯდება! მას არაფრის ეშინია! გამოჩენილი სიმამაცისთვის გერინგი რკინის ჯვრით დააჯილდოვეს. თუმცა 1918 წელს პირველი მსოფლიო ომი დამთავრდა და გერმანია და მისი მოკავშირენი დამარცხდნენ. მათ მძიმე სამშვიდობო პირობები წაუყენეს.

### მბრალის გადარჩენილი

ომის შემდგომ დასადგურებული სიდუხჭირის ჟამს სხვადასხვა ჯურის პოპულისტები

ამოტივტივდებიან ხოლმე. გერმანიის მდგომარეობას ისიც ამბაფრებდა, რომ სილატაკეს ომში დამარცხება და ეროვნული შეურაცხყოფის გრძნობაც ერთვოდა. — კაიზერ ვილჰელმის დამხობის შემდეგ ქვეყანაში დაიწყო ქაოსი. წარმოიშვა ორი უკიდურესობა: ნაციზმი და ბოლშევიზმი, — წერს ამერიკელი ჟურნალისტი და ისტორიკოსი უილიამ შირერი.

ბოლშევიზმის გემო გერმანელებმა ჯერ კიდევ 1919 წელს იწვნიეს, როცა ბავარიაში საბჭოთა რესპუბლიკა გამოცხადდა. „ეს ნამდვილი კომმარი იყო, — წერდა შემდგომში დიდი გერმანელი ფიზიკოსი ვერნერ ჰაიზენბერგი, — საბჭოთა რესპუბლიკა ძალადობისა და უკანონობის სიმბოლოდ იქცა“.

საბჭოთა რესპუბლიკა სამხედრო ძალით ჩაახშეს, თუმცა იდეურად ის არ დამარცხებულა. კომპარტია მოქმედებას განაგრძობდა, ამიტომ ლოგიკური იყო მეორე უკიდურესობის წარმოქმნაც. ეს ნაციონალ-სოციალისტური პარტია გახლდათ, რომელსაც ყოფილი ეფრეიტორი ადოლფ ჰიტლერი ხელმძღვანელობდა. — მაშინდელი იდეოლოგიური თუ ზნეობრივი ვაკუუმის პირობებში ბევრს ჰიტლერის პარტია ერის მხსნელად ეწვეწებოდა, — წერს უილიამ შირერი, — ფიურერი პოპულიზმის დიდოსტატი იყო, ნაციონალური და სოციალური ფრაზეოლოგიით ოსტატურად ჟონგლიორობდა. ამას გარდა ფანატიკოსიც გახლდათ. მას სწამდა, რომ გერმანია ნანგრეევიდან აღდგებოდა და იმპერიად გადაიქცეოდა. მაშინ ეს რწმენა ბევრს გულზე მალამოდ მოეცხო.

ამ უკანასკნელთა რიცხვს გერინგიც განეკუთვნებოდა. ჰიტლერი მან 1922 წელს გაიცნო და მისი პარტიის წევრი გახდა. ერნსტ რემთან ერთად, გერინგი მოიერიშე რაზმებს ჩაუდგა სათავეში. გერინგის წყალობით მოიერიშეები მოკლე დროში მრისხანე ძალად გადაიქცნენ. თავად გერინგი აცხადებდა, მალე გერმანიაში ნაციონალური რევოლუცია მოხდებაო. ის 1923 წლის 9 ნოემბერს დაიწყო და მარცხით დასრულდა, ისტორიაში კი „ლუდის პუტჩის“ სახელით დარჩა. ქუჩის ბრძოლებისას გერინგი ფერდში დაიჭრა. მოიერიშე ჰუგო ვებერმა მომავალი რაიხსმარშალი ზურგზე მოიგდო და სამშვიდობოს გაიყვანა. მძიმედ დაჭრილი გერინგი ებრაელმა რობერტ ბალინმა შეიფარა.



კადეტა კორპუსში

ახალგაზრდა ჰერმან გერინგი







გერინგი — სამხედრო მფრინავი I მსოფლიო ომში

ძალაუფლებისკენ მიმავალ გზაზე — ჰერმან გერინგი (მარცხნივ) და ადოლფ ჰიტლერი. 1928 წ.



გერინგის მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო. ის სისხლისგან იცლებოდა. პირველი დაზმარება ბალინის ცოლმა აღმოუჩინა, რომელიც საავადმყოფოში მედდად მუშაობდა. გერინგს სისხლდენა შეუჩერდა, თუმცა ოპერაცია სჭირდებოდა. საავადმყოფოში ვერ წაიყვანდნენ, რადგან როგორც პუტჩისტზე, მასზე ძებნა იყო გამოცხადებული. ბალინმა მეგობარი ექიმი მოუყვანა და ოპერაცია მის სახლში გაკეთდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერინგის ეს ეპიზოდი არაერთ რომანსა თუ ფილმში აღიწერა. ზოგი მკვლევარი ფაქტს ეჭვქვეშ აყენებდა, თუმცა როგორც ბალინი, ისე ექიმი ფიორსტერიც (ვინც მას მკურნალობდა) ამტკიცებდნენ, რომ ყველაფერი ზუსტად ასე მოხდა. ასეა თუ ისე, გერინგი საავადმყოფოში არ წაუყვანიათ და დაპატიმრებასაც ამიტომ გადაურჩა. ბალინის სახლში გერინგმა საკმაო ხანს დაყო. როცა მომჯობინდა და სიარული შეძლო, მასპინძელს თბილად გამოემშვიდობა. — მან მითხრა, რომ ჩემს ამაგს არასოდეს დაივიწყებს, — ამბობდა ბალინი.

### მორფინისტი

მალე გერინგმა ცოლთან ერთად თავი ავსტრიას შეაფარა. აქ ის კერძო კლინიკაში კარგა ხანს მკურნალობდა. ჯანმრთელობა საკმაოდ შეერყა, ბალინის სახლში კუსტარულმა ოპერაციამ მის ორგანიზმს სამუდამოდ დაამჩნია კვალი. გერინგს აუტანელი ტკივილები სტანჯავდა. ექიმები იძულებული გახდნენ, ტკივილის დასაყუჩებლად მორფი მიეცათ.

გერინგს, როგორც ჩანს, არცთუ ჯანმრთელი ფსიქიკა ჰქონდა. ამიტომ მორფს მიეჩვია და ნელ-ნელა ნარკომანი გახდა. მომავალი რაიხსმარშალი თავს ამოდ ებრძოდა, მორფისთვის თავის დანებება ვერ შეძლო. გერინგი ნარკომანებისთვის განკუთვნილ კლინიკაში დააწვინეს.

მკურნალობის კურსის დასრულების შემდეგ გერინგი ოდნავ მომჯობინდა და ცოლთან ერთად იტალიაში გაემგზავრა. ჯერ ტურინში ცხოვრობდა, შემდეგ ვენეციაში, მაგრამ მალე მისი ჯანმრთელობა კვლავ გაუარესდა. მომავალი რაიხსმარშალი კვლავ მორფს მიეძალა და კვლავაც კლინიკაში დააწვინეს. მკურნალობის მორიგი კურსის შემდეგ გერინგმა ნარკოტიკის დოზა მკვეთრად შეამცირა, თუმცა საბოლოოდ თავის დაღწევა მაინც ვერ შეძლო.

## განსაკუთრებული სათარაო

1927 წელს გერმანიაში პოლიტიკური ამინსტია გამოცხადდა. გერინგიც სამშობლოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება პოლიტიკურ მოღვაწეობაში. მალე ჰიტლერის მარჯვენა ხელიც გახდა. მისი მეშვეობით დამყარდა კავშირები გერმანული მრეწველობის მესვეურებთან. გერინგმა მოახერხა მათი დარწმუნება, ჰიტლერის პარტია დაეფინანსებინათ.

1932 წელს ნაცისტურმა პარტიამ არჩევნებში უდიდეს წარმატებას მიაღწია და პარლამენტში 230 ადგილი მოიპოვა. ამაში გერინგის წვლილი უდიდესია. არჩევნებში გამარჯვება დიდად განაპირობეს როგორც გერმანული სახელმწიფო და ფინანსური მოღვაწის, იალმარ შახტიისა და მსხვილი მრეწველების ფინანსებმა, ასევე მოიერიშეთა ავტომატებმაც, რომელთაც გერინგი და რეიხსმეურობდნენ.

— შემდგომში ზოგიერთი ისტორიკოსი ამტკიცებდა, თითქოს ნაცისტებმა არჩევნებში გაიმარჯვეს. ეს არ არის სწორი. არჩევნები უხეში დარღვევებით გაიმართა. ჰიტლერელთა გამარჯვება დიდად განაპირობა როგორც მოსყიდვამ, ასევე მოიერიშეთა ავტომატებმა, — აღნიშნავს გერმანელი მწერალი და ისტორიული ნაშრომების ავტორი იურგენ თორვალდი.

არჩევნების შემდეგ გერინგი რაიხსტაგის თავმჯდომარე გახდა. ის ჰიტლერმა გამოიძახა და ოთხ საათს ისაუბრეს. ამის შემდეგ გერინგმა ფონ პაპენის მთავრობის გადაყენება მოითხოვა და პარლამენტმაც მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა. რაიხსკანცლერის პოსტი ჰიტლერმა დაიკავა. გერინგის ინიციატივით პარლამენტმა მიიღო კანონები, რომლებიც რაიხსკანცლერს განუსაზღვრელ ძალაუფლებას ანიჭებდა. ამით რაიხსტაგის თავმჯდომარის თანამდებობა, ფაქტობრივად, ნომინალური გახდა. ბევრი ექსპერტი გაოცებას გამოთქვამდა, რომ გერინგმა ჰიტლერს დიქტატორობისკენ გზა საკუთარი პოლიტიკური კარიერის ხარჯზე გაუხსნა, — წერს ტრევიორ-როუპერი.

თუმცა გერინგი არც ისეთი ფანატიკოსი იყო. მისი ქცევა არა „ნაციონალ-სოციალისმის იდეალებისადმი“ ერთგულებამ, არამედ ჰიტლერთან მოლაპარაკებებმა განაპირობა. მალე გერინგი პრუსიის პოლიციის შეფი გახდა. მოკლე დროში წმენდა მოაწყო და პოლიცია ნაცისტე-



ჰერინგის ჰიტლერი და ჰერმან გერინგი



ნადირობისას

საყვარელ ვეფხვის ბოკვერთან ერთად







ჰერმანისა და ემის ქორწილი. ბერლინის კათედრალი, 1935 წ.

სამუშაო კაბინეტში



ბით ან მათი ერთგული მოხელეებით გაავსო. პრუსიის პარლამენტმა გერინგის მოქმედება უკანონოდ მიიჩნია და მას უნდობლობა გამოუცხადა. ნაცისტებმა ნაცად მეთოდს, ანუ ძალადობას მიმართეს და პარლამენტი დაშალეს.

1933 წლის 25 აპრილს შეიქმნა სახელმწიფო საიდუმლო პოლიცია (გესტაპო). მის პირველ შეფად გერინგი დაინიშნა. გესტაპო ნაცისტური რეჟიმის უმთავრესი საყრდენი შეიქმნა. მას ფართო უფლებამოსილება ჰქონდა. გესტაპოს ამოცანა არსებული წყობილებიდან ნებისმიერი მტრული ძალის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. მას შეეძლო ნებისმიერი პირი ორდერის გარეშე დაეპატიმრებინა და წარემართა გამოძიება, რომელსაც განუყრელად ახლდა წამება. გესტაპო ყოველგვარი სასამართლოს გარეშე წვევდა, იყო თუ არა ესა თუ ის პირი დამნაშავე. თუ დამნაშავედ მიიჩნევდნენ, სპეციალური სამეული წვევდა სასჯელის ზომას — საკონცენტრაციო ბანაკში გამომწვევდიდან სიკვდილით დასჯამდე.

გერინგის წყალობით, გესტაპო უმოკლეს დროში მრისხანე ძალად ჩამოყალიბდა. აქ თავი მოიყარეს როგორც პროფესიონალმა პოლიციელებმა და კონტრმზვერაუებმა, ასევე ნაცისტური პარტიის ახალგაზრდა წევრებმაც, მათ, ვისაც გულწრფელად სწამდა, რომ „დიდ გერმანიას“ ქმნიან. გერინგის უშუალო ხელმძღვანელობით ეწეობოდა პროოკაციები, რომლის პიკიც რაინსტაგის დაწვაა. გერმანიაში ყველა პარტია აიკრძალა, ქვეყანაში დამყარდა ნაცისტური დიქტატურა.

გერინგი აქტიურად მონაწილეობდა როგორც კომუნისტების, სოციალ-დემოკრატებისა და სხვა ოპოზიციონერების დევნაში, ასევე ნაცისტური პარტიის წმენდაშიც. ის ე.წ. მოიერიშეთა პუტჩის ჩახშობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. თავის დროზე გერინგი, რემთან ერთად, მოიერიშეთა ერთ-ერთი შემქმნელი იყო და მათ შორისაც უამრავი მეგობარი ჰყავდა, მიუხედავად ამისა, ყველას სასტიკად გაუსწორდა და მათ დახვერტაშიც უშუალოდ მონაწილეობდა.

უილიამ შირერის ცნობით, გერინგი პატიმრებს პირადად არ აწამებდა, თუმცა დაკითხვებს ესწრებოდა და ღრიალებდა: „აბა, აღიარე შენი ნებით, აღიარე, თორემ საკუთარ სისხლში გაბანავებ!“ ამ დროს გესტაპოს შეფი ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იყო. მოიერიშეები, რომელ-



მუსოლინი  
სტუმრად  
გერინგთან,  
კარინჰალში

თაც მხეცურად აწამებდნენ, ემუდარებოდნენ, „ჰერმან, გვიშველე, ჩვენ ზომ მეგობრები ვიყავით!“ ნარკოტიკებით გაბრუებული გერინგი კი მხოლოდ ღრიალებდა და ივინებოდა.

### რაისსმარშალი

ფიურერმა გესტაპოს პირველ შეფს ამაგი დაუფასა და ავიაციის კაპიტანი გერინგი რაისსმარშალი გახდა. მას ეკავა პრუსიის გაულაიტერიისა (პარტიის საოლქო ხელმძღვანელის) და იმპერიის მთავარი მეტყევის თანამდებობები. თუმცა გერინგის სტიქია ავიაცია იყო. 1935 წელს ჰიტლერმა მისი თხოვნა დააკმაყოფილა და სამხედრო ავიაციის, ანუ ლიუფტვაფეს სარდლად დანიშნა. უმოკლეს დროში ლიუფტვაფე მრისხანე ძალად ჩამოყალიბდა. 1938 წლისთვის გერმანული ავიაცია ევროპაში უძლიერესი იყო.

ფიურერი გერინგით აღფრთოვანებული გახლდათ. ლიუფტვაფეს შეფის მდგომარეობაც ბევრად მაღალი იყო, ვიდრე ავიაციის ჩვეულებრივი სარდლისა. გერინგი, რომელიც რაისსტაგის თავმჯდომარედ და იმავდროულად პრუსიის გაულაიტერად რჩებოდა, ფაქტობრივად, სახელმწიფოში მეორე კაცი გახდა. ინგლისურ და ფრანგულ პრესაში ხშირად იწერებოდა, რომ გერინგის ავტორიტეტი პარტიაში ბევრად მაღალია, ვიდრე ჰიტლერისა და



დასვენება კარინჰალში





ჰიტლერთან ერთად, ნაცისტების ალლუმზე. 1938 წ

რომ მალე გერინგი სახელმწიფოს მეთაურის პოსტსაც დაიკავებდა.

— 1936-38 წლებში ლონდონსა და პარიზში გერინგი მართლაც აღიქმებოდა, როგორც უფრო ზომიერი და რესპექტაბელური პოლიტიკოსი, ვიდრე ჰიტლერი. ჩვენც გულდასმით ვაანალიზებდით, რამდენად რეალური იყო, რომ მას ჰიტლერის ადგილი დაეკავებინა, — წერს ინგლისის დაზვერვის ვეტერანი ედვარდ ჰენრი კუკრიჯი. ასეთ ვარიანტს საბჭოთა დაზვერვაც აანალიზებდა. რუსებიცა და ინგლისელებიც ერთ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ხმები გერინგის ხელისუფლებაში მოსვლის თაობაზე გაზვიადებული იყო. ჯერ ერთი, ლიუფტვაფეს სარდალს ძალიან უყვარდა ფუფუნება. მან აიშენა ნამდვილი სასახლე (კარინჰალი), სადაც მეფურად ცხოვრობდა. ამან კი მისი ავტორიტეტი პარტიაში ძალიან დასცა. მე-

ორე, გერინგი სუსტი ფსიქიკისა იყო და ნარკოტიკებისგან ვერაფრით გათავისუფლდა. შესაბამისად, მისი ხელისუფლებაში მოსვლის შანსი ნულის ტოლი იყო.

— ჰიტლერმა ეს კარგად იცოდა. ამიტომ გერინგს ბევრ რამეს აპატიებდა, ფუფუნებისადმი მიდრეკილებიდან ნარკომანიამდე. გერინგიც მისი ნების შემსრულებელი იყო და მეტი არაფერი. ის მთლიანად ფიურერზე გახლდათ დამოკიდებული, — წერს ტიპელსკირპი.

რაისხმარშალის თანამდებობაზე მყოფი გერინგი თავის პარტიულ ამხანაგებს ზემოდან უყურებდა. როცა მასთან ძველი მეგობრები რამის სათხოვნელად მიდიოდნენ, რიგში ჩადგომას აიძულებდა. თუმცა რობერტ ბალინს რაისხმარშალმა ამაგი დაუფასა. როცა ბალინის ცოლი მასთან მივიდა და უთხრა, რომ ქმარი საკონცენტრაციო ბანაკში დაამწყვდიეს, გერინგმა არაფერი უპასუხა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ბალინი გაათავისუფლეს.

### დაცემის დასაწყისი

გერინგი მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებაში აქტიურად მონაწილეობდა. მისი თვითმფრინავები ევროპის ქალაქებს ბომბავდნენ. თავად რაისხმარშალი, როგორც ყოფილი სამხედრო, მფრინავებს თვითმფრინავში უჯდებოდა, რათა ინგლისის ქალაქები დაებომბა. როცა ეუბნებოდნენ, ეს რაისხმარშალის საქმე არ არისო, სიცილით პასუხობდა:

— გგონიათ კაბინეტის სამხედროდ გადავიქციე? ნურას უკაცრავად!

გერინგის დაცემა 1942 წელს დაიწყო. გესტაპომ დასავლეთ ევროპაში საბჭოთა აგენტურული ქსელი გაანადგურა. აღმოჩნდა, რომ გერინგის უახლოესი ნათესავი ჰარო შულცე-ბოიზენი საბჭოთა აგენტი იყო და რუსებისთვის მუშაობდა. მათთვის მუშაობდა შულცე-ბოიზენის მეუღლე ლიბერტასიც, ხოლო გერინგი მისი ბიძა გახლდათ და ამიტომ შულცე-ბოიზენის დწინაურებას ხელს ბეჯითად უწყობდა. გამოძიებით დადასტურდა, რომ შულცე-ბოიზენმა და მისმა ცოლმა ლიუფტვაფეში მსხვილი აგენტურული ქსელი შექმნეს. ყოველივე ეს გერინგის ზურგს უკან ხდებოდა. ჰიტლერმა განკარგულება გასცა, ყველა ცნობა შეეკრებათ და შემდეგ ფიურერს მაგიდაზე დაუდო. ჰიტლერის რისხვას საზღვარი არ ჰქონდა.

ეს რაიხსმარშალზე პირველი დარტყმა გახლდათ. იმავე 1942 წელს ინგლისურმა ავიაციამ ჰამბურგი და კიდევ რამდენიმე გერმანული ქალაქი მიწასთან გაასწორა. ჰიტლერმა ამაში გერინგი დაადანაშაულა: — გერმანიის ქალაქებს მტრის არც ერთი ბომბი არ დაეცემა! ვინ არწმუნებდა ამაში პარტიას? თქვენ მატყუარა ხართ, გერინგი! მატყუარა!

ფიურერმა მას ყველას თანდასწრებით უყვირა. თავჩაქინდრული გერინგი ჩუმად იდგა. ამიერიდან ის, ფაქტობრივად, პოლიტიკურ გვამად გადაიქცა. მართალია, ჰიტლერმა თანამდებობაზე დატოვა, მაგრამ მასზე, როგორც ლიდერზე, უკვე წარსულ დროში ლაპარაკობდნენ. გერინგიც ნუგეშს მორფში ეძებდა.

### აღსასრული

1943 წელს უკვე ნათელი გახდა, რომ გერმანიამ ომი წააგო. ქვეყნის ხსნა მხოლოდ ფიურერის გადაყენებას შეეძლო. მაშინდელი გერმანული ელიტა ამას შეეცადა, თუმცა ტოტალური ტერორის პირობებში ამისი გაკეთება ძალიან ძნელი იყო. არმიის ზედაფენა უმეტესწილად აპოლიტიკური გახლდათ, მცირე ჯგუფი (შტაუფენბერგი და სხვ.) ჰიტლერის წინააღმდეგ შეთქმულებებს აწყობდა, მაგრამ ეს უფრო განწირულთა ფართხალი იყო. გერინგი, ბორმანი და ჰიმლერი ერთმანეთს არ ენდობოდნენ, ურთიერთს ძირს უთხრიდნენ. ჰიტლერმაც ძალაუფლების შენარჩუნება შეძლო. შეთქმულებს სასტიკად გაუსწორდა, მთავრობაში კი აუცილებელი ბალანსი შეინარჩუნა.

გერინგი კარგად ხვდებოდა, რომ ჰიტლერს გერმანია კატასტროფისკენ მიჰყავდა. ამავე დროს არც ძალა, არც გავლენა, არც ნებისყოფა არ გააჩნდა, რათა ამას წინ აღდგომოდა. ომის დასასრულს მან ფიურერს რადიოთი მიმართა და მოუწოდა, ძალაუფლება მისთვის გადაეცა. შედეგმა არ დააყოვნა. ბორმანის ბრძანებით, გერინგი დააპატიმრეს, თუმცა რამდენიმე დღის შემდეგ ბერლინი დაეცა და გერინგიც თავისუფალი აღმოჩნდა. მალე ის ამერიკელებს ტყვედ ჩაბარდა.

მესამე რაიხის მესვეურები საერთაშორისო სასამართლომ გაასამართლა. სხვებთან ერთად განსასჯელთა სკამზე გერინგიც იჯდა. თავის უკანასკნელ სიტყვაში მან განაცხადა: — ამ სასამართლოს მე არ ვცნობ! აქ გამარჯვებულმა დამარცხებული გაასამართლა!

დამარცხებული მუდამ მტყუანია. სასამართლოც უკვე შედგა, განაჩენი გამოტანილია!

გერინგს ჩამოსხრობა მიუსაჯეს. რაიხსმარშალმა დახვერტით შეცვლა ითხოვა, მაგრამ უარი განუცხადეს. ამის შემდეგ ლიუფტვაფეს შეფმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

— მეუღლემ მას საკანში შხამი შეუტანა, — აღნიშნავს უილიამ შირერი. ვინ იყო სინამდვილეში ის პირი, ვინც გერინგს თვითმკვლელობაში დაეხმარა? შირერის ჰიპოთეზას, რომ ეს ფრაუ გერინგი გახლდათ, ბევრი მკვლევარი დღეს ეჭვქვეშ აყენებს. — გერინგი გაცილებით უფრო იოლი სიკვდილით მოკვდა, ვიდრე დაიმსახურა. ვინ დაეხმარა ამაში? ზუსტად ამის თქმა შეუძლებელია, — მიაჩნია ტრევეორ-როუპერს.

### ნიკა თევზაძე

#### ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

გერინგი ნიურნბერგში, განაჩენის მოლოდინში





# ოქროს სიზ-სხელა კალიფორნიაში



## როგორ მოათვინიერეს ველური დასავლეთი

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში ცნობები ამერიკული ოქროს შესახებ ყოველთვის აღელვებდათ ევროპელებს. XVI-XVII საუკუნეებში ხშირად სწორედ ოქროს საძიებლად მიდიოდნენ ესპანელები შორეულ ამერიკაში. საყოველთაოდ ცნობილი ლეგენდა ელდორადოს შესახებ ეპოქის ოქროსმაძიებლური სულის სიმბოლოა — ძველი სამყაროს მკვიდრნი იმედოვნებდნენ, რომ ახალ ტერიტორიებზე აუცილებლად მიაკვლევდნენ ოქროს ამოუწურავ საბადოებს. სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ მათ ვერ აკაუებდათ ხანგრძლივი და ძნელი საოკეანო მოგზაურობა, ამერიკაში ჩასულიც, არანაირ ფათურაკს არ ერიდებოდნენ. მთელი ეპოქა იყო ელდორადოს დაუსრულებელი ძიება, რომელსაც ვერსად პოულობდნენ: ვერც მექსიკის ტრამალებში, ვერც ამაზონის ჯუნგლებსა თუ ნისლში გახვეულ ანდებში.

ევროპელთა ყურადღება თავიდანვე ცენტრალური და სამხრეთი ამერიკისკენ იყო მიმართული. XVI საუკუნეში ესპანელებმა ოქროს შთამბეჭლავ მარაგს აცტეკებისა და ინკების იმპერიებში მიაგნეს და მათი მოლოდინი ამერიკული ოქროს შესახებ გარკვეულწილად გამართლდა. ჩრდილოეთი ამერიკის ათვისებას ესპანელები არ ფიქრობდნენ. შესაძლოა ეს განაპირობა ესპანური ახალშენების დაფუძნების წარუმატებელმა მცდელობამ ჩრდილოეთი ამერიკის ატლანტის ოკეანისპირა სანაპიროზე. სწორედ ამ დროიდან რუკებზე გაჩნდა წარწერა: „უსარგებლო მიწები“.

ჩრდილოეთ ამერიკაში ოქრო პირველად აღმოაჩინეს 1799 წელს ბრიტანეთის კოლონია


ჩრდილოეთ კაროლინაში. მოგვიანებით, 1828 წელს, ოქროს საბადოებს ჯორჯიის შტატშიც მიაკვლიეს. შემდგომ კი თავისი ელდორადო ჩრდილოეთ ამერიკასაც გამოუჩნდა. ლათინური ამერიკის მითური ქვეყნისგან განსხვავებით, ახალი ელდორადო სავსებით რეალური და ხელმისაწვდომი გახდა. მას კონკრეტული გეოგრაფიული საზღვრებიც ჰქონდა, იქაური ოქროს ძიებას კი — დასაწყისიც და დასასრულიც.

1849 წელს ამერიკელებმა ოქრო კალიფორნიაში აღმოაჩინეს. ამით აშშ-ის ისტორიაში ოქროს ციებ-ცხელების ცნობილი ეპოქა დაიწყო. სახერხი ქარხნის მუშა ჯეიმს მარშალი 1848 წლის 24 იანვარს, ორშაბათს დილით, მდინარე ამერიკან-რივერის მარცხენა შენაკადის


ნაპირას გაემართა, წყლის წისქვილისთვის მის მიერ გაყვანილი არხის შესამოწმებლად. მარშალმა წინა ღამით არხის რაბი ღია დატოვა, რათა მდინარის წყალს თავისუფლად ევლო. 24-ში, დილით მარშალის ყურადღება მიიპყრო მზის სხივების ანარეკლმა არხის ფსკერზე დაღეჭილ ქვიშაში, საიდანაც მან მარცვლისოდენა ლითონის ბურთულა ამოიღო. მარშალი უმაღლვე მიხვდა, რომ ხელისგულზე ოქრო უბრწყინავდა. ეჭვის გასაფანტავად იქვე, მრეცხავ ქალთან მივიდა. სარეცხი ხსნარით გაწმინდეს ბურთულა და... მოგვიანებით ოქროს ეს ნამცეცი 5 დოლარად შეფასდა. აღმოჩენის შესახებ მარშალმა ჯონ სატერს უამბო, გერმანული წარმომავლობის ემიგრანტს, ადგილობრივი სახერხი ქარხნის მფლობელს, რომელიც საკრამენტოს მიდამოებში 100 აკრ მიწას ფლობდა. სატერი სასოფლო-სამეურნეო იმპერიის შექმნას აპირებდა, მარშალის აღმოჩენამ კი ძირეულად შეცვალა არა მარტო სატერის გეგმები, არამედ მთლიანად კალიფორნიისა და აშშ-ის ისტორია.

კომერციული მოსაზრებებით, ახალი ამბის დამალვა გადაწყდა. სატერის სახერხი ქარხანა ინდიელთა ტერიტორიაზე მდებარეობდა და გრძელვადიანი საიჯარო გადასახადიც ბოლომდე არ იყო გადახდილი. ინფორმაციამ მარშალის აღმოჩენის შესახებ მაინც გაჟონა და რამდენიმე ხანში სან-ფრანცისკოს ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა ცნობები კალიფორნიაში აღმოჩენილი ოქროს შესახებ. ეს გახდა კონტინენტის ისტორიაში მანამდე არნახული ოქროს ციებ-ცხელების მოკრძალებული დასაწყისი. თავდაპირველად ოქროს საძიებლად რეგიონში ჩამოსვლა დაიწყო მეზობელ რაიონებში მცხოვრებმა მეშახტეებმა. ციებ-ცხელება ჯერაც ძალას იკრუფდა, როცა სამქარმეო ალღოს მქონე ვაჭარმა სემიუელ ბრენანმა გადაწყვიტა, ამ ამბიდან ფინანსური მოგება ენახა. მან მცირეოდენი ოქროს ქვიშა შეაგროვა და სან-ფრანცისკოში ჩავიდა. იგი ქუჩებში დაატარებდა ამ მიწიდან მობრჭყვიალე ქვიშას და ხმამაღლა თვითონვე უწევდა რეკლამას საკუთარ პროდუქციას: „ოქრო! ოქრო! ოქრო ამერიკან-რივერიდან!“


ეს სიტყვები ექოსავით გაისმა მთელ კალიფორნიაში. ამბავმა ჩააღწია კალიფორნიის იმდროინდელ დედაქალაქში, მონტერეოში. მალე ამ ისტორიულ სიტყვებს უკვე აშშ-ის აღმოსავლეთშიც გაიგონებდით. 1848 წლის 19 აგვის-



ჯეიმს მარშალი



ჯონ სატერი



სემიუელ ბრენანი





ჯონ სატერის კუთვნილი წისქვილი, სადაც 1848 წელს ჯეიმს მარშალმა პირველად იპოვა ოქრო



1849 წელს დაძრულთა ერთ-ერთი ჯგუფი

საკუთარ კარავთან მჯდომი მარტოხელა ოქროსმაძიებელი. „დღემ უშედეგოდ ჩაიარა“



ტოს კალიფორნიული ოქროს შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა გაზეთმა „ნიუ-იორკ ჰერალდმა“. თუმცა გადამწვევტი მნიშვნელობისა აღმოჩნდა აშშ-ის პრეზიდენტის, ჯეიმს პოლკის მიმართვა კონგრესისადმი 1849 წლის დეკემბერში. პრეზიდენტმა დაადასტურა ინფორმაცია ოქროს საბადოს შესახებ. კალიფორნიის ოქროს ციებ-ცხელება აშშ-ის საზღვრებს გასცდა და პრაქტიკულად მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. ეს ერთგვარი ეპიდემია გასაოცარი სისწრაფით ვრცელდებოდა. ციებ-ცხელების წინააღმდეგ იმუნიტეტი არავის აღმოაჩნდა. ფერმერებმა მიატოვეს საკუთარი ნაკვეთები, მოგჭრებმა მაღაზიები დაკეტეს, ჯარისკაცები კი სამხედრო ნაწილებს ტოვებდნენ... ყველა გზა კალიფორნიისკენ მიდიოდა.

ამერიკელი მამაკაცები და თქვენ წარმოიდგინეთ ქალებიც კი მასობრივად ტოვებდნენ ქალაქებს და კალიფორნიისკენ მიემშურებოდნენ. 1849 წელს კალიფორნიისკენ 80 ათასი ემიგრანტი გაემართა. მათ 49-იანელები უწოდეს.

მთელი XIX საუკუნის განმავლობაში აშშ-ის აღმოსავლეთში მცხოვრები ამერიკელებისთვის შორეული და ხელუხლებელი დასავლეთი მიუწვდომელი და იღუმალებით მოცული იყო. ამერიკელი მწერლები პოეტურობითა და რომანტიზმით აღწერდნენ შორეული დასავლეთის სიმდიდრეებსა და იქ მიმავლთა ცხოვრებას. კალიფორნიაში ოქროს აღმოჩენამ დასავლეთისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაამძაფრა. ათასობით ადამიანმა გადაკვეთა მდინარე მისისიპი და უკიდევანო დასავლეთისკენ აიღო გეზი. ამერიკელებმა გზა გაიკვლიეს უსიერ ტყეებსა და ხელუხლებელი ბუნების მასივებში.

კალიფორნიაში ოქროს ციებ-ცხელების დაწყებასთან ერთად, აშშ-ის დასავლეთისკენ მრავალი ახალმოსახლე დაიძრა. მაშინდელი პატარა ქალაქი სან-ფრანცისკო უეცრად დაიცალა, რადგან ხალხი ამერიკან-რივერისკენ გაიხიზნა. ოქროს საბადოების აღმოსაჩენად ქალაქი დატოვეს პრაქტიკულად ყველა პროფესიის წარმომადგენლებმა. მაგალითისთვის, ახალდაარსებული ჟურნალები „სტარი“ და „კალიფორნია“ დაიხურა იმის გამო, რომ მთელი რედაქცია ამერიკან-რივერის საბადოებისკენ გაემგზავრა. ხშირი იყო სან-ფრანცისკოში მდგარი გემებიდან მეზღვაურთა და თვით კაპიტანთა დეზერტირობა ოქროს საძიებლად. საკუთრივ ამერიკელი ახალმოსახლეების გარ-

და, კალიფორნიაში ჩამოდიოდნენ ემიგრანტები მექსიკიდან, პერუდან, ჩილედან, ჩინეთიდან, ავსტრალიიდან, ევროპის ქვეყნებიდან.

აშშ-ის აღმოსავლეთში მრავალ ადამიანს სურდა კალიფორნიაში ჩასვლა, მაგრამ მათ უკიდურესად რთული მარშრუტი ელოდათ, გადასაკვეთი იყო აშშ-ის ძიული დასავლეთი. იმ დროისთვის ეს ძალიან სარისკო წამოწყება გახლდათ. სახმელეთო გზა იმდენად აშიინებდა ამერიკელებს, რომ თავდაპირველად კალიფორნიისკენ შემოვლითი გზებით მიემართებოდნენ. პირველი მარშრუტი ითვალისწინებდა სამხრეთი ამერიკის შემოვლას საზღვაო გზით, ხოლო მეორე კომბინირებული იყო: კარიბის ზღვის გავლით პანამისკენ, იქ ხმელეთის ვიწრო ზოლის გადაკვეთა და წყნარი ოკეანის გავლით — კალიფორნიისკენ. ოღონდ პირდაპირი სახმელეთო გზისთვის თავი აერიდებნათ, ოქროსმადიებელთა ძირითადი ნაკადები თავდაპირველად სწორედ შემოვლითი გზებით მიეშურებოდა. თუმცა დიდი ზიფათის მიუხედავად, ამერიკელთა ნაწილი მაინც ბედავდა და პირდაპირ, ხმელეთით მიემართებოდა. ეს გზა დასავლეთის დიდ დაბლობებს მიუყვებოდა, მარშრუტის ბოლო მონაკვეთი კი როკის პირქუშ მთიანეთს (კლდოვან მთებს) კვეთდა. ამერიკელები ოჯახებთან ერთად, ბარგით დატვირთული გადახურული ოთხთვალეებით მგზავრობდნენ. გზის გავლას ახალმოსახლეები დაახლოებით ნახევარწელიწადს ანდომებდნენ. დაუსრულებელი უკაცრიელი ტერიტორიების, თეთრკანიანი ყაჩაღებისა თუ ინდიელთა თავდასხმების საშიშროების გამო ამერიკელები ჯგუფებად იკვრებოდნენ. ზოგჯერ ახალმოსახლეთა ოთხთვალეების კოლონები თითქმის 5-კილომეტრიან ზოლზე იყო გამწყკრივებული.


მაღლე ოქროს ახალი საბადოები აღმოაჩინეს მდინარე ამერიკან-რივერისა და მდინარე საკრამენტოს რაიონებში, რამაც კიდევ უფრო მეტი ადამიანი მიიზიდა. ჯონ სატერის სახერხი ქარხნის სიახლოვეს მადნის მოპოვებელთა პირველი დასახლება გაჩნდა. ტერიტორიის ახალი დედაქალაქის მშენებლობაც სწორედ ამ დროს გადაწყდა. ასე ჩაყარა საფუძველი საკრამენტოს, რომელიც ციებ-ციხელეების ეპიცენტრთან მდებარეობდა.

ხალხის მოზღვავებასთან ერთად კალიფორნიის სწრაფი განაშენიანება დაიწყო. ემიგრანტები ქაოსურად, არაორგანიზებულად

ჩადიოდნენ საოცნებო მხარეში და ასევე მოუწესრიგებლად იწყებდნენ ოქროს ძიებას. მეტი მობილობისთვის ოქროსმადიებლები კარვებში ცხოვრობდნენ, ზოგს კი ამის საშუალებაც არ ჰქონდა. თუმცა აშკარა გახდა, რომ მხოლოდ ერთუხიანშხე დაფუძნებული ოქროს ძიება ძნელი იყო. ადამიანებს ელემენტარული საცხოვრებელი და ჰიგიენური პირობები, ტანსაცმელი, საკვები ესაჭიროებოდა. ოქროსმადიებელთა „კარვის ქალაქებთან“ სავაჭრო პუნქტები გაჩნდა, მოგვიანებით კი ზოგიერთი „კარვის ქალაქიც“ ფუნდამენტურ და მუდმივ დასახლებად გადაიქცა.

პირველი არაამერიკელი ემიგრანტები ჩრდილოეთ მექსიკიდან იყვნენ, მათ მოყვნენ ოქროსმადიებლები პერუსა და ჩილედან, 1850 წლისთვის კი ავსტრალიიდან და ჩინეთიდანაც დაიწყეს ჩასვლა. ამერიკელ ოქროსმადიებლებს არ მოსწონდათ ემიგრანტთა მოზღვაება. მიიჩნევდნენ, რომ კალიფორნიული ოქროს მოპოვების უფლება მხოლოდ აშშ-ის მოქალაქეებს

#### ოქროსმადიებლები







კალიფორნიისკენ... ამერიკელ ემიგრანტთა კოლონა აშშ-ის დასავლეთის გადაკვეთისას

ჰქონდათ. ადგილობრივ ამერიკელთა ზეწოლით, კალიფორნიის ხელისუფლებამ 1850 წელს შემოიღო საგანგებო გადასახადი ემიგრანტებისთვის — თვეში \$20. მაშინ ეს დიდი თანხა იყო და ამ კანონმა ნაწილობრივ შეამცირა კიდევ არა-ამერიკელთა ჩასვლა. 1850 წლის დასასრულს, ოფიციალური მონაცემებით, კალიფორნიაში ოქროს 57 ათასი კაცი ეძებდა.

1852 წლიდან სიტუაცია ცოტათი შეიცვალა. ოქროს პრიმიტიული ზერხებით მოპოვება შემცირდა, იკლო მდინარის ჩამოტანილმა მადანმა. ამან ოქროსმაძიებელთა შორის მწვავე კონკურენცია და დაპირისპირება გამოიწვია. თუკი 1849-1851 წლებში ოქრო „მდინარესავით მოედინებოდა“ და მას მარტივი ხელსაწყოებით ინდიელებიც კი მოიპოვებდნენ, ახლა საოცნებო მადნის მოძიება სულ უფრო ძნელდებოდა. ოქროსმაძიებელთა დიდი ნაწილი ნაპოვნი ოქროთი ძლივს ფარავდა ტანსაცმლის, საკვებისა თუ ხელსაწყოების ხარჯებს. ამიტომაც 1853 წლიდან კალიფორნიიდან ოქროსმაძიებელთა გადინება დაიწყო. ციებ-ცხელება დასასრულისკენ წავიდა და არც კალიფორნია ქცეულა ყველასთვის სამოთხედ.

კალიფორნიაში ჩასულთა მხოლოდ მცირე ნაწილი გამდიდრდა. ოქროს შედარებით ადვი-

ლად მოპოვება მხოლოდ საწყის ეტაპზე იყო შესაძლებელი და ეს ერთგვარი სატყუარა გამოდგა. თავდაპირველად ოქრო მართლაც „მოედინებოდა“ და ვისაც არ დაეზარებოდა, თუნდაც ტაფებით ან კალათებით შეედლო მდინარის ქვიშის გაცრით სასურველი მადნის პოვნა. ამ პერიოდში მაძიებელთა მოპოვებული ოქროს ღირებულება 10-15-ჯერ აღემატებოდა აშშ-ის აღმოსავლეთში დასაქმებულთა საშუალო შემოსავალს. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ეს ვითარება დიდხანს არ გაგრძელდებულა. ოქროს მოძიება თანდათან გართულდა, ტაფები და კალათები აღარ გამოდგებოდა, საჭირო იყო სპეციალური მექანიზმები და ტექნოლოგიები. შედეგად, რამდენიმე წელიწადში პრაქტიკულად ვეღარ შეზვდებოდათ მარტოხელა ოქროსმაძიებელს. ინერგებოდა მადნის მოპოვების ახალი, სამრეწველო მეთოდები. საქმეში გეოლოგებიც ჩაერთნენ.

ოქროს ახალი დიდი საბადოები აღმოჩნდა აღმოსავლეთ კალიფორნიაში, სიერა-ნევადის მთიანეთში. ოქროს ძიება სამთავრობო კონტროლსა და ორგანიზაციას დაექვემდებარა, მასში სამთამადნო კომპანიები მონაწილეობდნენ. მოპოვება მთლიანად მექანიზებული გახდა, გაიზარდა მადნის მოძიების პროდუქტიულობა და


ქვეყანამ შთამბეჭდავი შემოსავალი მიიღო. 1851-1855 წლებში შტატებში ყოველწლიურად დაახლოებით 80 ტონა ოქროს მოიპოვებდნენ. 1859 წლისთვის კი კალიფორნიაში ყოველწლიურად \$65 მილიონის ოქროს იღებდნენ. სულ კალიფორნიაში 97 საბადო აღმოაჩინეს. დაახლოებით საუკუნის განმავლობაში მთავრობამ აქ 3,5 ათას ტონაზე მეტი ოქრო მოიპოვა (აშშ-ში მოპოვებული ოქროს მესამედი).

1821 წლამდე კალიფორნია ესპანეთის სამეფოს კოლონიას წარმოადგენდა. ერთ-ერთმა ისტორიკოსმა შეკითხვა დასვა: ნუთუ ესპანელებმა არ იცოდნენ, რომ მათ ფერხითი ოქრო მიედინებოდა? მკვლევარი მიიჩნევდა, რომ გაცილებით ადრე ესპანელებმაც იცოდნენ კალიფორნიული ოქროს შესახებ და რამდენიმე არგუმენტიც მოჰყავდა. იხსენებდა კათოლიკური მისიონერული ეკლესიების ოქროთი მორთულობას, რაც ზოგადად იმ დროის გაჭირვებული კალიფორნიის ფონზე მართლაც უჩვეულოდ ჩანდა. მეცნიერის ვარაუდით, ესპანელებმა იმიტომ არ დაიწყეს კალიფორნიაში ოქროს მასობრივი მოპოვება, რომ ეს რეგიონისადმი ინგლისელთა და ამერიკელთა ყურადღების მიაპყრობდა...

საინტერესო ფაქტი: მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ციებ-ცხელების დროს თუკი ვინმე რეალურად გამდიდრდა, ესენი იყვნენ არა ოქროს-

მადიებლები, არამედ სხვადასხვა საქონლით მოვაჭრენი. კომერციული ალღოს მქონე ემიგრანტებმა თუ ადგილობრივებმა ოქროს ძიების ეპიცენტრებში საყოფაცხოვრებო საქონლის მაღაზიები გახსნეს და საკმაოდ ძვირადაც ჰყიდდნენ. დიდი იყო მოთხოვნა სამრეცხაოებსა და სამკერვალოებსზე. იხსენებოდა ბარები და საროსკიპოებიც, რამდენადაც მოულოდნელი უნდა იყოს, სხვადასხვა ბიზნესით ნაშოვნი თანხები ხშირად აღემატებოდა ოქროსმადიებელთა შემოსავალს. კალიფორნიაში მასობრივად გამდიდრდნენ მაღაზიების, სამრეცხაოების, ბარებისა და საროსკიპოების მეპატრონეები, რომელთაც წლების განმავლობაში ოქროსმადიებელთა სახით მუდმივი და მზარდი კლიენტურა ჰყავდათ. მაგალითისთვის შეგვიძლია გავიხსენოთ იეფუ სემიუელ ბრენანი, რომელმაც პირველმა გახსნა მაღაზიები ოქროსმადიებელთათვის და სულ მალე გახდა მილიონერი, მსხვილი მიწათმფლობელი და კალიფორნიის შტატის სენატორი. განსაკუთრებით ძვირად სასურსათო პროდუქტები ფასობდა. ფქვილი 12-ჯერ უფრო ძვირი იყო კალიფორნიაში, ვიდრე ნიუ-იორკში. ერთი ფრანგი გემის კაპიტანი იხსენებდა, რომ სან-ფრანცისკოში ძველი და თითქმის დამტვრეული ნიჩაბი 60 ფრანკად გაყიდა, ხოლო გაცვეთილ შარავალში 95 ფრანკს სთავაზობდნენ. სიძვირე ყველგან შეიმჩნეოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ მიწის შე-

*ოქროს მოპოვება თანდათან ძნელდებოდა და ახალ მექანიზმებსა და ტექნოლოგიებს მოითხოვდა*







სან-ფრანცისკო 1851 წელს

ძენასა თუ ოთახის დაქირაუებაზე. სან-ფრანცისკოში პატარა სახლის ქირაობისთვის თვეში 500 დოლარი იყო გადასახდელი, რაც მაშინ ძალიან დიდი თანხას წარმოადგენდა. მით უფრო, კალიფორნიისკენ მომავალი ემიგრანტების უსახსრობას თუ გავიხსენებთ ყველანი ხომ თავის მხრივ სიდუხჭირეს გამოექცნენ თავთავიანთი ქვეყნებიდან. მიწის ნაკვეთები, რომლებიც მანამდე 500 ფრანკი ღირდა, უკვე 50 ათას ფრანკად ფასობდა.

სიძვირე და პროდუქციის დეფიციტი სირთულეების მხოლოდ ერთი ნაწილი იყო. დიდ პრობლემად იქცა სისხლიანი გარჩევები, მკვლევობები, ყაჩაღობა. ხელისუფლების სუსტი კონტროლის გამო, ძალადობისა და კრიმინალის პროცენტი მაღალი იყო. ოქროსმადიებლები იძულებული იყვნენ, თავად დაეცვათ თავი კრიმინალებისგან. მთავრობა ვერ უზრუნველყოფდა ელემენტარული წესრიგის დაცვასა და კანონმორჩილებას კალიფორნიის მოსახლეებში. ხალხი ერთმანეთისადმი ცინიკური და გულგრილი იყო, ოქროსმადიებლებს განსაკუთრებით ახასიათებდათ ეგოიზმი და უნდობლობა თუნდაც უახლოესი მეგობრისადმი. ეპოქის დასახასიათებლად შეიძლება ერთი პატარა ამბის გახსენება: გარდაცვალა ოქროსმადიებელი, რომელიც ყველას უყვარდა. განსვენებულისთვის საფლავი ბანაკიდან რამდენიმე ასეულ მეტრში გათხარეს. და-

საფლავებისას პასტორმა ბიბლიიდან საკმაოდ გრძელი თავი წაიკითხა და დამსწრეთა თვალში, სიტყვა გაუგრძელდა. ამასობაში იქ მყოფებმა შენიშნეს, რომ საფლავიდან ამოდებულ მიწაში რაღაც ბზინავდა. პასტორმა კითხვა შეწყვიტა, რომ გაერკვია, რამ აადლევა ასე „მსმენელები“. „ოქრო? ღმერთო, ეს ის მიწაა, რომელსაც ჩვენ ვეძებდით“, – წყნარი ხმით წარმოთქვა პასტორმა. სასახლე საფლავიდან სასწრაფოდ ამოასვენეს და მოშორებით, დამრეც ფერდობზე დაასაფლავეს.

ციებ-ცხელების პერიოდში ხშირი იყო ემიგრანტებისა და ადგილობრივ ინდიელთა შეტაკებებიც. ემიგრანტთა მოზღვაგებამ და დაავადებათა მომრავლებამ ინდიელთა რიცხვონობაც კატასტროფულად შეამცირა. 1845-1870 წლებში ინდიელთა რაოდენობა კალიფორნიაში დაახლოებით 150 ათასიდან 30 ათასამდე შემცირდა.

აუტანელ სამუშაო პირობებს ყველა ვერ უძლებდა: გამოთნიდან დაღამებამდე უქულოდ, მცხუნვარე მზის სხივების ქვეშ, გაყინულ წყალში წელამდე დგომას, ზურგისა და ხერხემლის გამუდმებულ ტკივილს ნიჩბისა და წერაქვის ხმარების გამო. ხშირად მთელი დღის დამქანცველი შრომის შემდეგ არავითარი პირობები არ იყო ელემენტარული ჰიგიენური ნორმების დასაცავად, რომ აღარაფერი ვთქვათ ტანსაცმლის გამოცვლაზე. ყოველფე ამას საკ-

ვებისა და წამლების უკმარისობაც ემატებოდა. სურავანდმა, დიზენტერიამ, ციებამ, მემთვრალეობამ, ტყვიების, დანებისა თუ ისრებისგან მიღებულმა ჭრილობებმა მრავალი ოქროსმადიებლის სიცოცხლე იმსხვერპლა.

თანამედროვე ამერიკის ერთ-ერთმა კანონიკურმა იმიჯმა — ჯინსმა სწორედ იმდროინდელ კალიფორნიაში მოიპოვა პოპულარობა. 1853 წელს სან-ფრანცისკოში გერმანელი ლივია სტროსი ჩავიდა. მისი ძმები ამ პერიოდისთვის უკვე წარმატებით ამუშავებდნენ გალანტერიის მაღაზიას ნიუ-იორკში. ოჯახმა გადაწყვიტა ბიზნესი გაეფართოებინა და საამისო ადგილად ოქროს ციებ-ცხელებამი მყოფი კალიფორნია შეარჩიეს. ლივია სტროსის შეკერილი უხეში და ძალიან გამძლე შარვალი — ჯინსი უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ოქროსმადიებელთა შორის. ამერიკული ჯინსის ეპოქას სწორედ აქედან დაედო სათავე. შარვალმა მომავალში მთელი რიგი ცვლილებები განიცადა, ხოლო XX საუკუნეში ჯინსი უკვე ამერიკელთა ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილად იქცა და „სამუშაო შარვლის“ სტატუსი დაკარგა.

ოქროს ციებ-ცხელებამ დიდი ზეგავლენა მოახდინა როგორც კალიფორნიაზე, ისე მთელ აშშ-ზე. ერთ დროს უკაცრიელ ადგილებში ახალ დასახლებებს ჩაეყარა საფუძველი, ხოლო უკვე არსებული პატარა დაბები ერთ დამეში, ფაქტობრივად, დიდ ქალაქებად იქცნენ. მაგალითად, 1848 წელს ჯონ სატერის შვილმა ჯონ სატერ-უმცროსმა ქალაქი საკრამენტო დააარსა. სულ რამდენიმე წელიწადში ეს ქალაქი კალიფორნიის ეკონომიკურ და სატრანსპორტო ცენტრად იქცა, 1854 წლიდან კი — შტატის დედაქალაქად. ცვლილებები შეეხო სან-ფრანცისკოსაც. უეცრად დაცლილი ქალაქი არნახული ტემპებით გაიზარდა. აქ უამრავი ემიგრანტი ჩამოდიოდა, შენდებოდა ახალი სახლები, უბნები, ეკლესიები, სასტუმროები, მაღაზიები, სკოლები. გაიზარდა პორტიც. სან-ფრანცისკოში შედიოდა მრავალი სატვირთო და ემიგრანტთა გემი. ამ ქალაქში 1849 წელს 812 მოსახლე ცხოვრობდა, მოგვიანებით კი ეს რიცხვი 34-ჯერ გაიზარდა.


კალიფორნიის უეცარმა განვითარებამ საკანონმდებლო კრების მოწვევა განაპირობა, რომელზეც შტატის კონსტიტუცია მიიღეს, ხოლო 1850 წლის 9 სექტემბერს კალიფორ-

ნია აშშ-ის რიგით 31-ე შტატად გამოცხადდა. ოთხ წელიწადში მისი მოსახლეობა 14 ათასიდან 200 ათასამდე გაიზარდა. მაშინ ჩაეყარა საფუძველი კალიფორნიის მომავალ ზღაპრულ განვითარებას. 1848 წლის მოვლენებისა და ასევე მზიანი კლიმატის გამო დღესაც, კალიფორნიის მეტსახელი „ოქროს შტატია“.

1848 წლისთვის კალიფორნიაში შერიფის არჩევაც კი ვერ ხერხდებოდა ელემენტარული კანონიერების დასამყარებლად, ახლა კი შტატი ვაშინგტონში 50-ზე მეტ კონგრესმენს აგზავნიდა. იმავე წლისთვის თუ აშშ-ის ნებისმიერი პრეზიდენტი კალიფორნიიდან, სულ ცოტა, 3000 კილომეტრით იყო დაშორებული, დღეს „ოქროს შტატში“ ყველაზე მეტი ექს-პრეზიდენტი ცხოვრობს. ოქროს ციებ-ცხელებამ კალიფორნია სამუდამოდ გარდაქმნა. შორეული დასავლეთის უკაცრიელი ტერიტორია მეცნიერების, ინდუსტრიისა და კულტურის განვითარების ავანგარდში მოექცა. ლითონისადმი სიყვარული ისტორიულად ისე დასჩემდა ამ შტატს, რომ ვის თუ არა კალიფორნიას შეიძლება ჰყოლოდა ქვეყანაში ერთადერთი „რეკინის გუბერნატორი“ — არნოლდ შვარცნგერი... დღეს კალიფორნიაში აშშ-ის მოსახლეობის 12% ცხოვრობს, ხოლო ქვეყნის ეკონომიკაში მისი წილი 13%-ია.

**მიხეილ ბარნოვი**

**თუ-ს ისტორიის დოქტორანტი**



მონუცი ოქროსმადიებელი



# მეფე-გედის ქვის სიფონია

ლუდვიგ II  
ბავარიელი:  
„თუ არ ვაშენა,  
მოკვდები...“

ნოიშვანშტაინი ერთ-ერთი ყველაზე დიდებული და დახვეწილი ნაგებობაა მსოფლიოში

*მეფე-გედი, შეშლილი მონარქი, ზღაპრული მეფე, გულთამპყრობელი ლუდვიგი, მეოცნებე მეფე ბავარიისა... — ეს არასრული ჩამონათვალაა იმ მართლაც პარადოქსული მეტსახელებისა, რომელიც ბავარიის მოსახლეობამ სიყვარულით, ხოლო პოლიტიკურმა ოპონენტებმა ირონიით შეარქვეს. ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაში ლუდვიგი ბავარიელთა პატრიუსციმითა და ნდობით სარგებლობდა, ხალხი მზად იყო მხარში დასდგომოდა მონარქს, რაც კიდევ უფრო ცხადად გამოიკვეთა საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს, რომელში ბავარიის ჩაბმაც მეფისადმი უზომო მხარდაჭერის აშკარა მანიფესტი გახდა... ქრონოლოგიურად მივყვეთ მისი ზეობის ამსახველ მოვლენებს.*

ბავარიის ისტორიოგრაფიაში დღემდე დაუზუსტებელი რჩება ლუდვიგის დაბადების თარიღი. არსებული ცნობების საფუძველზე, ოფიციალურ თარიღად 1845 წლის 25 აგვისტოს, 12:28 საათს მიიჩნევენ. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, მომავალი გვირგვინოსნის ბაბუამ, ლუდვიგ I-მა, რომელიც მშობიარობას ესწრებოდა, შეგნებულად შეაცვლევინა ჩვილის დაბადების საათი, რათა თავის დაბადების დღისთვის, 25 აგვისტოსთვის დაემთხ-

ვია. სინამდვილეში კი მომავალი მეფე 24 აგვისტოს 23:28-ზე მოველინა ქვეყნიერებას.

ლუდვიგის მშობლები იყვნენ ბავარიის კონსტიტუციური მონარქი — 36 წლის მაქსიმილიან II ვიტელსბახი და პრუსიის პრინცესა — 19 წლის მარია ჰოჰენცოლერნი. სამწუხაროდ, მშობლების გულგრილმა დამოკიდებულებამ ერთმანეთისა და შვილისადმი მასზე დიდი გავლენა იქონია. როგორც სამეფო კარის მაშინდელი მემატეიანები აღნიშ-

ნავდნენ, ლუდვიგს ადრეული ასაკიდანვე ჩაკეტილი და რთული ხასიათი დასჩემდა, თუმცა იმავდროულად კეთილშობილ და ნატიფი ბუნების ადამიანად ყალიბდებოდა. მისი ინტერესი ხელოვნების, განსაკუთრებით კი მუსიკისა და არქიტექტურისადმი დღითი დღე იზრდებოდა და ამასთან, სულ უფრო და უფრო შორდებოდა რეალურ ყოფას, საკუთარ სამყაროში იძირებოდა.

მაქსიმილიან II მკაცრი და დისციპლინირებული ადამიანი გახლდათ. ვაჟიშვილის აღზრდაზე მკაცრად ზრუნავდა, მით უფრო, როცა ხედავდა მის მისწრაფებას არა პოლიტიკური საქმიანობისკენ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნებისკენ. 1854 წლის მაისში ბავარიაში ახალი აღმზრდელი ჩავიდა, რომელიც მეფემ ხასიათის გამო შეარჩია. მილიტარისტი გუკერნანტის საზოგადოებამ, რომელმაც ლუდვიგის სპარტანული წესით აღზრდა განიზრახა, გვირგვინოსანს მცირე ხანში შიში აღუძრა. 1857 წელს პრინცი უმცროს ძმას, ოტოს დაამორეს და ამ დროიდან ისინი ცალ-ცალკე იზრდებოდნენ.

ბავარიის სამეფო კარის გავლენით, უფლისწულმა საეკლესიო რვაწლელი ხუთ წელიწადში დაასრულა. ცხადია, ამას დიდი ძალისხმევა დასჭირდა. მას უწევდა დილით 05:30 საათზე ადგომა და საღამოს 8:00 საათამდე თავდაუზოგავად მეცადინეობდა. როგორც ბავარიელი ისტორიკოსები ამბობენ, ტახტის მომავალი მემკვიდრის სწავლა-განათლება ითავეს მისთვის სრულიად შეუსაბამო პედაგოგებმა, რომლებიც სათანადოდ ვერ აფასებდნენ ყმაწვილის უნარსა და შესაძლებლობებს. ისინი მუდმივად მხოლოდ სამეფო მოვალეობას ახსენებდნენ. ნიჭი და ინტელექტი, რომელიც ბუნებამ უხვად უბოძა უფლისწულს, ასე ვთქვათ, დააკონსერვეს, არ (თუ ვერ) მისცეს უფლება ლუდვიგს ისე განვითარებულიყო, როგორც მისი პიროვნება მოითხოვდა. ალბათ ესეც იქცა რეალობიდან გაქცევის მრავალჯერადი მცდელობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად.

გამზრდელს სურდა, პრინცს მტკიცე ნებისყოფა ჰქონოდა, ამიტომ მისგან მაქსიმალურ მორჩილებას მოითხოვდა. აღზრდის მეთოდის, იზოლირებული გარემოსა და ბევრი სხვა ფაქტორის გავლენით, ლუდვიგი საკმაოდ გულჩათხრობილ პიროვნებად იქცა, რომელსაც სა-



ბავარიის მეფე ლუდვიგ II

კრონპრინცი ლუდვიგი (მარცხნივ), მისი მშობლები და უმრწემესი ძმა, პრინცი ოტო. 1860 წ.







სამეფო ოჯახი პიენიკზე. პრინცი ლუდვიგი 12 წლისა (1857 წ.). უკანა პლანზე — ჰოპენშვენგაუს სასახლე

ზოგადობასთან, განსაკუთრებით კი საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობა მთელი ცხოვრება უჭირდა.

არდადეგების დროს პრინცი ხშირად სტუმრობდა სასახლეებს — ჰოპენშვენგაუს, ფიურსტენრიდს, ბერესა და ბერხტესგადენს. როგორც თავის ჩანაწერებში აღნიშნავს, მისთვის

ყველაზე ბედნიერი დრო ჰოპენშვენგაუს სასახლეში გატარებული წლები იყო. ეს სასახლე, ქალაქ ფიუსენის მახლობლად მაქსიმილიან II-მ ააგო მომაჯადოებელ და ზღაპრულ გარემოში, სამხრეთ ბავარიაში.

1864 წლის 9 მარტს მეფე მაქსიმილიან II შეუძლოდ გახდა, მომდევნო დღეს კი გარდა-



ჰოპენშვენგაუს სასახლე სამხრეთ ბავარიაში — ვიტელსბახების სამეფო დინასტიის მთავარი რეზიდენცია. მოგვიანებით მისგან რამდენიმე კილომეტრში ნოიშვანშტაინის სასახლე აიგო

იცვალა. იმ დღესვე დაიგეგმა ახალგაზრდა პრინცის ტახტზე ასვლის ცერემონია. დაკრძალვაზე, მიუნხენში ურიცხვ მოსახლეობას მოეყარა თავი მეფისთვის სათანადო პატივის მისაგებად. ყოველი მათგანი აღფრთოვანებაში მოიყვანა ახალგაზრდა უფლისწულის გამორჩენამ, რომელიც თითქმის არავის ენახა. პოლკის ქვეითი ჯარისკაცის ფორმაში გამოსწობილი 18 წლის მაღალი, სასიამოვნო გარეგნობის ყმაწვილი, რომელშიც სამეფო დიდებულება და თავმდაბლობა ოსტატურად იყო შეზავებული, მაშინვე ყურადღების ცენტრში მოექცა. იგი მთელი არსებით შეიყვარა ბავარიელმა ხალხმა.

სამეფო დიდებულები და თანამდებობის პირებიც ვერ მალავდნენ აღტაცებას, ყველას უზიარებდნენ, რამდენად კეთილშობილურ და მეგობრულ შთაბეჭდილებას ტოვებდა იგი მნახველზე, განურჩევლად მათი სოციალური სტატუსისა.

გამეფებისთანავე ლუდვიგმა მარჯვედ და ოსტატურად მოჰკიდა ხელი სახელმწიფო მართვის საქმეს. წლების განმავლობაში მონარქი აქტიურად ცდილობდა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სამწუხაროდ, ეპოქამ მას თავისუფლად მართვის საშუალება არ მისცა. მიმდინარეობდა გამძვინვარებული დაპირისპირება პრუსიასა და საფრანგეთს შორის. გერმანულენოვანი ქვეყნები იძულებული იყვნენ, მეზობელ პრუსიას დახმარებოდნენ. ამ უკანასკნელის გამარჯვების შემთხვევაში კი ერთიანი სახელმწიფო, გერმანიის ფედერაცია იქმნებოდა. ამის ეშინოდა ყველაზე მეტად მეფეს, მის მთავარ საზრუნავს ავტონომიის შენარჩუნება წარმოადგენდა, რათა ბოლომდე განეხორცილებინა ხალხისთვის მიცემული დანაპირები... ლინდერჰოფის სასახლეში მყოფი მონარქი მდივანმა აიბულა, შექმნილი ვითარება გაეცნობიერებინა — ომი საფრანგეთსა და პრუსიას შორის გარდაუვალი იყო. მეფე მთელი ღამე გაუჩქრებლად დააბიჯებდა კაბინეტში, უკიდურესად ეწინააღმდეგებოდა ომში ჩაბმის იდეას, თუმცა საბოლოოდ ბისმარკის აქტიურობამ შედეგი გამოიღო და ბავარიამ სამხედრო მობილიზაცია გამოაცხადა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მოსახლეობა უნდობლად იყო განწყობილი პრუსიელებისადმი, მეფის გადაწყვეტილება მორჩილებით მიიღო და ნდობა კიდევ ერთხელ



ლუდვიგ II ბავარიელი და რიხარდ ვაგნერი

გამოუცხადა. ყურადსაღებია ისიც, რომ საჯარო გამოსვლებისას პრუსიის კანცლერმა, ოტო ფონ ბისმარკმა არაერთხელ გაუსვა ხაზი ბავარიის წამყვან პოზიციას საფრანგეთ-პრუსიის ომში. როგორც ის აცხადებდა, რომ არა ლუდვიგ II-ის თანხმობა, პრუსია ომიდან გამარჯვებული ვერ გამოვიდოდა...

1861 წლის მაისში ლუდვიგმა პირველად იხილა რიხარდ ვაგნერის ოპერა „ლოენგრინი“. ამ დღიდან მოყოლებული, ლოენგრინი, როგორც უბადლო რაინდი-გედი, ლუდვიგისთვის იქცა მის არსებაში მიმდინარე დაუსრულებელი ბრძოლების სიმბოლოდ. მეფეს მტკიცედ გადაეწყვიტა, ვაგნერი გვერდით ჰყოლოდა, მიუხედავად მისი რევოლუციური სულისკვეთებისა. მხოლოდ ამ მაესტროს შექმნილ ლუდვიგის ოცნებების ხორცშესხმა. მონარქი კომპოზიტორისთვის გულუხვი მფარველი აღმოჩნდა. იგი ისტუმრებდა ყველა მის ხარჯსა თუ ვალს, რამაც საკმაოდ გაათამამა ვაგნერი. ხალხის მოთხოვნით, რიხარდი მალე მიუხედიდან წავიდა. თუმცა მისი და მეფის ურთიერთობა კომპოზიტორის სიკვდილამდე გაგრძელდა, სწორედ მას უზიარებდა ბავარიის პირველი პირი თავის სამომავლო გეგმებს, პროექტებს. 1881 წლის იანვარში მათ იხილეს





ლუდვიგ II ვიტელსბახი და მისი საცოლე პრინცესა სოფი

ოპერა „ლოენგრინი“, შემდეგ ერთად ისაუბრეს და ეს მათი უკანასკნელი შეხვედრა აღმოჩნდა. ვაგნერის დაკრძალვიდან მომდევნო დღეს ლუდვიგი მის საფლავზე მივიდა და რამდენიმე საათის განმავლობაში განმარტოებით მდგარი ემშვიდობებოდა განუყრელ მეგობარს.

1867 წლის დადგომისას მთელი ბავარია აღტაცებული იყო ლუდვიგისა და პრინცესა სოფიას — ავსტრიის იმპერატორის დის ნიშნობით. როგორც დაიგეგმა, ქორწილი უნდა გამართულიყო მეფის 22 წლისთავზე, 25 აგვისტოს, თუმცა მოულოდნელად, ოფიციალური განცხადებით, ქორწილი 12 ოქტომბრამდე გადაიდო. ქორწილამდე ერთი კვირით ადრე ლუდვიგმა მომავალი კავშირი ჩაშალა. საკმაოდ ვრცელ წერილში, რომელიც პრინცესას გაუგზავნა, მან განაცხადა, რომ ეს ქორწილი, ისევე როგორც ნიშნობა, დაძალებული იყო. იგი იმედოვნებდა, რომ ისინი კარგ მეგობრებად დარჩებოდნენ, მეფე წერდა, რომ მხოლოდ სიყვარულით შექმნილი ოჯახის შექმნა, მას კი პრინცესა არ უყვარდა...


ქორწილის ჩაშლას რიხარდ ჰორნიგს, მეფის სამეფო კარის მეჯინიბეს, მასზე ხუთი წლით უფროს საყვარელს უკავშირებენ. ისინი ფარულად ხვდებოდნენ ერთმანეთს, რადგან ცხადია, ამ ურთიერთობისთვის ოფიცია-

ლური სახის მიღებას, მით უმეტეს, იმ ეპოქაში, ნამდვილად სავალალო შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

რიხარდი სასახლის კარზე დიდი პრივილეგიებით სარგებლობდა, მის ხელში მოექცა ბავარიის მთელი სატრანსპორტო სისტემა. მალე მან შუამავლობაც ითავა მეფესა და მთავრობის წევრებს შორის. რიხარდის დაქორწინების შემდეგ, რასაც დაერთო ვაგნერის გარდაცვალება და ერთადერთი ძმის, ოტოს ფსიქიკური აშლილობა, ლუდვიგმა მიატოვა ყოველგვარი პოლიტიკური საქმიანობა და სამშენებლო სამუშაოები წამოიწყო. ის საუკეთესო მშენებლებსა და ხუროთმოძღვრებს იწვევდა, რათა ბავშვობის ოცნებებისთვის შეესხა ფრთები, გაეცოცხლებინა ის სინამდვილე, რაც მხოლოდ მითებსა და ლეგენდებში არსებობდა. მეფემ ეს ნამდვილად მოახერხა. „თუ არ ვაშენე, მოკვდები...“ — წერდა იგი...

მთავრობამ მისი საქციელი უაზრო ახირებად მონათლა, მეფის უკიდურესმა გულჩათხრობილობამ და მარტოობის სურვილმა ეჭვი აღძრა, რომ მისი ფსიქიკური მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. ერთხელ, როცა შენება დაუშალეს, იგი კაბინეტის გადაწვით დაიშურა. ყურადღებაც არ მიაქციეს იმას, რომ მეფე სასახლეა მშენებლობას საკუთარი სახსრებიდან აფინანსებდა. იმის „შიშით“, რომ ვეროპის წამყვანი ქვეყნებიდან მალე კრედიტის აღებას დაიწყებდა და ეს ბავარიის რეპუტაციაზე უარყოფითად აისახებოდა, გამოაქვეყნეს პროკლამაცია, რომლის მიხედვით, ლუდვიგი სრულიად შეუსაბამო იყო სამეფო ხელისუფლებისთვის, ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებებს და იგი დღევანდელი ტერმინით, შიზოიდად გამოაცხადეს. 1886 წლის 10 ივნისს მას მონარქის უფლებამოსილება და რეგალიები ჩამოართვეს. ერთგულმა მსახურებმა მეფეს გაქცევა შესთავაზეს ავსტრიის საზღვრით, თუმცა მან კატეგორიული უარი განაცხადა. ახლა უკვე უსუფლებო მონარქი ნოიშვანშტაინიდან ბერგის სასახლეში გადაიყვანეს „სამკურნალოდ“.

1886 წლის 13 ივნისს თავის მკურნალ ექიმთან, პროფესორ იოჰან ფონ გუდენთან ერთად სასეირნოდ გასული მეფე, შტარნბერგერის ტბაში დამხრჩვავი აღმოაჩინეს. დღემდე ბურუსითაა მოცული მისი დაღუპვის ნამდვილი ამბავი. ოფიციალური ვერსიით, იგი ჯერ



ხარაჩოები ნოიშვანტაინის (გერმანულად — „ახალი გედის ქვა“) მშენებლობაზე, 1875 წ. მეფე ლუდვიგს მიანჩნდა, რომ ის ნამდვილი, ძველი გერმანული რაინდების შესაფერისი ციხესიმაგრე იყო

ექიმს გაუსწორდა, შემდეგ კი თავი დაიხრჩო. თუმცა, როგორც თანამედროვე მეცნიერები ამბობენ, მეფის ცხედრის აღმოჩენისას დახატულ პორტრეტში დაღუპულ მონარქს ტუჩის უბებთან სისხლი აცხია, რაც დაზრჩობის ვერსიას არ თანხვდება. როგორც ერთადერთი თვითმხილველი მეთევეზე იხსენებს, მეფეს ზურგში ორი ტყვია ესროლეს. მოკლეს ამ ფაქტის მომსწრე მისი მკურნალიც, თუმცა პოლიტიკურმა ოპონენტებმა ეს ამბავი მიჩქმალეს და მათი დაღუპვის ნამდვილი მიზეზი არ გააურცვლეს. თვითმკვლელობის ვერსიას მეცნიერებიც ეწინააღმდეგებიან. მათი აზრით, მეფე დაქირავებულმა მკვლელმა მოკლა. სამეფო ოჯახის მზარდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ბერლინელი ისტორიკოსი პეტრ გლავაცინი ცდილობს, გაარკვიოს ეს საიდუმლოება და ერთხელ და სამუდამოდ ფარდა ახალოს სინამდვილეს.

იყო თუ არა რეალურად მეფე შეშლილი? — ამ საკითხის გარშემო კამათი დღემდე არ წყდება, გადაჭრით მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება — იგი ნამდვილად იყო უცნაური, ექსცენტრიკული, განდევნილი, მარტოსულიც, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი სულიერად დაავადებული იყო. დიას, ის გახლდათ პო-



1865 წელს დაწერილი მეფის პორტრეტი





ლუდვიგმა ნოიშვანშტაინის აგების გეგმებზე რიხარდ ვაგნერს 1868 წელს მოუთხოო, პირველი ქვა 1869 წლის 5 სექტემბერს ჩაიდა, 1884 წელს კი მშენებლობა დასრულდა. სასახლეს ამშვენებს სცენები ოპერა „ლოენგრინიდან“, აგრეთვე ლოენგრინის — რაინდი-გედის სიმბოლო — ნამდვილი ზომის ბროლის გედი

მოსექსუალი, ეს მიუღებელი იყო ფართო მასისთვის, მით უმეტეს მეფისგან, რომელმაც ყოველთვის ღირსეული მაგალითი უნდა მისცეს ერს. ალბათ ესეც ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, რაც სპეციფიკურად აისახებოდა მის გონებრივ განვითარებაზე. დღესდღეობით ბავარია მდიდარი და მრავალმხრივ დაწინაურებული მხარეა, ურიცხვი ტურისტის მოზიდვაში კი დიდი როლი მიუძღვით სწორედ ლუდვიგის ნაგებობებს. XIX საუკუნის 60-იანი წლების ბავარიაში, ცხადია, არავის უფიქრია ამ გრანდიოზულ კულტურულ ძეგლთა სამომავლო დანიშნულებასა და მათ საყოველთაო კომერციულ სარგებლიანობაზე...

**წინა განივი**

ლუდვიგ II-ის ქანდაკება. აეროპორტის შენობა, მიუნხენი





# ახალი სისოსხა წარსული დიდების ტკაუმი

თიანის  
სიხსიბეხის  
სიყვანის  
ღებდა და  
სახსიხი ობეხი





მუზეუმის შესასვლელი

„ლიტვის ტურისტული მექა“, — ასე უწოდებენ ბალტიისპირელები თრაქაის, ტბიდან ამოზიდულ, წითელი აგურით ნაგებ შუა საუკუნეების ციხესიმაგრეს. ადგილობრივებმა ისიც გვითხრეს, ვილნიუსსა თუ კაუნასში ჯვარს ისე არ დაიწერენ, თრაქაიში რომ არ შეიარაღონ. გარდა ისტორიული მუზეუმისა, ციხესიმაგრეში გასართობიც ბევრია: ეზოში მშვილდოსნობის უნარის მოსინჯვა შეიძლება; ერთ დროს ტუსადებისთვის განკუთვნილ გალიაში ფოტოს გადაღება; ერთ-ერთ ოთახში დამონტაჟებული მოწყობილობით სულაც შუა საუკუნეების დროინდელი ლიტვური მონეტები იჭრება; ქვესკნელისკენ მიმავალი ბილიკი ჭასთან მიგიყვანთ, რომელიც წყლის ნაცვლად ხურდა ფულითაა სავსე — თუ მონეტის ჩაგდების წინ რამეს ჩაიფიქრებ, ჭის ფსკერში ჩაკიდებულ ჯამს უნდა მოარტყა, თორემ არ აგისრულდებაო...

თრაქაი ერთადერთი ციხესიმაგრეა აღმოსავლეთ ევროპაში, რომელიც კუნძულზეა აგებული. ის გოტიკური არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუში და ლიტველთა საამაყო ძეგლია, ყველაზე დიდი ციხესიმაგრე ქვეყანაში, რომლის ნაზვის გარეშე ლიტვიდან ტურისტს „არ უშვებენ“. თრაქაი წითელი აგურით არის ნაშენი, მაღბორკის მსგავსად და ეს სულაც არ არის შემთხვევითი (მაღბორკის შესახებ „ისტორიანი“ ივლისის ნომერში მოგიხსნობდათ).

...ვიწრო კიბით ჭიდან ციხესიმაგრის ბოლო სართულზე ავინაცვლოთ, ოთახში, სადაც საკუთარი ხელით მოჭრით მონეტას. გვერდით პატარა მონიტორი დგას. დამთვალიერებელს შეუძლია, მცირე ეკრანის დახმარებით საუკუნეების წიაღში იმოგზაუროს და სამ განზომილებაში ადვენოს თვალი ციხესიმაგრის აღზევება-დაცემას: XIV-XVII საუკუნეებში თრაქაი თავმომწონედ დგას პატარა კუნძულზე, შემდეგ კი ნანგრევებადაა ქცეული.



ციხესიმაგრე XX საუკუნეს განახევრებული კედლებით შეზდა, თუმცა ლიტველთა დიდი მონღოლებით, კომუნისტურ ეპოქაში პირვანდელი სახე დაუბრუნდა....

უამთააღმწერლები თრაქაის აღმოსავლეთ ევროპის აუღებელ სიმაგრეთა შორის ასახელებენ. ამას ისტორიაც ადასტურებს. 1377-დან 1655 წლამდე ის ერთხელაც არ დაცემულა. მაინც რა განაპირობებდა ასეთ სიმტკიცეს, მხოლოდ კედლების სიმაღლე და ადჭურვილობა? საქართველოში ციხესიმაგრე რაც უფრო მაღალ და ციცაბო კლდეზე აიგებოდა, მით უფრო რთული იყო მისი აღება. ლიტვაში ყველაზე მაღალი წერტილი, აუკშთოიასის გორა ზღვის დონიდან სულ რაღაც 293 მეტრზეა. ამიტომ იქ თავდაცვითი ნაგებობები ტბებზე შენდებოდა. თუ სხვაგან ციხე-კოშკებს ხელოვნურ მიწაყრილებს უკეთებდნენ, თრაქაის დასახლებაში საქმე ასარჩევად იყო — 200 ტბიდან ერთ-ერთში უნდა მოემებნათ მყარი კუნძული, რომელიც ციხის საძირკვლისთვის შესაფერისი იქნებოდა, არც მიწაყრილი დასჭირდებოდა, არც თხრილი და არც მის გასაყსებად მდინარის გადაკეტვა.

ვინ ჩაუყარა საფუძველი მშენებლობას?



ციხესიმაგრეში, დიდი ეზოს გარდა, პატარა შიდა სივრცე აქვს ზედა ციხესაც







ისტორიული მუზეუმის ექსპონატები



იან მატეიკო „გრიუნგალდის ბრძოლა“ (1878 წ). ვიტაუტას ხმალი აქვს აღმართულ, ოდნე მარცხნივ კი ტვეტონთა ორდენის მაგიტრი ულრიხ ვონ იუნინგენია, რომელიც ბრძოლაში დაეცა

პასუხისთვის ლეგენდებს უნდა მივუბნოთ. ერთი გადმოცემის მიხედვით, ლიტვის დიდმა მთავარმა გედიმინასმა ნადირობისას აღმოაჩინა კუნძული გალვეს ტბაზე, რომელიც იმდენად მოეწონა, რომ ციხესიმაგრის აგება და ვილნიუსიდან სამთავრო რეზიდენციის თრაქაიში გადატანა გადაწყვიტა. მაშინ ეს ტერიტორია მონადირეთა სამოთხე ყოფილა. XV საუკუნის ფრანგი მოგზაური ფილბერ დე ლანუა წერდა, — ქალაქ თროქის (თრაქაის ძველი სახელწოდება) გარშემო გარეულ ხარს (დომბას), ლოსს, ვირისყურა ცხენს, დათვსა და ირემს შეხვდებითო... ამიტომ, გასაკვირი სულაც არ არის, თრაქაის მუზეუმში მთელი განყოფილება ცხოველთა ფიტულებს რომ ეთმობა.

მეორე ლეგენდა უფრო რომანტიკულია: გედიმინასის ვაჟის, კესტუტისის ყურამდე მიღწია ამბავმა მშვენიერი ბირუტეს შესახებ, რომელიც ბალტიის ზღვის პირას პალანგასთან ცხოვრობდა. იგი წმინდა ცეცხლს იცავდა და აღთქმული ჰქონდა, რომ არასოდეს გათხოვდებოდა, მაგრამ კესტუტისმა იგი მოიტაცა და ძალით წაიყვანა ქალაქ თრაქაიში. ქალს მშობლიური ადგილები, ბალტიის ზღვა ენატრებოდა, ამიტომ ქმარმა შუა ტბაში ლამაზი ციხესიმაგრე აუგო. მალე ბირუტემ კესტუტისს ვაჟი აჩუქა, რომელსაც ვიტაუტასი დაარქვეს და სწორედ ის გახლავთ ყველაზე სა-





ხელოვანი ლიტველი მეფე ვიტაუტასის მმართველობას დაემთხვა ცნობილი გრიუნვალდის ბრძოლა (1410 წლის 15 ივლისს) და ლიტვის საზღვრების ბალტიისპირეთიდან შავ ზღვამდე გაფართოება.

ამ ბრძოლის სურათის აღდგენაში გვეხმარება მუზეუმში გამოფენილი იან მატეიკოს ცნობილი ნახატის ასლი. ორიგინალი 1878 წელსაა შესრულებული. კომპოზიციაში მნიშვნელოვანი ადგილი ხმალადმართულ ვიტაუტასს უკავია, ოდნავ მარცხნივ კი მისი მოწინააღმდეგე, ტევტონთა ორდენის მაგისტრი ულრიხ ვონ იუნინგენია, რომელიც გრიუნვალდის ბრძოლაში დაეცა. ცნობილია ისიც, რომ ომისთვის ვიტაუტასი თრაქიის ციხესიმაგრეში ემზადებოდა. სწორედ იქ მასპინძლობდა პოლონეთის მთავარ ვლადისლავ იაგელოს, რომელთან გაერთიანებამაც ლიტველებს ტევტონთა ორდენის ჯვაროსნები დაამარცხებინა. გრიუნვალდიდან გაერთიანებული ჯარები მეტოქის დედაქალაქ მალბორკისკენ გაემართნენ და იქაც გაიმარჯვეს. ამის შემდეგ, ტევტონებმა დაკარგული ძველი დიდება ვეღარ აღიდგინეს.

ლიტველებსა და ტევტონთა ორდენის რაინდებს შორის ურთიერთობები მარტის ამინდივით ცვალებადი იყო. თრაქიის ციხის საფუძველში არსებული ნგრევისა და ცეცხლის კვალი მეცნიერებს ზუსტი დასკვნის გამოტანის საშუალებას აძლევს — ციხესიმაგრის მშენებლობა დასრულებული არ იყო, როცა მტრის შემოსევამ გაანადგურა. ამას ადასტურებს გერმანელი ისტორიკოსის, ვიგანდ მარბურგელის სიტყვებიც: 1377 წელს ჯვაროსნებმა თრაქიის მიწაზე მდებარე სიმაგრე დალაშქრესო.

მომდევნო წლებში ურთიერთობა გაუმჯობესდა. შემონახულია 1407 წლის 3 ივლისით დათარიღებული წერილი, რომელშიც ლიტველთა მეფე ვიტაუტასი ტევტონთა ორდენის მაგისტრს სთხოვს, მეორედაც გამოუგზავნოს არქიტექტორი, რომელმაც დიდი მშენებლობა დაიწყო. მის გარეშე ეს ციხესიმაგრე ვერ დასრულდებაო. ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ ტევტონი ჯვაროსნები ლიტველებს სწორედ თრაქიის ციხესიმაგრის მშენებლობაში ეხმარებოდნენ. ამის დასტურად თუნდაც ნაგებობის ფორმა (რომელიც მალბორკის ციხესიმაგრის სტილშია ნაშენი) და



ლიტვის დიდი მეფე ვიტაუტასი



მუზეუმში ცხოველთა ფიტულებს მიუღი განყოფილება ეთიობა





გზა ზელა ციხისკენ



მასალა გამოდგება — წითელი აგური. თუმცა, ზემოთ ნახსენები წერილის გაგზავნიდან სამ წელიწადში პოლიტიკური ვითარება კვლავ რადიკალურად შეიცვალა და სწორედ ლიტვა-პოლონეთის ისტორიაში ყველაზე დიდი, გრიუნვალდის ბრძოლით დასრულდა.

ტეეტონი მწვერაუი მაგისტრს თრაქაის სიმტიციცეზე სწერს: ციხესიმაგრეში 15 ლოდსატყორცნია, რომელსაც ადამიანის თავის ზომის ქვის ტყორცნა შეუძლიაო. ცნობისთვის, იმ დროისთვის ევროპაში აუღებლად ითვლებოდა სიმაგრე, რომელსაც ასეთი ტიპის 8-10 ლოდსატყორცი მაინც ჰქონდა.

როგორც ომის, ასევე მშვიდობიანობის ფაშს თრაქაის მთავარი მცველები არაქრისტიანი, თურქული მოდგმის ყარაიმები (იგივეა რაც ყარაიტები) იყვნენ. გადმოცემის მიხედვით, ისინი გედემინასმა ყირიმიდან გადმოსასხლა და იმდენად ერთგულად ემსახურებოდნენ ლიტველ მთავრებს, რომ მუხეუმ-

ში ერთი დიდი სენაკი მათ ყოფა-ცხოვრებას ეთმობა. თანამედროვე ლიტველები კუნძულს ისე არ დატოვებენ, ყარაიმების ეროვნული კერძი, ქიბინაი (ღვეზლის ნაირსახეობა) არ დააგემოვნონ.

XVII საუკუნეში ვერც ლიტველებმა და ვერც ყარაიმებმა ვერ შეაჩერეს რუსების მოძალეობა და თრაქაის ციხესიმაგრე რუსეთ-ლიტვის ომის დროს მთლიანად განადგურდა (1655 წელს). დაქცეული ნაგებობა XX საუკუნემდე ამაოდ ელოდა ფეხზე წამოყენებას. პირველი სარესტავრაციო სამუშაოები 1920-იანი წლებიდან დაიწყო, ხოლო XX საუკუნის მეორე ნახევარში ციხესიმაგრეს XIV საუკუნის იერი დაუბრუნდა. მუზეუმი აქ 1962 წლიდან განთავსდა. თრაქაიში ყოველწლიურად ეწყობა ფესტივალები და კონცერტები. ბოლო წლებში აგრეთვე აქ იღებენ სახელმწიფო დელეგაციებს და ხელშეკრულებებს აწერენ ხელს. თრაქაიში ვიზიტით იმყოფებოდნენ არაერთი პრეზიდენტი და პრემიერი, აგრეთვე დანიისა და შვედეთის მონარქები.


**ვაჟა სიმონიშვილი**

**„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი**



გალვეს ტბის ხედი ჩიტის გაფრენის სიმაღლიდან

*ეს ერთადერთი ციხესიმაგრეა აღმოსავლეთ ვერობაში, რომელიც კუნძულზეა აგებული*







# ძიგორო კანოს „მოქნილი გზა“

ძიგორო კანო  
(12 დანი) თავის  
მოსწავლე  
კუიძო მიფუნეს  
(10 დანი) ილეთს  
აჩვენებს

„მე არასდროს ვანჭავლობდი ასეთ ძიუდოს!“

როგორ უნდა შეუსაბამო თანამედროვე ეპოქას შენი ერის კულტურაში დაფანებული საუნჯე, გააცნო და შეაყვარო მსოფლიოს და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობად აქციო — ამის კარგი მაგალითია იაპონია და ამ ქვეყანაში შობილი და სისტემატიზებული საბრძოლო ხელოვნება, დღეს კი სპორტის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სახეობად მიჩნეული ძიუდო.

ჭიდაობის ამ იაპონური სახეობის არცთუ დიდი, დახლოებით საუკუნე-ნახევრიანი, თუმცა საინტერესო ისტორია აქვს. მაგრამ ამის გარდა, განსაკუთრებით საყურადღებო ის ჩვენთვის, ქართველებისთვისაა — აქ გვანახნდება ტრადიციული ქართული ჭიდაობა, რომელსაც როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს მიღმა პოპულარიზება სჭირდება.

ჭიდაობის სახეობა ძიუდოს (იაპონურად: „ძიუ“ — რბილი, მოქნილი, „დო“ — გზა) საფუძვლად ჯიუ-ჯიცუ დაედო, სისტემატიზებასა და განვითარებას კი კაცობრიობა ცნობილ იაპონელ პედაგოგსა და მწვრთნელს, ძიგორო კანოს (1860-1938) უნდა უმაღლოდეს. ძიგორო კანომ მთელი სიცოცხლე მიუძღვნა უიარაღოდ ორთაბრძოლის ახალი სისტემის

ჩამოყალიბებას, შემდგომში მის გამრავალფეროვნებასა და პოპულარიზებას.

## მაბაიჭიში დაჩაბრული

იაპონიის ხანგრძლივი საერთაშორისო იზოლაცია 1854 წლის 31 მარტს, კანაგავას შეთანხმებაზე ხელმოწერით დასრულდა. ამომავალი მზის ქვეყანაში ეს დიდ ცვლილებათა ხანა იყო. სულ რამდენიმე ათწლეულში პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრება ძირეულად შეცვალა.

სწორედ იმ დროს, იაპონიის ისტორიის ახალი ეპოქის გარიჟრაჟზე, 1860 წლის 28 ოქტომბერს, ქალაქ მაკიეგუში ძიგორო კანო დაიბადა.

კანო და-ძმებთან ერთად საკმაოდ შეძლებულ ოჯახში, მაგრამ მკაცრი დისციპლინით

გაიზარდა. 9 წლისას დედა გარდაეცვალა, მამამ კი, რომელიც იმხანად პედაგოგის პროფესიასთან ერთად, სახელმწიფო მოხელეობასაც ითავსებდა, ოჯახი საცხოვრებლად ქვეყნის ახალ დედაქალაქ ტოკიოში გადაიყვანა.

13 წლის კანოს სასწავლებლის გამოცვლა მოუხდა. ბევრით ბიჭუნა ახალ სკოლაში პედაგოგთა ფაფორიტი სწრაფად გახდა, მაგრამ თანაკლასელებმა ცივად მიიღეს, მეტიც — ათვალწუნეს. უფროსკლასელებმა სულაც დაცივის ობიექტად გაიზადეს.

ტანდაბალ და ფიზიკურად სუსტ ჭაბუკს თავის დაცვა ყოველ ფეხის ნაბიჯზე მართებდა და როგორც ჩანს, პირველად სწორედ მაშინ დაინტერესდა საბრძოლო ხელოვნებით. თუმცა თავდაპირველად სპორტის სხვა, არასაბრძოლო სახეობებით სხეულის გაკაფებას მიჰყო ხელი (ნიჩბოსნობას, ტანვარჯიშსა და ბეისბოლს).

სკოლის დასრულების შემდეგ კანომ სწავლა კაისეის აკადემიაში განაგრძო, რომელიც 1877 წელს ტოკიოს უნივერსიტეტად გადაკეთდა. სწავლის ძირითად მიმართულებებად მან პოლიტიკური მეცნიერება, ფილოსოფია და ლიტერატურა აირჩია...

მაგრამ სტუდენტ კანოს მხოლოდ მეცადინეობისთვის არც იქ ეცალა — როგორც სტუდენტური ქალაქის ტერიტორიაზე, ისე მის მიღმა, ქუჩური მუშტი-კრივისა და გარჩევების მონაწილე ძალაუნებურად ხდებოდა, საიდანაც თავაწეული არცთუ ხშირად გამოდიოდა.

მაშინ კი საბოლოოდ გადაწყვიტა, რაღაც უნდა დასჯდომოდა, საბრძოლო ხელოვნება



შეესწავლა — იმ დროის იაპონიაში გავრცელებული ჯიუ-ჯიცუ (უიარაღოდ ბრძოლის სისტემა, იაპონურად „მოქნილობის ხელოვნება“).

17 წლის კანომ ჯიუ-ჯიცუს დაუფლება ცნობილ ოსტატ ხატიჩოსეკუ ფუკუდასთან დაიწყო. თურმე ვარჯიშის დროს კანო გამუდმებით სთხოვდა მასწავლებელს, თითოეული ილეთი გარკვევით აეხსნა მისთვის — ეჩვენებინა ხელ-ფეხის ზუსტი მდგომარეობა, მოძრაობა, თუმცა ფუკუდასგან პასუხი მოკლე



წვრთნა კოდოკანის სკოლაში. ტოკიო, 1890-იანი წლები





წერთა კოლოკანში. ტოკიო, 1930-იანი წლები

ყოფილა — „მომიახლოვდი და გიჩვენებ“. შედეგად, კანო კვლავაც ძირს ეცემოდა...

კანოს არც სპარინგ-პარტნიორში გაუმართლა. მძიმეწონოსან ფუკუსიმასთან ჭიდილში წარმატების იოტისოდენა შანსიც არ ჰქონდა. დახმარებისთვის კანომ თავის სუმოისტ ამხანაგსაც კი მიმართა, იმ იმედით, რომ ჭიდაობის ამ სტილის ილეთების შესწავლით გაიმდიდრებდა არსენალს. თუმცა უშედეგოდ — ჩია ტანის კანოს სუმო ვერაფერში წაადგა.

მოგვიანებით კანო ტოკიოს ბიბლიოთეკაში, ორთაბრძოლის სხვადასხვა სახეობაზე წიგნებში ეძებდა მისთვის გამოსადეგ ილეთებს.

ამბობენ, რომ სწორედ ძველ ჩანაწერებში მიაგნო კანომ ტექნიკას, რომელსაც მოგვიანებით „კატა გურუმა“ („წისქვილი“) უწოდა.

ხანგრძლივი ვარჯიშისა და წიგნებში მოძიებული ილეთების დახვეწის შემდეგ, კანომ ფუკუსიმას ორთაბრძოლა შესთავაზა. ამ უკანასკნელს ეს სიცილად არ ეყო, თუმცა უმაღლათანხმდა, რადგან მანამდე ათასჯერ მაინც ჰყავდა კანო ძირს დაგდებული...

კანო მეტოქისგან ორ მეტრში გაჩერდა. ფუკუსიმა იმ იმედით, რომ საქმეს ხელად მოათავებდა, ნაბიჯის გადადგმასთან ერთად კანოს კიმონოს საყელოში სწვდა. სწორედ ამას



ადგილი, სადაც კოლოკან მიუღო იშვა

ელოდა ეს უკანასკნელიც. კანომ ჯერ ერთი ხელი მეტოქის მარჯვენას ჩააგლო, შემდეგ მხარი ჩაუდგა, მეორე ხელი კი მუხლს უკან ამოსდო და ასწია. ეს ყველაფერი წაშში მოხდა — გოლიათი ჰაერში დატრიალდა და ძირს დაენარცხა.

დარბაზში მყოფი მაყურებელი სახტად დარჩა — ილეთი ილეთად და, ძირს გაშოტილი ფუკუსიმა კიდევ კარგა ხანს ვერ ახერხებდა წამოდგომას.

**„მოქნილი გზა“ ზანსეზის ბათანაბრებისთვის**

ფუკუდას გარდაცვალების შემდეგ კანომ მომზადება ჯერ ოსტატ მასამოტო ისოსთან განაგრძო, მოგვიანებით კი ცუნეტოში იიკუბოს შევირდი გახდა, ვისთანაც ჯიუ-ჯიცუს სრულიად განსხვავებულ სტილსა და პრინციპებს ეზიარა.

სტუდენტ კანოს დღისით წიგნებში ჰქონდა თავი ჩარეული, საღამოს კი ვარჯიშში ატარებდა. 1881 წელს მან ტოკიოს უნივერსიტეტი წარჩინებით დაამთავრა, ერთი წლის შემდეგ კი, უკვე ლიტერატურის მასწავლებლის დიპლომით, იმდროინდელი იაპონური საზოგადოების ინტელექტუალურ ელიტაში შეაბიჯა.

ლოქტორ კანოს სამოხელეო კარიერის შექმნის კარგი პერსპექტივა ჰქონდა, თუმცა ჯიუ-ჯიცუ იმდენად იქცა მის ცხოვრებისეულ საქმედ, რომ მისი ბედი სხვაგვარად წარმართა.

კანოს მთელი არსებით უყვარდა ჯიუ-ჯიცუ და მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო მისი, როგორც იაპონიის კულტურული ფასეულობის შენარჩუნება. იმავედროულად, სწამდა, რომ აუცილებელი იყო ჯიუ-ჯიცუს ძირეული პრინციპების სისტემატიზება, მისი შერწყმა გონებისა და სხეულის დისციპლინასთან და პიროვნების აღზრდის ერთიან სისტემად ჩამოყალიბება.

სწორედ ამ მიზნით, 22 წლის კანო 1882 წელს ტოკიოში ხსნის „კოდოკანს“ („გზის წვდომის ტაძარი“). სწორედ ეს დღე ითვლება მიუდოს დაბადების ოფიციალურ თარიღად.

„ყველაფერი ჯიუ-ჯიცუს რჩეული ილეთების დახარისხებით დავიწყე. შემდეგ მას საკუთარიც შევმატე და სრულიად ახალი მიმართულება მივეცი. მიუდო — ეს არის გზა სულია და სხეულის უფრო ეფექტურად გამოყენებისთვის. ის შეტევისა და თავდაცვის ხელოვნებაა, რომლის დაუფლებას თავდაუზოგავი ვარჯიში, სხეულის გამოწრთობა და ნებისყოფის გამომუშავება ერთნაირად სჭირდება“, — მიუთითებდა კანო აღზრდის მისეული სისტემის მთავარი მიმართულებების აღწერისას.

გამჭრიახი გონებითა და ცნობისმოყვარე ბუნებით გამორჩეულ კანოს, ახალი სისტემის ძირეული პრინციპების ჩამოსაყალიბებლად, არა მხოლოდ სხვა საბრძოლო სახეობების მეთოდის შესწავლა და გაანალიზება უხდებოდა. ამ მხრივ სახასიათოა ერთი ჩვენამდე მოღწეული



მიგორო კანო ქალ ბიუდოსისტებს ავარჯიშებს





დიგორო კანო მოწაფეებს ილეოს აჩვენებს



柔道  
道  
田村圭  
田村圭

ასე იწერება  
ძიუდო  
იაპონურად

ამბავი. ზამთრის ერთ საღამოს დიგორო კანო სასეირნოდ ბაღში გავიდა. დიდთოვლობისგან ხეებს ვეებერთელა ტოტები ჩამოშტეროდათ. კანოს ყურადღება თოვლისგან დამძიმებულმა წვრილმა ტოტმა მიიპყრო, რომელიც მიწამდე დაშვებულიყო, მაგრამ არ გადატეხილა.

უცაბედად ტოტიდან თოვლი დაიძრა და ჩამოცვივდა, სიმძიმისგან გათავისუფლებული ტოტი კი უმაღლ პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა.

„აი, ასეთი უნდა იყოს ძიუდოისტი!“ — შესძახა მაშინ დიგორო კანომ.

მოგვიანებით ამ ამბავმა ასახვა მის ცნობილ ფორმულაში პოვა:

„დავუშვათ, ერთი ადამიანის ძალა ერთი პირობითი ერთეულია და ჩემი მეტოქე ფლობს ძალას, რომელიც 10 ერთეულს შეადგენს, მე კი, მასზე გაცილებით პატარასა და სუსტს, 7 ერთეულის ოდენობის ძალა მაქვს.

თუკი ის მთელი თავისი ძალით მომაწვება, ბუნებრივია, უკან დამახვეინებს ან სულაც ძირს დამაგდებს, მაგრამ თუკი მასთან პირისპირ დატაკებას ავირიდებ, მიემართავ ერთგვარ მანევრს, ის იძულებული გახდება, ჩემკენ გადმოიხაროს, შედეგად კი დაკარგავს წონასწორობას.

რა თქმა უნდა, მეტოქე ისევ იმ ძალის მფლობელი იქნება, რომელიც მას შეტევის დაწყებამდე ჰქონდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ წონასწორობის დაკარგვის გამო მის სრულად გამოყენებას ვეღარ შეძლებს.

მეტოქეს, რომელსაც დაკარგული აქვს საყრდენი წერტილი, თავისი 10 ერთეულის ტოლფასი ძალიდან რეალურად მხოლოდ 3 ერთეულის მონხმარება შეუძლია. მე კი, რომელსაც წონასწორობა არ დამიკარგავს, ჩემს 7 ერთეულ ძალას გამოვიყენებ.

ანუ ამ კონკრეტულ მომენტში მე უკვე მეტოქეზე ძლიერი ვხდები და სწორედ ამ დროს უნდა ვაჯობო მას და თან ისე, რომ საამისოდ დიდი ძალისხმევა სულაც არ დამჭირდეს“.

თუ 1883 წელს ოსტატისთვის შეუსაბამო, ახალგაზრდა ასაკის მქონე კანოს სულ რვა შეგირდი ჰყავდა, ექვსი წლის შემდეგ მის მოსწავლეთა რიცხვი ათასს აღემატებოდა. კოდოკანის განყოფილებები ტოკიოს რამდენიმე რაიონში ჰქონდა.

1889 წლის 15 სექტემბერს დიგორო კანომ კოდოკანი თავის რჩეულ მოწაფეებს დაუტოვა და იაპონიის საიმპერატორო სააგენტოს დავალებ-

ბით, ევროპის საგანმანათლებლო დაწესებულებების გასაცნობად, ევროპაში გაემგზავრა.

ბებერმა კონტინენტმა კანო ბევრი რამით აღაფრთოვანა, თუმცა განსაკუთრებული შთაბეჭდილება მასზე ევროპელთა ცხოვრების წესმა მოახდინა, „რომლებიც ცდილობენ, მოუფერთხილდნენ ყველაფერს და ტყუილად არაფერი დაკარგონ“.

ამან კანოს კიდევ უფრო განუშტკიცა აზრი, რომლის თანახმად, „ძიუდოშიც, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ადამიანი უნდა ესწრაფოდეს მატერიისა და ენერჯიის მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებას“.

კანო მოგზაურობისას დროს არ კარგავდა — ყველას უამბობდა ძიუდოს შესახებ და ილეთების დემონსტრირებასაც ახდენდა.

1891 წელს 31 წლის კანო დაქორწინდა. მომდევნო წლებში ის განათლების სისტემაში საქმიანობდა და იმავდროულად, არ წვევებდა ძიუდოს განვითარებასა და პოპულარიზებაზე ზრუნვას.

### „...ძიუდო მატია, ვიდრე სპორტი!“

კანოს ძალისხმევამ შედეგი მოიტანა — XX საუკუნის დასაწყისიდან ძიუდომ იაპონია დაიპყრო. 1908 წელს პარლამენტი იღებს კანონს, რომლის თანახმად, საშუალო სკოლებში აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს კენდო ან ძიუდო.

1909 წელს დოქტორი კანო აზიის პირველი წარმომადგენელი გახდა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში და მისი დიდი დამსახურება იყო, რომ ტოკიომ 1940 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება მოეპოვა (ეს ოლიმპიადა მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო არ გაიმართა).

რაც შეეხება ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ძიუდოს შეტანასა და საერთოდ, მის გადაქცევას სპორტის მასობრივ სახეობად, აქ კანოს არაერთგვაროვანი პოზიცია ეკავა. იგი შემფოთებული იყო საერთაშორისო ასპარეზზე სპორტული მიღწევების მნიშვნელობის ზრდით და შიშობდა კიდევ, ძიუდო ნაციონალიზმის იარაღად არ გადაქცეულიყო.

კანო არა მხოლოდ იაპონიაში, მის საზღვრებს გარეთაც დაუღალავად ზრუნავდა ძიუდოს პოპულარიზებაზე. სიცოცხლის ბოლო 25 წელიწადი მან, შეიძლება ითქვას, მოგზაურობაში გაატარა — ჯამში 13-ჯერ გადაკვეთა



ძიუდო კანო და ერის რანი, გერმანიაში ჯიუჯიჯუსა და ძიუდოს პირველი პოპულარიზატორი

კანოს მეგობრული შარჟი იაპონურ პრესაში







დიგორო კანოს ძეგლი კოდოკან დიულოს ინსტიტუტში  
კოდოკან დიულოს ინსტიტუტი

ოკეანე და ოთხ კონტინენტს ეწვია. რაც ყველაზე საინტერესოა, არასდროს წუხდა დაღლილობის გამო. მეტიც, ძალიან აღიზიანებდა ფრაზა: „ოცუკარუ-სამა დესიტა“ („ალბათ, გადაღლილი ბრძანდებით“)...

კანო ერთ-ერთი მორიგი მოგზაურობიდან სამშობლოში დაბრუნებისას, გემ „ჰინკავა-მარუზე“, 1938 წლის 4 მაისს, 78 წლის ასაკში გარდაიცვალა.

სპორტის ოლიმპიურ სახეობად დიულო კანოს გარდაცვალებიდან მრავალი წლის შემდეგ, 1964 წელს იქცა, თუმცა... ოლიმპიურ თამაშებში წარმოდგენილ დიულოს უკვე ცოტა ჰქონდა საერთო ძიგორო კანოს კოდოკანის იდეალებთან, რომელსაც სწამდა, რომ შეჯიბრება „ეწინააღმდეგება კოდოკან დიულოს სულს“.

თურმე ერთ-ერთ ტურნირზე მიწვეულმა, უკვე ხანდაზმულმა კანომ ორთაბრძოლების დასრულების შემდეგ თავისთან უხმო დიულოისტებს და აღშფოთებულმა მიმართა:

„თქვენ მოზერებთ იბრძვით — ჯიქურ რომ ასკდებიან რქებით ერთმანეთს. არც ერთ ილეთში, რომელიც დღეს ვნახე, არ იყო ეშხი, სილამაზე... მე არასდროს ვასწავლიდი ასეთ დიულოს. თუკი მხოლოდ უხეში ძალით გამარჯვებაზე იფიქრებთ, დიულოს მომავალი არ ექნება!“

კანოს პესიმისტური მოლოდინი არ გამართლდა.

გილა უზარინი







1934  
წლისთვის

საქართველოს  
საფეხბურთო  
სამსახურის





# რობერტ სტურუა:

## ამჟვეანად ყველაზე რთული ყოფილა ალაბიანად დარჩენა

*დიდი მანესტრო — რობერტ სტურუა 75 წლისაა. საუკუნის სამი მეოთხედი ცოტა არ არის, თუმცა რობერტ სტურუას მსუბუქად მოაქვს ეს წლები, მასში ერთმანეთს ერწყმის, ერთი მხრივ, ბავშვური უშუალოება და სიცელქე და მეორე მხრივ — აზროვნების სიღრმე და გენიალურობა. მან ყველაზე მეტად იცის, რა მოაქვს ადამიანისთვის ინტელექტსა და განათლებას; იცის, რამხელა სიმძიმეა იყო ხელოვანი, ქმნიდე და ფიქრობდე განუწყვეტლად, იყო კაცობრიობის მიერ უკვე შექმნილისა და გააზრებულის ღირსეული წამკითხველი...*

— მოწაფეს, რომელიც ძალიან ამაყობდა თავისი ინტელექტით, მასწავლებელმა უთხრა: „პატიმარს მაგონებ, თავისი დიდი საკნით რომ ტრაბახობსო“, — ამბობს რობერტ სტურუა...

კაბინეტში, თაროებზე უსწორმასწოროდ აწყვია სხვადასხვა ენაზე გამოცემული წიგნები. ამ ფონზე კიდევ უფრო თვალნათელია, რომ რობერტ სტურუა მხოლოდ ინტელექტსა და წიგნიერებაზე არ დგას. არის კიდევ რაღაც — ძალიან ძლიერი და მასშტაბური, შემოქმედებითობისა და ადამიანად ყოფნის ბედნიერების დიდი ნაზავი, რომელიც არც ერთ საკანს არ შეაგუებს, ცხაურს იქით გაახედებს და უკიდევანო სივრცეებით აავსებს.

მისი ცხოვრება იმის დასტურია, რომ შეძლო და გავიდა გისოსებს მიღმა, სხვას ზომ არ ეტუსაღა და ემონა და არც საკუთარი სახელი ან მდგომარეობა გაუხდია ბატონად, არც — საკუთარი ინტელექტი... სწორედ ეს არის

მთავარი ღვრიტა, რომელიც გენიალურ სპექტაკლებს ადგმევინებს; სწორედ ეს არის მისი უაღრესად საინტერესო ცხოვრების საფუძველიც:

— მახსოვს, პატარა ვიყავი, ჯერ სკოლაში არ დავდიოდი. გამეღვიძა და უცებ იმის შიშმა ამიტანა, რომ ოდესმე მოვკვდებოდი. ამ საშინელი განცდის გამო ავტირდი. მაშინ ღმერთზე არავინ ლაპარაკობდა. საიქიოზე ვინ მეტყოდა რამეს. ახლა ღმერთი მწამს, მაგრამ სიკვდილის განცდა ისეთივე დამრჩა, როგორიც ადრე, რომ ეს არის დასასრული... ჯერ ჩუმად ვტიროდი, მერე მოვუმატე და მოვუმატე. დედაჩემმა გაიგონა და შეეშინდა: რა მოხდა, რა მოგივიდაო, დამიწყო მოფერება. ვუთხარი, ოდესმე რომ მოვკვდები, იმიტომ ვტირი, არ მინდა მოვკვდე-მეთქი. შენ არ მოკვდებიო, მითხრა. ვიცოდი, მატყუებდა, მაგრამ მაინც დავმშვიდდი, ტკბილად დამეძინა.

კიდევ რა მახსოვს? მახსოვს, რომ დიდად არ ვიკლავდი სწავლისთვის თავს, მაგრამ ვეშმაკობდი. რა ნიშანიც ატესტატში უნდა გადასულიყო, იმ საგანს ვსწავლობდი. მათემატიკა კარგად ვიცოდი. საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა ოლიმპიადებში მაქვს აღებული პირველი ადგილი მათემატიკაში.

მამაჩემი მეუბნებოდა, როცა გენდომება, სკოლაში არ წახვიდე, მითხარი და შინ დაგტოვებ, არ მინდა ქუჩაში იყიადლო. ვეტყვოდი, დღეს არ მინდა წასვლა-მეთქი და ისიც მტოვებდა. დედაჩემი დამინახავდა და იწყებოდა ჩხუბი — რატომ არ წავიდაო. მამა ეტყვოდა: — დაანებე თავი, ასე სჯობსო...

თავისუფლად გავიზარდე. ყველა პირობა მქონდა, მეკითხა, მებატა.

დედაჩემი ძალიან ძლიერი ქალი იყო. ერთი ფოტო მაქვს მისი ახალგაზრდობის, ბიჭი-კო ჩხეიძესთან ერთად დგას სიგარეტით ხელში. IX კლასში ვიყავი, მოწვევა რომ დაგიწვე და დედამ მომისწრო. ვადიარე. ვწვევი და მამას ნუ ეტყვი-მეთქი... როდიდანო. IX კლასიდან-მეთქი. მე მეორე კლასიდან ვეწეოდით! კინაღამ გავგიჟდი...

დიდი ვაჟკაცობა იყო მამაჩემის მხრიდან, რომ დედა ცოლად მოიყვანა. ის ხომ ხალხის მტრის შვილი იყო.

მამაჩემს კი ყველა პარტიული ჰყავდა. დედაჩემის მამას, ვანო ბოლქვაძეს უცნაური ამბავი დაემართა: ცოლშვილიანი იყო, როცა

სხვა შეუყვარდა — ზანგი ქალი, რომელიც როგორღაც შემორჩენილიყო თბილისში, ალბათ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. კინოთეატრ „აპოლოში“ გაეცნო. მოცეკვავე იყო. ბებიას გასცილდა. მალე ბაბუაც და ის ქალიც დააპატიმრეს, როგორც ჯაშუშები და დახვრიტეს. დედაჩემი უატესტატოდ დატოვეს, როგორც ხალხის მტრის შვილი. მისი და მღეროდა, კონსერვატორიიდან გამოაგდეს, ძმა — პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან. საშინელ დღეში აღმოჩნდა ყველა. მამაჩემმა ბევრი იწვალა, რომ მოეხერხებინა დედაჩემთან ხელის მოწერა... ბიძაჩემი ბეჟანი უკიდურესად ხელმოკლედ ცხოვრობდა, ერთხანს ფეხსაცმლის შემკეთებლადც მუშაობდა... დედაჩემი ეკლესიაში გალობდა. მან მასწავლა მუსიკის ანაბანა. მუსიკის მასწავლებელი კი დადიოდა ჩვენთან, მაგრამ მკაცრი იყო და მიმრტყამდა. გამოვაცხადე, აღარ მინდა დაკვრის სწავლა-მეთქი. მასწავლებელი გაუშვეს, მაგრამ მგონი, ჩემ გამო კი არა, იმიტომ, რომ დედა მასზე და მამაჩემზე ეჭვიანობდა. ძალიან ლამაზი ქალი იყო ის მუსიკის მასწავლებელი...

ჩემი შუადღე იყო ჩემი საუკეთესო წლები, სკოლის ბოლო ორი და სტუდენტობისა. განსაკუთრებული მოვლენა იყო ვაჟთა და ქაღალთა სკოლების შეერთება — X-XI კლასებში.

სტუდენტობისას სწავლის ყველა პირობა მქონდა. ჯორჯიაშვილის ქუჩაზე პატარა კინოთეატრი იყო, მგონი „თბილისი“ ერქვა, —



მიხეილ თუმანიშვილი, რობერტ სტურუა, თემურ ჩხეიძე





ნონ-სტოპ ჩვენებები ეწყობოდა. იქ გვიყვარდა სიარული. მე და დიმა ბათიაშვილი რომ შევიდოდით, შეუსვენებლად ვუყურებდით მთელი დღე ყველა სენსს. განსაკუთრებით გვიყვარდა ტრუფოს „400 დარტყმა“. დღემდე მიყვარს ეგ ფილმი. სხვათა შორის, არგენტინაში რომ ჩავედი, აფიშა ვითხოვე და მაჩუქეს. ახლა ჩემს ოთახში მაქვს გაკრული.

იმ დროიდან მახსოვს ერთი საშინელი რამ — ბაბუაჩემის, ვანო ბოლქვაძის რეაბილიტაცია. მოვიდა სარეაბილიტაციო ქალაქი და ოჯახის წევრები დაიბარეს. ბიძაჩემმა დამირეკა და წამიყვანა. თურმე კომპენსაციას ამლევდნენ — 4.000 მანეთს, რომელიც მაშინ არ იყო დიდი ფული. მახსოვს, ეს თანხა რომ აიღო, ეჭირა ხელში და დაჰყურებდა. ეს იყო თითქოს მამამისის სიცოცხლის გამოსასყიდი. საშინელება იყო... მერე გაყო, ერთი ნაწილი მე მომცა — დედაჩემთან გამატანა, მეორე დეიდას მისცა, დანარჩენი თვითონ აიღო. განადგურებული ჩანდა.

„სეილემის პროცესი“ რომ დავდგი, ბოლოს მთავრდებოდა ამ სიტყვებით: „და ოჯახებმა აიღეს კომპენსაცია“. ამას რომ ვდგამდი, თვალწინ სულ ის 4.000 მანეთი მედგა.

მახსოვს პირველი სპექტაკლის დადგმა... დოლო ალექსიძე მეხმარებოდა, ცნობილი ჩქი დისიდენტის, ვლადიმერის პიესა იყო, „მესამე სურვილი“. გენერალურ რეპეტიციას სამინისტროდან მოსული ხალხი ესწრებოდა. მე და დოლო IX რიგში ვისხედით. პირველი აქტის დასასრულს თოვლი უნდა წამოსულიყო. ვიდრე ეს სურათი დაიწყებოდა, პარტერში ხმაურით შემოვიდნენ რესტორან „თბილისში“ ნაქიფარი მამაჩემი და მისი მეგობრები. თოვლი რომ წამოვიდა, სიმღერა წამოიწყეს „თოვლი მოსულა თბილისში“.

— ვინ არიან ეს ხულიგნები! — ფეხზე წამოიჭრა ბატონი დოლო. — მამაჩემია, — ვუთხარი. როგორ, რობერტიაო! — თქვა და ხმა ვეღარ ამოიღო...

მამაჩემსა და მის მეგობრებს განსაკუთრე-



რობერტ სტურუა სენაკში II ქვეითი ბრიგადის სამხედროებს ესტუმრა. მას მე-2 ქვეითი ბრიგადის მეთაურმა, ვიცე-პოლკოვნიკმა ზაზა ჩხაიძემ უმახვიძლა. რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი შეხვდა ჯარისკაცებსაც. ქართველმა რეჟისორმა სამხედროებს თეატრში მისი მოღვაწეობის საუკეთესო მომენტები გაუზიარა, დასმულ შეკითხვებს უპასუხა და გაიხსენა ახალგაზრდობაც, როცა ჯარში მსახურობდა. სამხედროებმა რეჟისორს სპეციალური საჩუქრის სახით სამხედრო ფორმა გადასცეს, რომელზეც მისი გვარი და თეატრის სიმბოლოა ამოტვიფრული. შეხვედრა „საქართველოს შეიარაღებული ძალების მეგობართა საზოგადოების“ ფორმატის ფარგლებში მოეწყო

ბით უყვარდათ „ხანუმას“ III აქტზე მოსვლა. პირდაპირ რესტორნიდან გამოივლიდნენ, ლოჯაში ავიდოდნენ და რამაზ ჩხიკავაძისა და ეროსი მანჯგალაძის სცენას უყურებდნენ. ეს არ არის დიდი სცენა, პიესაში სულ ნახევარი გვერდია. რამაზი და ეროსი მამაჩემს და მის მეგობრებს რომ დაინახავდნენ, მაშინ საერთოდ საიმათო ხუმრობებს ამატებდნენ...

მამაჩემზე თუ ვბრაზდებოდი, რომ ხან მთვრალი მოდიოდა სპექტაკლზე?.. ვბრაზდებოდი, მაგრამ უფრო სხვა რამის გამო. ჯერ იყო და, სტალინის გამო გვკონდა ისეთი ჩხუბი, რომ თვალცრემლიანი დედაჩემი შუაში ჩადგებოდა და ისე გვაშველებდა. მამა ამბობდა, სტალინი მაინც სტალინიაო. ამის გაგონება არ მინდოდა...

მერე სერიოზულად ვეჩხუბე დედაჩემის გამო, როცა პირველად ვნახე სხვა ქალთან ერთად...

ძალიან მშველოდა ის, რომ ირონიული ოჯახი მქონდა და იქიდან მომყვება ჩემი თავისადმი ირონიზებული დამოკიდებულება. ეს

აუცილებელია რეჟისორისთვის, რომ თავისი სპექტაკლი რეალურად შეაფასოს.

29 წლის ვიყავი, ოჯახი რომ შევექმენი. ჩემი შვილებისთვის ისეთივე ვიყავი, როგორებიც ჩემთვის იყვნენ მშობლები: ძალიან თავისუფლად ვზრდიდი. უფროსი ბიჭი როკს უკრავდა... ისე იყო საქმე, ან როკს უნდა გაჰყოლოდა, ან ეკლესიაში წასულიყო. აპირებდა კიდევ აღკვეცას... ბოლო წამს გადაიფიქრა. მეორე შვილი ოპერატორია...

მგვანან თუ არა? ერთნაირები ვართ — მაქსიმალისტები, თუ მივეყვებით რაიმე საქმეს, ბოლომდე ვიცით გადავარდნა...

ახლა ვარ მიმწუხრში და ეგ არის. შევიცვალე თუ არა? თეატრის რეჟისორისთვის აუცილებელიც კი არის, რომ შეიცვალოს და მიხარია, რომ ვიცვლები. ამბობენ, ადრე უფრო მკაცრი იყო რობიკო, რასაც ადრე არ დაუთმობდა მსახიობს, ახლა უთმობსო, უფრო თბილი გახდაო... არ ვიცი, ამას რატომ ამბობენ. მე კი მგონია, რომ უფრო უხეში გავ-



ხდი და დათმობითაც მსახიობებს არაფერს ვუთმობ... ამ თვალსაზრისით არ შევცვლილვარ, ეტყობა, გარედან სხვაგვარად ჩანს...

საავადმყოფოში რამდენჯერმე მოვხვდი... ლონდონის „ჰამლეტის“ შემდეგ პირველად გამისკდა კუჭის წყლული... თბილისში გავხდი ცუდად... უძძიმეს დღეში ვიყავი. დაძახების თავიც კი არ მქონდა, ძალიან დაბალ ხმაზე დავიძახე: ღუღანა (ჩემი ცოლის სახელია)! ფაქტობრივად, შანსი არ იყო, გაეგონა, სამი კარი იყო ჩვენ შორის დაკეტილი. მას კი ეძინა. საოცარია, რომ გაიგო. წამიყვანეს საავადმყოფოში. ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ. ჩემი ახლობელი იყო ქირურგი. ასე ვთქვათ, სკალპელი ხელში ჰქონდა, მე რომ უარი ვთქვი... დამინიშნეს მკურნალობა. ამას დაწვრილებით გიყვებით იმიტომ, რომ „ხერიკებს“ უნდა გაიმბოთ.

თვალეები მაგრად ხომ დაგიხუჭავთ? ხომ ჩნდება განათებული წერტილები და X-ის მსგავსი ნიშნები... ამ X-ებს დაუარქვი „ხერიკები“. ჰოდა, ავად რომ ვიყავი, „ხერიკებს“ ვთხოვე, წადით ახლა ჩემს კუჭში და წყლული მომიჩინეთ-მეთქი. წავიდნენ. ერთი კვირის მერე რომ ნახეს, წყლული აღარ მქონდა...

როცა გული ცუდად გამიხდა, ვერ მივხვდი, ინფარქტი თუ მქონდა. მეგონა, ნაღვლის ბუშტი მტკიოდა. ეს სამინელი ტკივილი გამოცდილი მქონდა, მამაჩემს დიდი ნათურა ჰქონდა, ღამით მის შუქზე ხატავდა, ტკივი-

ლისგან შეწუხებული ნათურას კანთები და ვიდებდი სხეულზე, რომ დამწვოდა და ამ სიმწარეს გადაეფარა ნაღვლის ბუშტის ტკივილი.

გულის ოპერაცია დამჭირდა. სერიოზულად იყო საქმე და ჩემდა საამაყოდ ვიტყვი, რომ სიკვდილის სულ არ შემშინებია... დაუჯერებელია. მე ხომ იმდენი მიფიქრია სიკვდილზე, პატარაც კი ვნერვიულობდი და როცა მართლა ცუდად ვიყავი, აღარ შემეშინდა. ეს არის მიმწუხრი...

ამქვეყნად ყველაზე რთული ყოფილა ადამიანად დარჩე, იყო კეთილი... ჩემს მშობლებს არ დასჭირვებიათ მოვლა, დავრდომილები არ ყოფილან, მაგრამ ბებიას სჭირდებოდა და მახსოვს, როგორ უვლიდა მას მამა, რამხელა სიკეთე სჭირდებოდა... ძნელია იყო ადამიანი...

ზოგჯერ ერთი სიტყვა — ბოდიში — ყველაფერს თავის ადგილზე აყენებს, მაგრამ ჩვენ ხომ ძალიან გვიჭირს ამ სიტყვის თქმა. როცა დედისთვის ან მეუღლისთვის მიწყენინებია, სულ ცოტა იყო საჭირო, რომ მათ გული აღარ სტკენოდათ და ვერ მითქვამს ეს ერთი „ბოდიში“. ყველა ადამიანს აქვს ცუდი, ბოროტი თავის არსებაში და რაც უფრო ჯაბნის ის, მით მეტად უჭირს მობოდიშება. ასე კი იქამდე მივალთ, რომ როგორც ქვა წყალში, ჩავიძირებით და ზედაპირზე ბოროტი რგოლების მეტს ვერაფერს დავტოვებთ. დავრჩეთ ადამიანებად...

**ლილა ჯიყაშვილი**



ზოგჯერ ერთი სიტყვა — ბოდიში — ყველაფერს თავის ადგილზე აყენებს, მაგრამ ჩვენ ხომ ძალიან გვიჭირს ამ სიტყვის თქმა



## ალეკო ელისაშვილი:

# „ქანაჩის ძველ ფოტოებს ხომ ვუყუჩებ, ბუდი მეთუთქება“

დიდი ხანია დოკუმენტურმა პროზამ გაიტაცა, ხშირად ეცნობა მემუარებს. ყველაზე მეტს ჩვენი დედაქალაქის წარსულზე კითხულობს და მიუხედავად ამისა, ამბობს: „აღბათ ბევრი რამ კიდევ არ ვიცი. ერთი შეხედვით პატარა ქალაქს ძალიან საინტერესო და დიდი წარსული აქვს“. ჟურნალისტი ალექო ელისაშვილი უახლოეს მომავალში დედაქალაქზე წიგნის გამოცემას აპირებს.

— ამ წიგნში ფოტოებითაა „მოთხრობილი“, როგორ შეიცვალა თბილისი. 60-მდე ადგილი მაქვს შერჩეული, საქართველოში ფოტოგრაფიის შემოსვლის შემდგომ პერიოდს მოიცავს. დაახლოებით 150-წლიანი მონაკვეთია.

### — ცვლილებები როგორია?

— თვალში საცემია, ძალიან ბევრგან — დასანანი, ერთ-ორ ადგილას კარგი და საინტერესო ცვლილებაა. ძირითადად, ისტორიულ ქალაქში ბევრი მნიშვნელოვანი დანაკარგია. მმართველთა ახირებებმა და საეჭვო ურბანულმა გემოვნებამ არაერთი უბანი, ხიდი და მნიშვნელოვანი ნაგებობა შეიწირა. ქალაქის ძველ ფოტოებს რომ ვუყურებ, გული მე-თუთქება.

— მემუარულ ლიტერატურას მიეუბრუნდეთ. ცნობილ ადამიანებიდან ყველაზე საინტერესო შენთვის ვისი ბიოგრაფიაა?

— გურამ შარაძემ დაგვიტოვა არაჩვეულებრივი ნაშრომი პოლკოვნიკ ალექსანდრე ჩხეიძეზე. ეს გახლდათ ადამიანი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქართული სამხედრო სკოლის, იუნკერთა სასწავლებლის განვითარებაში. ის ბოლოს პოლონელ ოფიცრებთან ერთად დაიჭირეს და კატინში, სტალინის მითითებით, ბერიამ დახვრიტა. ვერ აპატიეს, რომ თავის დროზე ბოლშევიკებს სირცხვილი აჭამა. წიგნში გადმოცემულია მისი მოგონებები. ორჯერ წავიკითხე და ვაღიარებ, ორივეჯერ ვიტირე. ჩემი აზრით, ეს წიგნი ხელახლა გა-



მოსაცემია. ალექსანდრე ჩხეიძეს რაც შეიძლება ბევრი ქართველი უნდა იცნობდეს.

— კარგი მენსიერება გაქვს?

— ისტორიული თარიღები ყოველთვის კარგად მამახსოვრდება. შეგიძლია ეს ზაქარია ქუცნაშვილის დედას ჰკითხო. ქალბატონი თალიკო სკოლაში ისტორიას მასწავლიდა. ჩემი უსაყვარლესი მასწავლებელი იყო და მგონი, მისი საყვარელი მოსწავლე ვიყავი. მასსოვს, ერთ გაკვეთილზე ორი ზუთიანი დამიწერა. დღიური შენახული მაქვს.

— რატომ არის მნიშვნელოვანი სამშობლოს (და არა მხოლოდ სამშობლოს) ისტორიის ცოდნა?

— იმიტომ, რომ ისტორიის ცოდნა თვალსაწიერის გაფართოებაა. თუ ისტორია იცი, გონებრივი ჰორიზონტიც ვრცელი გაქვს. წარსული იმისთვის უნდა ვიცოდეთ, რომ დღევანდელობაში გავერკვეთ და უკეთესი მომავალი შევქმნათ. ქვეყნის წარსული მსოფლიო კონტექსტში უნდა დაეინახოთ, ღრმად გაეიანზროთ, რაც თავს გადაგვხდა. ჩვენ სადღეგრძელოებით აზროვნებისკენ ვართ მიდრეკილი, ეს ცუდია.

— რომელი ცნობილი ბაღი გაშენდა თბილისში 1830-იან წლებში?

— მუშტაიდის ბაღი! მასზე ბევრი რამ შემიძლია გითხრა. ეს ბაღი ირანელმა მირ ფეთე აღამ გააშენა. ის გახლდათ შიიტების რელიგიური ლიდერი მუჯთაჰიდი. ამ ბაღში დაკრძალა მეუღლე. რუსეთ-სპარსეთის ომის დროს ის რუსეთს მიემხრო. რუსეთმა კი მადლიერების ნიშნად, თბილისში სახაზინო მიწა აჩუქა. მან სარწყავი არხი გამოიყვანა. ამბობენ, ქართველი მეუღლე ჰყავდაო, მაგრამ ეს დავის საგანია. სიბერეში ირანის მთავრობამ აპატია დანაშაული და სამშობლოში დაბრუნდა. იქაურ არქივებში მის შესახებ საინტერესო ცნობები იქნება დაცული.

— რატომ ატარებდა თავზე დაფნის გვირგვინს იულიუს კეისარი?

— მიზეზი ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ ცნობილია, რომ დაფნის გვირგვინს თავს გამარჯვებულებს ადგამდნენ.

— იულიუს კეისარი კი სიქაჩლის დასაფარავად იყენებდა.

— წამიკითხავს, თმას ერთი თითით ისწორებდა, ამის გამო სენატში ზშირად იცინოდნენ.

— ვინ მეფობდა კოლხეთში, როცა არგო-

ნაგებებმა ოქროს საწმისი გაიტაცეს?

— აიეტი.

— ერთხელ ჩერჩილს ჰკითხეს — რით განსხვავდება სტალინი ჰიტლერისგან? მისი პასუხი ერთსიტყვიანი იყო და ლიდერთა გარეგნობას ეხებოდა.

— ულვაშით.

— ეს პოლიტიკური ლიდერი 1869 წელს დაიბადა, მთელი ცხოვრება აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლას შეაღია. თავისი ქვეყნის ლიდერი გახდა, მაგრამ შოვინისტებმა მოკლეს. დაასახელე, ვისზეა ლაპარაკი?

— (ფიქრობს).

— ის ავტორია ცნობილი გამონათქვამისა: „იყავი ცვლილება, რომლის დანახვაც გსურს სამყაროში“. უარყოფდა ტერორიზმსა და ძალადობას. ძალადობის უარყოფის თავისებურ ფილოსოფიას კი „სატიაგრაჰა“ უწოდა.

— მაჰათმა განდი.

— რა სიტყვები ქწერა დედოფალ პითიას ტამარზე, რომელსაც ზშირად არასწორად მიაწერენ ხოლმე სოკრატეს?

— ვერ ვიხსენებ.

— „შეიცან თავი შენი“. ვინ იყო ბერძენთა ლაშქრის სარდალი ტროას ომში?

— აგამემნონი.

— „კომუნისტი ადამიანური სახით“. რომელ საბჭოთა დიდმოხელეზე ამბობდნენ ასე ვეროპელები?

— გორბაჩოვზე.

— „ეს გახლავთ სტილი მმართველობისა, რა დროსაც მთავრობა აწვდის ან ცდილობს მიაწოდოს ხალხს ილუზია, თითქოს ქვეყნის ბატონ-პატრონი თავად ხალხია“. რის შესახებ ამბობდა ამ სიტყვებს მუსოლინი?

— დემოკრატიული მმართველობის შესახებ.

— როდის აღნიშნავენ ამერიკაში დამოუკიდებლობის დღეს?

— 4 ივლისს.

— ამ ჩინელმა მოაზროვნემ და ფილოსოფოსმა აღიარება სიკვდილის შემდეგ მოიპოვა. თავდაპირველად მენახირე იყო, შემდეგ — სამართლის მინისტრი გახდა. დაასახელე ვისზეა ლაპარაკი?

— კონფუცი მგონია, არა?

— გამოიცანი. ახლა კი დაასრულე მისი ცნობილი გამონათქვამი: „როდესაც ხელები,

რომ მიზანს ვერ აღწევ, ნუ შეცვლი მიზანს, შეცვალე...

- შეცვალე გეგმა.
- „...შეცვალე ნაბიჯები“. ამ ადამიანმა რომი გადაწვა და შემდეგ ეს დანაშაული ქრისტიანებს გადააბრალა...
- რომი ნერონმა გადაწვა.
- რომელმა ქვეყანამ აჩუქა ამერიკას „თავისუფლების ქანდაკება“?
- საფრანგეთმა.
- ვინ გამოიყენა მოდელად მოქანდაკემ?
- თუ არ ვცდები, საკუთარი დედა.
- დიახ. არცთუ შორეულ წარსულში თბილისში მისი ექვსი ძეგლი იდგა.
- ახლა?
- ახლა არც ერთი აღარ დგას.
- ლენინი.
- თავდაპირველი მნიშვნელობით ეს ტერმინი ტყავეის ტომარას ნიშნავდა. ინგლისის ხაზინის კანცლერი, ამ ქვეყნის პარლამენტის წინაშე მოსალოდნელი შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ მოხსენების დროს, ტყავეის ტომართი ხელში წარდგებოდა, რომელშიც საფინანსო დოკუმენტაცია ეწყო. დროთა განმავლობაში ამ სიტყვამ თავდაპირველი მნიშვნელობა დაკარგა და დამკვიდრდა, როგორც ქვეყნის მთავარი საფინანსო დოკუმენტის აღმნიშვნელი ტერმინი. რა ტერმინია ეს?
- საქართველოშიც ამ ტერმინს ვიყენებთ?
- დიახ.
- ბიუჯეტი.
- რა თანამდებობა ეკავათ ძველ შეიარაღებულ ძალებში მათ, ვისაც მკერდზე ტატუირებული ჰქონდათ თუთიყუში?
- თარჯიმნები ხომ არ იყვნენ?
- გამოიცანით რა ერქვა ქალაქს, რომლის ადგილზეც ახლა მკვდარი ზღვა მდებარეობს?
- სოლომი.
- 1655 წელს საფრანგეთის პარლამენტი შეეცადა, ამ მეფისთვის ქვეყნის მართვის პოლიტიკა შეეცვლენებინათ, რადგან მიაჩნდათ, რომ სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. მან კი განაცხადა: „სახელმწიფო — ეს მე ვარ“. ვისზეა ლაპარაკი?
- ლუდოვიკო XIV-ზე.
- იერუსალიმში, სიონის მთის ფერდობზე, წმინდა პეტრეს სახელობის ეკლესიაა. გადმოცემის თანახმად, ეკლესია სწორედ იმ აღ-

გურამ შარაძის ნაშრომი პოლკოვნიკ ალექსანდრე ჩხეიძეზე ორჯერ წავიკითხე და ვაღიარებ, ორივეჯერ ვიტირე... ჩემი აზრით, ეს წიგნი ხელახლა გამოსაცემია.

ვილასაა აგებული, სადაც პეტრეს შემოესმა... რა შემოესმა მას?

- ვერ ვიხსენებ.
- მიგანიშნებ, ეს მას შემდეგ მოხდა, როცა მან ქრისტი უარყო.
- მამლის ყვილი.
- ალექსანდრე მაკედონელის მიერ გამართულ შეჯიბრებას 41 კაცის სიცოცხლე ემსხვერპლა. გამარჯვებულმა, რომელსაც დაფნის გვირგვინი მაკედონელმა საკუთარი ხელით დაადგა, სამ დღეზე მეტი ვეღარ იცოცხლა. რაში მოაწყო შეჯიბრი ალექსანდრე მაკედონელმა?
- ვერ ვიპასუხებ.
- ლენინის სმაში.
- მართლა? ქართველებისთვის შეეჯიბრებინა, მაგაში მაინც მოუუგებდით.
- დაასახელე იმპერატორი, რომელმაც საკუთარ ცხენს კონსულობა მიანიჭა.
- კალიგულა.
- რა ვითარებაში გარდაიცვალა ივან მრისხანე?
- არ მახსოვს.
- ჭადრაკის თამაშის დროს. „თუ მე ამ ერის წინამძღოლად ამირჩევთ, ახალ საყოველთაო წესრიგს დაგამყარებ, რომელიც ათასწლეულებს გაუძლებს“. ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?
- სავარაუდო პასუხებს ვერ მეტყვი?
- იულიუს კეისარი, ჰიტლერი, სტალინი, ნაპოლეონი.
- ჰიტლერს ეკუთვნის.
- რა ფერის პერანგები ეცვათ ჯუზეპე გარიბალდის მიმდევრებს?
- წითელი.
- დაასრულე შარლ დე გოლის ცნობილი გამონათქვამი: „ყოველთვის აირჩიეთ ყველაზე ძნელი გზა, რადგან ამ გზაზე...“
- სიარული საინტერესოა.
- „...ამ გზაზე კონკურენტებს ვერ შეხვდებით“.

თამარ კვინიტაძე



# ძველი მითაბი

**ძ**ითები და ლეგენდები მთელ მსოფლიოში არსებობდა ათასწლეულებით ადრე, ვიდრე ადამიანი დამწერლობას გამოიგონებდა. მათ გასართობად მოჰყვებოდნენ ხოლმე პროფესიონალი პოეტები, რომლებსაც დიდი ნაწარმოებების დამახსოვრება და მათი მხატვრულად წაკითხვა შეეძლოთ. ამას ლიტერატურის ზეპირი ტრადიცია ეწოდება.

○ მსოფლიოს უძველესი მითოლოგია ახლო აღმოსავლეთისაა და დაახლოებით ძვ. წ. 2500 წლით თარიღდება.

○ სამყაროს შექმნის ბაბილონური მითი მსგავსი შუმერული მითისგან წარმოიშვა და მას ენუმა ელიში ეწოდება.

○ ენუმა ელიშის თანახმად, თავდაპირველად სამყარო მლაშე ზღვა (დედა თიამათი), ტკბილი ზღვა (მამა აბზუ) და ნისლი (მათი ვაჟი მუშუ) იყო.

○ წყლებმა შვეს ახალი ურჩი ღმერთები, რომლებმაც გაანადგურეს აბზუ და მუშუ.

○ თიამათი და მისი მემკვიდრეები (რომლებიც ღმერთ ქინგუსგან შეეძინა) მძლავრ მაგიურ ბრძოლაში დაამარცხა ბაბილონელების მამრობითი სქესის ღმერთმა მარდუქმა.


○ ბაბილონელების წარმოდგენით, მარდუქს ჰქონდა ოთხი თვალი და ამღენიე ყური, ამიტომ ყველაფერს ხედავდა და ყველაფერი ესმოდა; პირიდან ცეცხლს აფრქვევდა, ხოლო თავის გარშემო შარავანდედი ადგა.

○ მარდუქი ახალი მმართველი გახდა და თიამათის განკვეთილი სხეულისგან ხმელეთი და ცა შექმნა. მან დაუდგინა სხვა ღმერთებს, ცის კამარაზე, მიწაზე თუ ჰაერში უნდა ყოფილიყო მათი საგამგებლო.

ენუმა ელიშის შამანა



ენუმა ელიში, ბაბილონური მითი სამყაროს შექმნის შესახებ, ლურსმული დამწერლობით ჩაწერეს თიხის შედრ ფირფიტაზე, რომლებიც 1845 წელს ნინევიის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინეს. მისი საფუძველი სამყაროს შექმნის შუმერული მითია. შუამდინარელმა შუმერებმა სახელი გაითქვეს თავიანთი ზიკურათებით – ტალახის აგურებისგან აგებული საფეხუროვანი ტაძრებით, რომლებსაც დაახლოებით ძვ. წ. 2100 წლისათვის აშენებდნენ.



○ აბორიგენებს სწამთ, რომ მათ წინაპრებს შექმნის მაგიური ძალაუფლება ჰქონდათ. აბორიგენული მითების თანახმად, წინაპრებმა ადამიანები ცხოველებისა და მცენარეებისგან გამოჭრეს, შემდეგ კლდეებს, ხეებსა და მიწისქვეშეთს მიაშურეს დასაძინებლად და დღემდე იქ არიან.

ილინაჩილი. „საბუნებისმეტყველო“ დიდი ბრიტანეთის ენციკლოპედია

სამყაროს წარმოშობის ჩინური მითის თანახმად, დასაწყისში მთელი სამყარო ქაოსის სახით კვერცხში იყო მოქცეული. პირველი, ვინც კვერცხიდან ამოვიდა, ჯუჯა პან გუ იყო. მის მიერ განცალკევებულმა ქაოსმა დედამიწა და ცა შექმნა.

ბასარცარია

რელიგიითა უმეტესობას სამყაროს წარმოშობის შესახებ თითო მითი აქვს, მაგრამ ძველ ეგვიპტელებს ასეთი ოთხი ჰქონდათ. ყოველი მითი რომელიმე ქალაქს ან ღმერთს უკავშირდება: ჰელიოპოლისი (ატუმი), მემფისი (პტახი), ჰერმოპოლისი (თოთი), ესნა (ხნუმი).



ადამიანები ქინგუს სისხლისგან წარმოიშვნენ. მარდუქმა მათ ბაბილონში მისი და სხვა ღმერთების სახელზე ტაძრები ააშენებინა.

ყოველ გაზაფხულზე ბაბილონს ტიგროსისა და ეფრატის ადიდებით გამოწვეული წყალდიდობა ეშუქებოდა. ისტორიკოსე-

ბის აზრით, ენუმა ელიში პანტომიმა, რომელიც თამაშდებოდა მარდუქის გულის მოსაგებად, რათა მას ქალაქი წყალდიდობისგან დაეცვა.

ძველი ეგვიპტური მითოლოგია იმ პერიოდს განეკუთვნება, როდესაც ამ ტერიტორიაზე ძვ. წ. IV ათასწლეულში მიწათმოქმედების მიმდევარი ხალხები დასახლდნენ.

ძველ ეგვიპტელებს სხვა ხალხებთან შედარებით ნაკლები მითი ჰქონდათ და ყველა მათგანში სამყაროს შექმნაზე, სიცოცხლესა და სიკვდილზეა საუბარი.

ერთ-ერთი მითი გვიამბობს მზის ღმერთის რა-ატუმის შესახებ, რომელიც დღის განმავლობაში ცაზე მოგზაურობს და ყოველ დღით ხელახლა იბადება.

ეგვიპტური მითები ეიროგლიფებით ჩაწერეს. დამწერლობის ეს სისტემა გამოიგონეს ძვ. წ. III ათასწლეულში, როდესაც ზემო და ქვემო ეგვიპტე ერთ სამეფოდ გაერთიანდა.

ბავიფრული იეროგლიფები

ეიროგლიფები მხოლოდ 1820 წლისათვის გაიშიფრა. მანამდე ინფორმაცია ეგვიპტური მითების შესახებ მხოლოდ სხვა ენებზე არსებული ჩანაწერებით იყო ცნობილი. ძვ. წ. 197 წელს ამოკვეთილი როზეტის ქვა 1799 წელს აღმოაჩინეს. სწორედ ის გახდა ეიროგლიფების ამოკითხვის გასაღები. მასზე ერთი ტექსტი სამ ენაზეა ჩაწერილი; მათგან ორი მეცნიერებისთვის გასაგებია, მესამე ეიროგლიფებით შესრულებული ჩანაწერია.



ზოგიერთი პოლინეზური მითის თანახმად, სამყაროს შემოქმედმა ტანგარამ სამყარო დამდგარ წყალში ქვების ტყორცნით შექმნა, ხოლო ადამიანები — ვაზის ფოთლებისგან.



# ეგვიპტის ღმერთები

**თ** აუდაპირველად ეგვიპტის სხვადასხვა კუთხეში ადამიანებს საკუთარი ღმერთები ჰყავდათ. ამბები მათ შესახებ საყოველთაოდ გავრცელდა, ზოგიერთი მონათხრობი გაერთიანდა, ამიტომაც ერთი ღმერთი ხშირად რამდენიმე სახით არსებობდა. ძველი ეგვიპტის მითოლოგია ძვ. წ. IV ათასწლეულზე გვიანდელია. იგი იმ ეპოქას ასახავს, როდესაც ამ ტერიტორიაზე მიწათმოქმედი ტომები დასახლდნენ.

○ ძველ ეგვიპტელებს სწამდათ, რომ თუ გარდაცვლილის სხეულს მუმიფიცირებულს შეინახავდნენ, სული სამარადისოდ იცოცხლებდა.

○ ეგვიპტური მითების თანახმად, სამყარო დასაბამიდან ბნელი წყლებით იყო სავსე.

○ პირველი ღმერთი იყო რა-ატუმი. ის წყლებიდან ამოიზარდა ისევე, როგორც ნილოსის წყალდიდობის შემდეგ ჩნდებოდა ხმელეთი.

○ რა-ატუმმა დააცემინა და წარმოიშენა ღმერთები შუ (ჰაერი) და თეფნუთი (ნისლი).

○ მსოფლიო მაშინ შეიქმნა,

## ღმთამბრძვილი ტჰალი

ავგაროზი მოსართავია, რომელსაც მაგიურ თვისებებს მიაწერენ. ძველ ეგვიპტეში უამრავ ავგაროზს აკეთებდნენ შხის ღმერთის ან ჰორის თვალის გამოსახულებით. ეგვიპტელებს სწამდათ, რომ ასეთ ავგაროზს განკურნება და ბოროტი სულებისგან დაცვა შეეძლო.



ჰორი

როდესაც შუსა და თეფნუთს ორი შვილი ყვლათ ნუთი (ცა) და გები (დედამიწა).

○ ადამიანები წარმოიშენნენ შუსა და თეფნუთის ბნელ წყლებში ჩაძირვისა და დაკარგვის შემდეგ. რა-ატუმმა მათ მოსაძებნად საკუთარი თვალები გაგზავნა, მაგრამ ამაოდ. დამწუხრებული რა-ატუმის ცრემლები ადამიანებად გადაიქცა.

○ ძველი ეგვიპტელების რწმენით, ღმერთის სულის ნაწილი დედამიწაზე შეიძლება რომელიმე

ცხოველის სხეულში განაგრძობდეს ცხოვრებას. შხის ღმერთის მტრებს ის თავზარდამცემი ლომის ან კობრის სახით წარუდგება და ანადგურებს.

○ ჰატორი ან სეხმეტი რა-ატუმის ქალიშვილი და მეუღლე იყო. მას შეეძლო მრისხანე ძუ ლომის სახე მიეღო, შხის ღმერთის მტრებს თავს დასხმოდა და დაესაჯა.

○ მთავარი ეგვიპტური მითი ოსირისისა და ისიდას ამბავს გვიამბობს.

○ ილუსტრაციაზე მარცხნივ ჩანს წყლისა და ნაყოფიერების ღმერთი, ნიანგისთავიანი სობეკი; ცენტრში ბასტეტია, მუსიკოსების, მოცეკვავეებისა და კატების ქალღმერთი, ხოლო მარჯვნივ მთვარის ღმერთი თოთი ჩანს იბისის თავით. ზოგჯერ თოთს ბაბუინის სახით გამოსახავდნენ.



სობეკი, წყლისა და ნაყოფიერების ღმერთი

მთვარის ღმერთი თოთი

ბასტეტი, მუსიკოსების, მოცეკვავეებისა და კატების ქალღმერთი

**ხოჭო სპარაბჟსი**

შვის ღმერთი რა-ატუმი ზშირად ამ ავგაროზის მსგავსი ხოჭო-სპარაბჟის სახით წარმოედგინათ. როგორც ფუნაგორია ხოჭო მიაგორებს ნაკელის ბურთს, ეგვიპტელთა წარმოდგენით, მზეც ასე დაგორავდა ცის კამარაზე.



☛ ფარაონმა ამენჰოტეპ IV-მ სახელი შეიცვალა და ენათონი დაირქვა ღმერთ ატონის პატივსაცემად. მისი მეფობის დროს თავიანთს ცემდნენ მხოლოდ ერთ, უზენაეს ღმერთს – ატონს.

○ ოსირისი რა-ატუმის ვაჟი და ეგვიპტის მეფე იყო; მოგვიანებით საიქიოს განაგებდა.

○ ოსირისი კარგი მმართველი იყო, მაგრამ იგი ბოროტმა ძმამ მოკლა.

○ ოსირისის ძმა ეშმაკულ ძალას განასახიერებდა. მან ოსირისის მოკვლა განიზრახა, რათა მისთვის ეგვიპტის სამეფო გვირგვინი წაერთმია.

○ ოსირისის და და მეუღლე, ისიდა, ნაყოფიერების ქალღმერთი იყო.

○ ოსირისის მოკვლის შემდეგ სეთმა მისი სხეული დაანაკუნა და მთელ ქვეყანაში მიმოფანტა. მაგრამ ისიდამ მათი უმრავლესობა იპოვა ტაძრებში დასაკრძალად.

○ ჰორი ოსირისის ვაჟი იყო. მან შემკვიდრებით მიიღო ეგვიპტის გვირგვინი. ძველი ეგვიპტელების რწმენით, ყველა ფარაონი ჰორის შთამომავალი იყო.

○ სეთი სამეფო ტახტზე ავიდა, მაგრამ ჰორმა დაამარცხა. ღმერთებმა გადაწყვიტეს, რომ ეგვიპტის მეფე ჰორი უნდა გამხდარიყო.

○ სეთი უდაბნოში, ეშმაკის საგამებლო ადგილზე გააშწესეს. ის მძინარე ქარიშხლების ღმერთი გახდა.

○ ოსირისის მუმი ანუბისმა დააშხადა. ამის შემდეგ ოსირისი მიცვალებულთა ღმერთად იქცა. მოგვიანებით ფარაონებმა საკუთარი ღვთაებობა იწამეს.



☛ ჯუჯა ღმერთი ბესი ძველ ეგვიპტეში ბაუშეებისა და სახლის მფარველ ღვთაებად ითვლებოდა.

**ბასაოცარია**

ძველ ეგვიპტეში კატების მფარველად ქალღმერთი ბასტეტა მიაჩნდათ. როდესაც ოჯახს კატა უკედებოდა, მის მუმიას აშხადებდნენ, ისევე, როგორც ადამიანისას.

**ეგვიპტის ღმერთები**

ნუთი ცა  
გები დედამინა  
შუ ცის ჰაერი  
თეფნუთი ნისლი  
თორი მთვარე  
რა-ატუმი მზე  
ისიდა დედა ღვთაება  
ოსირისი საიქიო  
ცხოვრების ღმერთი



# ბეჩქნეი მითები

**ბ**ერძული და რომაული ღმერთების, გმირებისა და სულების შესახებ ამბები კლასიკურ მითოლოგიას ქმნის. ძველი ბერძნების ღმერთები და ქალღმერთები რომაელებმა მიიღეს, ოღონდ ახალი სახელებით: ზევსი იუპიტერი გახდა, პერა – იუნონა, პოსეიდონი – ნეპტუნი და ა. შ.

○ ბერძნების მითოლოგიას ძვ. წ. VIII ს-დან არსებული წერილობითი ძეგლებით ვიცნობთ.

○ თავდაპირველად, ბრინჯაოს ეპოქაში მცხოვრები მიწათმოქმედები მიწის ქალღმერთ გეას ეთაყვანებოდნენ.

○ მითების თანახმად, გეა თავისთავად გაჩნდა ქაოსად წოდებული სივრცეიდან.

○ გეამ, დედა-დედამიწამ, შვა ურეა (მთები), პონტოსი (ზღვა) და ურანოსი (მამა ზეცა).

**ბ**ერძნების უზენაესი ღმერთი ზევსი რისხვას დედა-მიწაზე ელვის გამოგზავნით გამოხატავდა.



- |                                  |                               |
|----------------------------------|-------------------------------|
| 1. არესი ომის ღმერთი             | 6. პანი ველური ბუნების ღმერთი |
| 2. აფროდიტე სიყვარულის ქალღმერთი | 7. პოსეიდონი ზღვის ღმერთი     |
| 3. ათენა სიბრძნის ქალღმერთი      | 8. პერმესი ღმერთების მაცნე    |
| 4. ჰადესი ქვესკნელის ღმერთი      | 9. ზევსი უზენაესი ღმერთი      |
| 5. არტემიდა ბუნების ქალღმერთი    | 10. პერა ზევსის მეუღლე        |

კიკლოპები/ციკლოპები

კიკლოპები/ციკლოპები იყვნენ უზარმაზარი ცალთვალა არსებები, რომლებმაც ზევსს საჩუქრად ელვა და მუხი მისცეს, პოსეიდონს კი – სამკაპა, რომლის მეშვეობით ზღვაზე ქარიშხლის გამოწვევა შეეძლო.



შემდეგი მმართველები იყვნენ გეასა და ურანოსის შვილები: 12 უკვდავი, სახელად ტიტანნი. დედამიწის ეს მმართველები ნამდვილი გიგანტები იყვნენ.

ორი ტიტანის, ოკეანოსისა და ტეთისის შვილები სულების სახით ბინადრობდნენ ყველა წყაროში, მდინარესა და ზღვაში.

კიდევ ორ ტიტანს, კრონოსსა და რეას, ყოლათ შვილები, რომლებმაც ისინი დაამხეს. ესენი იყვნენ ძველ ბერძენთა ღმერთები და ქალღმერთები.

ბერძენთა ღმერთებს სამყარო დანაწილებული ჰქონდათ: ზევსი დედამიწას განაგებდა, პოსეიდონი – ზღვას, ხოლო ჰადესი – გარდაცვლილთა პირქუშ სამეფოს მიწისქვეშეთში.

ბერძენები ზევსისა და სხვა ღმერთების სახელზე დიდებულ ტაძრებს აგებდნენ. მათი ნანგრევების დათვალიერება საბერძენეთის კუნძულებზე დღესაც არის შესაძლებელი. ყველაზე სახელგანთქმული ათენის პართენონია.

ზოგიერთი მითი მოგვითხრობს ყველაზე ჭკვიანი ტიტანის, პრომეთეს შესახებ, რომელმაც პირველი ადამიანი წყლისა და თიხისგან მოზილა.

ფაქტები ტიტანების შესახებ

ბერძნულ და რომაულ მითოლოგიაში ტიტანებს 12 უკვდავს უწოდებენ.

ტიტანებს შორის უღონიერესი ატლასია – მას დედამიწა უჭირავს.

ყველაზე ჭკვიანი ტიტანი იყო პრომეთე. ტიტანმა, სახელად ეპიმეთემ, ცოლად შეირთო პირველი მოკვდავი ქალი, პანდორე.

ტიტანი ჰელიოსი მზის ღმერთი გახდა, სელენე – მთვარის ქალღმერთი.

ოკეანოსი იმ მდინარის ღმერთი გახდა, რომელიც ბერძენების რწმენით, მთელ დედამიწას გარს უვლიდა.

წინასწარმეტყველების თანახმად, ყველაზე ახალგაზრდა ტიტანს, კრონოსს, საკუთარი ვაჟი დაამხოდა. ამიტომ კრონოსი თავის ახალდაბადებულ ვაჟიშვილებს ყლაპავდა. თუმცა, მისმა ცოლმა მოახერხა ერთი ვაჟის გადარჩენა – ეს ზევსი იყო.

ზევსი ძმებსა და დებთან ერთად ათი წელი ებრძოდა ტიტანებს. ბოლოს ყველა ტიტანი დასასჯელად სამუდამოდ ბორკილდადებული ქვესკნელში, ტარტაროსში გამოამწყვდიეს.

კიდევ არსებობდნენ ურანოსისა და გეას სხვა შვილები: სამი ცალთვალა კიკლოპი/ციკლოპი და სამი ჰეკატონხერი, ანუ ასზე-ღიანი და ორმოცდაათთავიანი ბუმბერაზი.



სხვა მითების მიხედვით, ზევსმა ადამიანების ზუთი რასა შექმნა. პირველი, ოქროს რასა, ღმერთებთან ჰარმონიაში ცხოვრობდა და მშვიდობიანად მიიცვალა; ვერცხლის რასა ჩხუბისთავი და კანდიერი ადამიანებისგან შედგებოდა და ზევსმა ის გაანადგურა; ბრინჯაოს რასის წარმომადგენლებს საბრძოლო იარაღები და ომი უყვარდათ და ერთმანეთი ამოწყვიტეს; გმირების რასა ისეთი კეთილშობილი იყო, რომ ზევსმა მათ შორეულ კუნძულებზე ნეტარებით ცხოვრების უფლება მიანიჭა; რკინის რასა თავად ჩვენ ვართ. მითები ამბობენ, რომ ამ რასის ადამიანები პატრივისცივით არ ეპყრობიან დედამიწას, რომელზეც ცხოვრობენ, ამიტომ ზევსი მათ გაანადგურებს.

ბასანოვარია

ღმერთებსა და ტიტანებს შორის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ ზევსმა ტიტან ატლასს დააკისრა სამუდამოდ სჭეროდა მხრებით დედამიწა და ცის თაღი.



# სკანდინავიური მითები

**ს**კანდინავიის უძველესი, ბრინჯაოს ხანის ხალხი ჰყვებოდა ამბებს ღმერთებისა და ქალღმერთების, ანუ აესირების შესახებ. ჩრდილოეთის ხალხები ვიკინგების წინაპრები იყვნენ. ნორვეგიელმა, შვედმა და დანიელმა ვიკინგებმა, ანუ მეომრებმა, ვეროპის დიდი ნაწილი დაიპყრეს.

ღმერთებმა მოიწყვეს ზეციური სავანე, რომელსაც ასგარდი უწოდეს.

ციხარტყელა ღმერთების საცხოვრისს, ასგარდს, ადამიანების სამყაროსთან აკავშირებს. ღმერთი ჰეიმდალი თვალს აღკვენებდა, რომ მასზე მხოლოდ ღმერთებსა და ქალღმერთებს გაეგოთ.

ჩრდილოეთის ღმერთები ადამიანებს არაფრად აგლებდნენ. ისინი, ძირითადად, გიგანტებსა და სხვა მითურ ქმნილებებთან ბრძოლით იყვნენ დაკავებული.

ოდინს, მეომარი ღმერთების, აესირების მეთაურს, ჰქონდა მაღალი ტახტი, სახელად ჰლიდსკიალფი, საიდანაც სამყაროში ყველაფერს ხედავდა.

ოდინს ჩვეულებრივი მოკვადავის სამოსის გადაცმა უყვარდა. ის მიწაზე ჩამოდიოდა ადამიანების სამყაროზე დასაკვირვებლად. ოდინისთვის ეს დასვენება იყო.

ჩრდილოეთის ღმერთები და ქალღმერთები უკვდავები არ იყვნენ. მათი მოკვლა, ადამიანების მსგავსად, ჯადოქრობის ან სიამაცის წყალობით შეიძლებოდა.

მეომარ ქალღმერთებს შორის უმნიშვნელოვანესი იყო ოდინის ცოლი ფრიგი (ნაყოფიერების დედა ღვთაება) და შშვენეიერი ფრეია (სიყვარულის ქალღმერთი).

ოდინის ქალიშვილები იყვნენ ლამაზი სულები, სახელად ვალკირიები. ისინი ბრძოლის ველის თავზე დაფრინავდნენ და მამაცურად დაღუპულები ბედნიერი საიქიო ცხოვრებისთვის ასგარდის მყუდრო სავანეში, ვალჰალაში მიჰყვადათ.

კვირის ორ დღეს ინგლისურ ენაზე სკანდინავიური მეომარი ღმერთების სახელები ჰქვია: ოთხშაბათს (Wednesday) — ოდინის მეორე სახელის, ვოდინის მიხედვით, ხუთშაბათი (Thursday) კი ჰეიკა-ქუხილის ღმერთის, თორის სახელს ატარებს.

**გრეფება ცხენზე ამხედრებულ ოდინს ორი ყორანი ახლდა, სახელად „ფიქრი“ და „მესსიერება“.**



**ბასანოცარია**  
სკანდინავიური მითების მიხედვით სამყაროს სამი დონე აქვს: ასგარდი ღმერთების სავანეა, ალფელში — ელფების, ხოლო ადამიანების მიწას მიდგარდი ერქვა.

ვიკინგების ეპოქის ამ ქვაზე გამოსახულია ოინბაზი ლოკი. ის ნახევრად ღმერთია და ნახევრად გიგანტი, რომელიც ღმერთებს ართობდა და ამზიარულებდა, თუმცა, ზოგჯერ მისი ზუმრობა ღვარძლიანი იყო.



**ნიორდი**

სკანდინავიური მითების თანახმად, ზღვის ღმერთმა ნიორდმა ცოლად შეირთო თოვლიანი მწვერვალების მფარველი ქალღმერთი სკადი.



**რაგნაროკი**

სკანდინავიურ მითებში მოხსენიებულია რაგნაროკი, რაც ღმერთების მსჯავრს ნიშნავს. დადგება საზარელი დრო, როდესაც სიკეთე ბოროტებას დაუპირისპირდება, მითური გმირები ურჩხულებსა და გიგანტებს შეებრძოლებიან. გამარჯვებული არავინ იქნება, სამყარო დაიღუპება, მაგრამ ძველის ნანგრევებზე ახალი სიცოცხლე აღმოცენდება.




აესირები ერთხელ შეებრძოლნენ ვანირებად წოდებულ ნაყოფიერების ღმერთებსა და ქალღმერთებს. თუმცა, ბოლოს ერთმანეთთან ზავი დადეს.

ვანირებს მართავდა ნაყოფიერების ღმერთი ნიორდი, ქარებისა და ზღვების მბრძანებელი.

სკანდინავიურ მითოლოგიაში ლოკი სახელგანთქმული ოინბაზია. მას სიამოვნებს ღმერთებისა და გიგანტების გამასხარავება.

შვენიერი ფრეია კატებშემული ეტლით დადის. ის თავის მძასთან, მიწათმოქმედთა მფარველ ღმერთ ფრეირთან ერთად სიამოვნებისა და ნაყოფიერების მომნიჭებელია.





ისრაელის პირველი პრემიერ-მინისტრი, ქვეყნის ერთ-ერთი დამაარსებელი

	1 სპარსეთის პროვინცია კასპიისაბ- რეთში	2 სიმღერის მეკლსირიული ღმერთი (არამეულად „საუნაუ“)	3 ფუმერტრეს მტერი, ვაგნის ვარზე აღზვეებული სადუნ ...	4 კვეტარის ერისთავთა გვარი	5 ქართველთა განმანათ- ლებელი
		6 ბასილი დღის მწიგნუ წმინდანი, ღირსი ...			
7 ყოფილი კუნძული თბილისში მტკვარზე	8 აფროდიტე მელოსელი, იგივე ...	9 ვესტმინსტერის კოშკის სათი ბიგ ...		10 შარლ პერის ზღაპრის პერსონაჟი გოგონა	11 კრიტიკოსი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ... აბაშიძე
12 ფრანგი იმპერიონისტი ელგარ ...		13 ლატეის დედაქალაქი			
14 პომერისის პოემა		15 ყოფილი ქართული შხარე ცენტრალურ კავკასიონზე			
		16 სოფელი გორთან		17 იგივე ეპოქა, ხანა	
	18 სსრკ შრომა- გასწორების კოლ. მთავარი სამშრომელი	19 მოკლე ალეგორიული მოთხრობა, იგივე არაკი	20 გვედღერის დედაქალაქი		21 შპის ერთ-ერთი წევლობა ზედკეპო- თისთვის
22 ჯარის მწიგნუ ნაწილი				23 ზღვის- პირა ქალაქი თურქეთში საქართველოს მაზლილად	
					24 ... მამული, სარწმუნოება

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:  
 1. კირასა 2. შიო 3. ბრუნო 4. სეული 5. ბალცეროვიჩი 6. სკანდე 7. ნასერი 8. ჩაჩბა 9. ჩიხოლინა 10. ჩაუშესკუ 11. სცილა 12. ინასისი 13. მართვე 14. სნო 15. სინედრიონი 16. დოდე 17. გონდოლა 18. ვეპლიდე 19. ილო 20. სუ 21. თტელი 22. ელჩი 23. ილტო. სურათზე: კონრად ადენაუერი.